პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 თებერვალი ორშაბათი 2010
№030(13018) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰა ჯგუფი, ჰა მოედანი!

### ...მაგრამ ილუზიების გარეშე







მარცხნიდან: ალექსანდრ სტარკოვსი (ლატვიის ნაკრების მწვრთნელი), ჯონ ბუტიგეგი (მალტის ნაკრების მწვრთნელი), ორი შილო (ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი), სლავენ ბილიჩი (ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი), ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი) და თემურ ქეცბაია.

## F ჯგუფი

- ხორვატია
- საბერძნეთი
- ისრაელი
- ლატვია
- საქართველო
- მალტა

## მეორე ადგილი? ნუ მოვაქცევთ გუნდს წნეხში...

ანალიზი და კომენტარები » გვერდი 2-4

## ძალამ აღმართი მაინც მოხნა

### ჯერ მძიმედ დაიწყეს, მერე ივარჯიშეს




» გვერდი 13

მერაბ კვირიკაშვილის ლელო

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო



## 3 მედალი პარიზიდან

### მისასალმებელი ამბავი 11 წლის შემდეგ

» გვერდი 11

## ინტერი 10 ქულით, არსენალი უკვე უიმედოდ...

მსოფლიო ფეხბურთი » გვერდი 6-10

ევრო 2012. წილისყრის შემდეგ. F ჯგუფი

# ჰა ჯგუფი, ჰა მოედანი...

## ...მაგრამ ილუზიების გარეშე

**A ჯგუფი**
- გერმანია
- თურქეთი
- ავსტრია
- ბელგია
- ყაზახეთი
- აზერბაიჯანი

**B ჯგუფი**
- რუსეთი
- სლოვაკეთი
- ირლანდია
- მაკედონია
- სომხეთი
- ანდორა

**C ჯგუფი**
- იტალია
- სერბეთი
- ჩრ. ირლანდია
- სლოვენია
- ესტონეთი
- ფარერები

**D ჯგუფი**
- საფრანგეთი
- რუმინეთი
- ბოსნია
- ბელარუსი
- ალბანეთი
- ლუქსემბურგი

**E ჯგუფი**
- ჰოლანდია
- შვედეთი
- ფინეთი
- უნგრეთი
- მოლდოვა
- სან მარინო

**G ჯგუფი**
- ინგლისი
- შვეიცარია
- ბულგარეთი
- უელსი
- ჩერნოგორია

**H ჯგუფი**
- პორტუგალია
- დანია
- ნორვეგია
- კვიპროსი
- ისლანდია

**I ჯგუფი**
- ესპანეთი
- ჩეხეთი
- შოტლანდია
- ლიტვა
- ლიხტენშტაინი

ᲐᲦᲐᲠᲪ მარჩიელობაა საჭირო და აღარც სასურველი თუ არასასურველი მეტოქების „არჩევა" - 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა უკვე ჩატარდა და საქართველოს ნაკრების მომავალი მონინააღმდეგეებიც ცნობილია! წინდაწინ უნდა ვაღიაროთ - საქართველოს ნაკრებს „მისმა უდიდებულესობა ფორტუნამ" აშკარად გადმოხედა! ფაქტობრივად, ისეთი მეტოქეები შეგვხვდა, სანატრელ-სასურველად რომ მიგვაჩნდა. თავად განსაჯეთ: პირველი კალათის გუნდებიდან ყველა გრანდს (ესპანეთი, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, პორტუგალია, საფრანგეთი) ავცდით, სამაგიეროდ, ამათში შედარებით ყველაზე სუსტი ხორვატია სწორედ ჩვენს ჯგუფში მოხვდა.

იმავეს თქმა შეიძლება მეორე კალათის გუნდებზეც - დღესდღეობით საბერძნეთის ნაკრებთან უფრო შეიძლება წარმატებაზე ფიქრი, ვიდრე, მაგალითად, თურქეთის, სლოვაკეთის, სერბეთის, შვედეთის, დანიისა და ჩეხეთის ნაკრებებთან. ვერც ისრაელზე ვიტყვით, მესამე კალათაში ყველაზე არასასურველი მეტოქე იყოო - ჩვენი აზრით, ირლანდიას, ბოსნიას, ფინეთს, ნორვეგიასა და ბულგარეთს ისევ ამ ქვეყნის ნაკრებთან პაექრობა სჯობს; მეოთხე კალათაშიც მოიძებნებოდა ჩვენთვის ნამდვილად არასასურველი გუნდები - ბელარუსი, უნგრეთი, კვიპროსი, ლიტვა (ისე, სომხეთიც ამ კალათაში იყო და მართლაც საინტერესო იქნებოდა „კარის მეზობლებთან" ოფიციალურ მატჩებში დაპირისპირება); ერთადერთი, მხოლოდ... მეექვსე კალათის გუნდებში „არ გაგვიმართლა": ხომ შეიძლებოდა, სან-მარინო, ანდორა ან ლუქსემბურგი შეგვხვედროდა; ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად „არასასურველი" მალტა და აზერბაიჯანი იყო და „მაინცდამაინც" მალტა მოხვდა ჩვენთან...

არა უშავს, აბა, მთლად იდეალურ ჯგუფს ვინ „დაგვიხატავდა"; თუმცა, მთავარი ახლავე უნდა ვთქვათ: ეიფორიაში ჩავარდნის ნაცვლად მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მეტოქეთა „სისუსტეზე" კი არა, საკუთარ პრობლემებზე უნდა ვიფიქროთ; და, რაც ყველაზე, ყველაზე მთავარია: საქართველოს ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას მუშაობაში ხელი არავინ უნდა შეუშალოს! ევროფეხბურთის „ბობოლები" კი აგვცდნენ, მაგრამ გვაქვს კი საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ ხორვატიის, საბერძნეთის, ისრაელისა და ლატვიის ნაკრებებთან წარმატებას მივაღწიოთ? თან, დაუკვირდით: ოთხივე ნაკრების „საფირმო ნიშანი" სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვაა. ანუ, საქმე გვექნება მეტად ორგანიზებულ მეტოქეებთან, ძირითადად გუნდურ თამაშს რომ ანიჭებენ უპირატესობას. ესეც რომ არ იყოს, საერთოდაც ზედმეტად მიგვაჩნია აჟიოტაჟის შექმნა: „ასეთი სუსტი ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უსიკვდილოდ უნდა გავიდეთო!" აბა, გაიხსენეთ, როგორ დასრულდა საქართველოს ნაკრებისთვის 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი; მაშინაც ხომ, ერთი შეხედვით, სუსტ ჯგუფში მოვხვდით (ნორვეგია, საბერძნეთი, სლოვენია ლატვია, ალბანეთი), მაგრამ... ბოლო ადგილზე გავედით!

ახლა კი, ვიდრე ჩვენს მომავალ მეტოქეებს დავახასიათებდეთ, ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ, თუ რომელ ადგილზეა თითოეული ნაკრები ფიფას რეიტინგში: ხორვატია - 11, საბერძნეთი - 12, ისრაელი - 27, ლატვია - 49, საქართველო - 122, მალტა - 144. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კომენტარი მართლაც ზედმეტია. მაგრამ, ისე როგორც ყველა შესარჩევი ციკლის დროს, ახლაც იმედით ველოდებით ახალი მწვრთნელის მიერ დამოძლვრილი საქართველოს ნაკრების ასპარეზობას...



პოლონური ფეხბურთის ლეგენდა ანჯეი შარმახი

### ხორვატია

ᲯᲒᲣᲤᲘᲡ უპირობო ფავორიტი ხორვატიის ნაკრებია და ამას ბევრი მტკიცებაც არ სჭირდება; ოღონდ, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს ის ფაქტი, რომ ფიფას რეიტინგში მეთერთმეტე ადგილზე მყოფი ნაკრები... მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს. სხვათა შორის, ხორვატია და საქართველო პირველად მოხვდნენ ერთ ჯგუფში: 1994 წლიდან მოყოლებული ამ ორი ნაკრების გზები არსად გადაკვეთილა (ეგ კი არა, ერთმანეთში ამხანაგური მატჩიც არ ჩაუტარებიათ).

ხორვატულ ფეხბურთზე ბევრად უფრო დაწვრილებით მაშინ ვისაუბრებთ, როცა საქართველოსა და ამ ქვეყნის ნაკრებების მატჩი მოახლოვდება. არადა, სასაუბრო მართლაც ბევრია; მით უფრო, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ უკვე არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. კიდევ ვიმეორებთ: ისტორიულ ექსკურსს ამჟამად არ შევუდგებით და მხოლოდ იმ მიღწევებს გავიხსენებთ, ამ ქვეყნის ნაკრებმა დამოუკიდებლობის მოპოვების (1991 წელი) შემდეგ რასაც მიაღწია.

...1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ხორვატებისთვის სადებიუტო იყო, მაგრამ გუნდმა მაინც შეძლო ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება და იქაც წარმატებით იასპარეზა. ყოველ შემთხვევაში, მეოთხედფინალში გასვლა დებიუტანტი ნაკრებისათვის მართლაც არ იყო ურიგო შედეგი. თუმცა, ბევრად უფრო ტრიუმფული ეთქმოდა ხორვატების გამოსვლას 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე - **მიროსლავ ბლაჟევიჩის** გაწვრთნილმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა!

აი, ამას კი მართლაც არავინ ელოდა: მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა ჯგუფური ეტაპის დაძლევის შემდეგ ჯერ რუმინეთს მოუგო, მერე გერმანიას და მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა მომავალ გამარჯვებულ საფრანგეთის ნაკრებთან. **ზვონიმირ ბობანი, დავორ შუკერი, ალენ ბოკშიჩი, რობერტ პროსინეჩკი, სლავენ ბილიჩი, რობერტ იარნი, ალიოშა ასანოვიჩი,** - აი, ასეთი ჩინებული ფეხბურთელები თამაშობდნენ ხორვატიის იმდროინდელ ნაკრებში, მოგვიანებით კი მათგან უმრავლესობას არანაკლებ ჩინებული საკლუბო კარიერა ჰქონდა.

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012. წილისყრის შემდეგ. F ჯგუფი

# ჰა ჯგუფი, ჰა მოედანი...

« მე-2 გვერდიდან

...ამის შემდეგ ხორვატიის ნაკრებში თაობებიც შეიცვალა და მწვრთნელებიც; იშვიათი გამონაკლისის გარდა, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ხორვატიის ნაკრები სისტემატურად ასპარეზობდა, თანდათან გამოჩნდნენ ახალი სახეებიც: **ნიკო და რობერტ კოვაჩები, დარიო სრნა, სტიპე პლეტიკოშა, ივიცა ოლიჩი, მლადენ პეტრიჩი, ივან კლასნიჩი, ნიკო კრანჩარი, ლუკა მოდრიჩი, ივან რაკიტიჩი, ვედრან ჩორლუკა.** აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელი ევროპის წამყვან გუნდებში ასპარეზობს. ცალკე საუბრის თემაა ხორვატიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი**, ვინც თავი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიჩინა და ახლაც, ბევრი სარფიანი შემოთავაზების მიუხედავად, კვლავაც ხორვატიის ნაკრებში დარჩა. ისე, ხორვატების ბოლოდროინდელი ფიასკო მართლაც მოულოდნელი იყო - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბილიჩის გუნდი 7 ქულით ჩამორჩა ინგლისს, ხოლო უკრაინელებს - ერთით და სამხრეთ აფრიკის საგზურის გარეშე დარჩა. დიდი შანსია, რომ ახალ შესარჩევ ციკლში ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში ახალი სახეები გამოჩნდნენ - ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლებობა არასდროს იგრძნობოდა...

## საბერძნეთი

ცოტა არ იყოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია - 1980 წლამდე საბერძნეთის ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე ლოკალური წარმატებაც არ ჰქონდა მოპოვებული. ასე გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში: 1980 წელს ევროპის ჩემპიონატზე და 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა, აი, ეს იყო სულ. თანაც, ორივეგან საბერძნეთის ნაკრებს სრული ფიასკო ელოდა.

...2004 წლის ევროპის ჩემპიონატი ამ ტურნირის ისტორიაში ყველაზე მოულოდნელი შედეგით დასრულდა: საბერძნეთის ნაკრები, ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ, კონტინენტის პირველობის გამარჯვებული გახდა! **ანგელოს ბასინასი, თეოდოროს ზაგორაკისი, კოსტას კაცურანისი, იურკას სეიტარიდისი, ანგელოს ხარისტეასი, გეორგიოს კარაგუნისი, სტელიოს იანაკოპულოსი** - ამ ფეხბურთელებს საფეხბურთო სამყარო „წესიერად" არც იცნობდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თითქმის ყველა მათგანმა წამყვან ევროპულ გუნდებთან გააფორმა კონტრაქტი. იმ ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრების მთავარი „იარაღი" ზედმეტად მკაცრი სათამაშო დისციპლინა იყო; საერთოდაც, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, კონკრეტულ გუნდს კონკრეტულ ტურნირზე ასეთი ორგანიზებული თამაში ეჩვენებინოს. ყოველივე ეს კი საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გერმანელი სპეციალისტის **ოტო რეჰაგელის** დამსახურება იყო. რეჰაგელმა ბუნდესლიგაში ეპოქა შექმნა, როცა „ვერდერსა" და „კაიზერსლაუტერნში" წარმატებულად იმუშავა და აი, გამოცდილი სპეციალისტის დებიუტი სანაკრებო დონეზე უფრო შთამბეჭდავი გამოდგა - საბერძნეთში ეროვნულ გმირადაც გამოაცხადეს. ამის შემდეგ საბერძნეთის ნაკრებს მცირე ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ 2008 წლის ევროპის და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მაინც მოიპოვეს. რეჰაგელს ძალიან „უყვარს" გამოცდილ ფეხბურთელებზე დაყრდნობა და საბერძნეთის დღევანდელ ნაკრებშიც ხუთი-ექვსი მოთამაშეა, 30 წელს კარგა ხანია რომ გადასცდნენ. თუმცა, ამ ბოლო დროს ორი ნიჭიერი ახალგაზრდაც დააწინაურა - **სოტირიოს ნინისი** და **ვასილის პლაციკასი** (ეს უკანასკნელი „შალკეში" **ლევან ყენიას** თანაკლუბელია).

## ისრაელი

საბერძნეთთან ოფიციალურ შეხვედრებშიც არაერთხელ გვითამაშია და ამხანაგურებშიც; აი, ისრაელთან კი მხოლოდ საერთაშორისო პაექრობები „გვაკავშირებს". საერთოდაც, ისრაელი ევროპის საფეხბურთო ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე „ახალგაზრდა" წევრია: 1954-74 წლებში აზიის კონტინენტზე ასპარეზობდა, 1974-91 წლებში (უკვე, პოლიტიკური მოტივით), ოკეანიის წარმომადგენლებს ეპაექრებოდა და მხოლოდ 1994 წლიდან გახდა უეფას წევრი. ისტორიაშიც მხოლოდ ერთადერთხელ იყო, ამ ქვეყნის ნაკრებმა უდიდეს საფეხბურთო ფორუმზე რომ იასპარეზა - მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატზე. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ყველაზე ახლოს 2000 წლის გათამაშებაში იყო, როცა პლეიოფში გავიდა და დანიის ნაკრებთან დამარცხდა. სხვათა შორის, ალბათ, ადრევე უნდა გვეთქვა: 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საბერძნეთი, ისრაელი და ლატვია ერთ ჯგუფში იყვნენ და ახლაც იგივე განმეორდა!

...**ამირ შელახი, ალონ მიზრახი, ელონ ხარაზი, ეიალ ბერკოვიჩი, ელი ოხანა, ჰაიმ რევივო, იდან ტალი, რონი როზენტალი, ავი ნიმნი** - ყველა ეს მოამაშე ისრაელის ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებად მიიჩნეოდა. ახლა კი ეს პატივი, რალა თქმა უნდა, ისრაელის ნაკრების კაპიტანს, „ლივერპულის" წამყვან ფეხბურთელ **იოსი ბენაიუნს** ეკუთვნის. მის გარდა ისრაელის დღევანდელ ნაკრებში არიან როგორც გამოცდილი ფეხბურთელები (**ავატი, დავიდოვიჩი, ბენ ჰაიმი**), ასევე ახალგაზრდებიც (**გოლასა, ბენ შახარი**).

## ლატვია

წლების წინ, უფრო ზუსტად, საკავშირო პირველობა რომ ტარდებოდა, ქართული და ლატვიური ფეხბურთის... შედარებაც კი უხერხული იქნებოდა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლატვიელებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს, ჩვენ კი...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლატვიის ნაკრებმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა! **ალექსანდრ სტარკოვსი** იყო ამ წარმატების მთავარი შემოქმედი, მწვრთნელი, რომელიც სამწლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც ლატვიის ნაკრების თავკაცად დაინიშნა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ნაკრებს, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სტილით მოთამაშე მეტოქეები (ხორვატიის გარდა) შეხვდნენ. თან, ლატვიის ნაკრებშიც ვერ ნახავთ მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალისტებს, სამაგიეროდ, სათამაშო დისციპლინის მკაცრად დაცვა, ორგანიზებულად თავდაცვა და თავდასხმა, რგოლებს შორის სინქრონული მოქმედება, - ყველა ამ კომპონენტის დახვეწას თამაშიდან თამაშამდე ცდილობენ და ამიტომაც არიან მსოფლიო რეიტინგში ჩვენზე ... 73 საფეხურით წინ! **პახარსი, შტოლცერსი, ლაიზანსი, კოლინკო, ასტაფიევსი, ვერპაკოვსკისი,** - ის თაობაა, ლატვიურ ფეხბურთს საერთაშორისო აღიარება რომ მოუტანა. ამ ბოლო დროს მეტ-ნაკლებად ცნობილი ვინც არის (**რუბინსი, კარლსონსი, სოლონიცინსი**), ყველანი... აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშობენ. რაც მთავარია, კვლავაც აგრძელებს თავის შთამბეჭდავ კარიერას 38 წლის ვიტალის ასტაფიევსი, რომელსაც ლატვიის ნაკრებში... 158 მატჩი აქვს ჩატარებული.

## მალტა

აი, სად არ „გაგვიმართლა" - ხომ შეიძლებოდა, ბოლო კალათიდან ისეთი მეტოქე შეგვხვედროდა, გარანტირებული 6 ქულა რომ გვქონოდა? ასეთი, მაგალითად, ანდორა და სან-მარინო იქნებოდა, მაგრამ კენჭისყრამ „დაგვალალატა" და მეტოქედ მალტა გვარგუნა; „ის" მალტა, უკანასკნელი შესარჩევი ციკლი... საქართველოს ნაკრების მგავსად, მოუგებლად რომ დაასრულა. სამაგიეროდ, 2009 წელი მალტური ფეხბურთისათვის მთლად წარუმატებელი მაინც ვერ იქნებოდა! ბოლოს და ბოლოს, შარშან აგვისტოში არ იყო, ამ ქვეყნის ნაკრებმა წელიწადნახევრიანი მოუგებელი სერია რომ შეწყვიტა და ნანატრი გამარჯვება მოიპოვა? ჩვენდა სამწუხაროდ, მალტის ნაკრების მეტოქე იმ ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები იყო...

...არადა, იმ შეხვედრის წინაც ვწერდით, რომ მალტის ნაკრები იმ იშვიათი გუნდების რიცხვს განეკუთვნებოდა, ვისთანაც საქართველოს ნაკრებს დადებითი ბალანსი ჰქონდა. საერთო ჯამში, ბალანსი მაინც ჩვენთვის სასარგებლოა, მაგრამ უკვე ისე ვართ გადაჩვეული საქართველოს ნაკრების გამარჯვებას, უკვე მალტასთან ჯგუფში მოხვედრაც კი „გვაფიქრიანებს".

და მაინც: თუ რამეზე გვაქვს პრეტენზია, მალტის ნაკრებთან ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ. იმას ხომ არ ვთხოვთ ჩვენს ფეხბურთელებს, გინდა თუ არა, ხორვატები ან ბერძნები შინ და გარეთ დაამარცხეთო...

**გია ტუხაშვილი**



# თემურ ქეცბაია
# მეორე ადგილი? ნუ მოვაქცევთ გუნდს ფსიქოლოგიურ წნეხში...

ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლეში ჩატარებულ წილისყრას უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** უძღვებოდა. მას ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების, პოლონეთისა და უკრაინის ორ-ორი წარმომადგენელი, შესაბამისად, **ზბიგნევ ბონეკი** და **ანჯეი შარმახი, ოლეგ ბლოხინი** და **ანდრეი შევჩენკო** ეხმარებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო ნამდვილად არ უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება რეგლამენტს, პირველი ექვსი ჯგუფი ექვსგუნდიანია, დანარჩენი სამი კი - ხუთგუნდიანი.

შეგახსენებთ, რომ ამ 9 ჯგუფიდან პირველადგილოსანი და ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი ავტომატურად მოხვდება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. დასკვნით სტადიაში თანამასპინძელ პოლონეთისა და უკრაინის გარდა, 8 მეორეადგილოსნიდან ის 4 გუნდი გავა, რომელიც პლეიოფში უკეთ წარმოჩნდება.

ჩვენი ჯგუფის სათამაშო კალენდარი ჯერ არ არის შეთანხმებული. თუმცა უკვე ცნობილია თარიღები, რომელიც ფიფასა და უეფას მიერაა შერჩეული. როგორც ირკვევა, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინარე წლის 3-4 სექტემბერს აიღებს სტარტს. შესარჩევი ეტაპის მატჩების თარიღებია: 2010 წელი: **3-4 და 7 სექტემბერი, 8-9 და 12 ოქტომბერი;** 2011 წელი: **25-26 და 29 მარტი, 3-4 და 7 ივნისი, 2-3 და 6 სექტემბერი, 7-8 და 11 ოქტომბერი.**

პლეიოფის მატჩები, გაისად 11-12 და 15 ნოემბერს ჩატარდება. როგორც გაცნობეთ, ვარშავაში ჩატარებულ წილისყრას საქართველოდან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** ესწრებოდნენ.

წილისყრის შემდეგ ვარშავაში ქართულ დელეგაციას დავუკავშირდით. რა თქმა უნდა, პირველ რიგში **თემურ ქეცბაიას** აზრი გვაინტერესებდა. მიზეზთა გამო, მას მხოლოდ ბოლოს გავესაუბრეთ, თუმცა დავარღვევთ ქრონოლოგიას და ჯერ ნაკრების თავკაცის ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

- სანაკრებო დონეზე ყველა თამაში რთულია და სერიოზულად უნდა მივუდგეთ, თუნდაც ეს ამხანაგური მატჩი იყოს, მით უმეტეს - საკვალიფიკაიო ეტაპი. კარგია რომ ექვსგუნდიან ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ თუ ჩვენს ჯგუფს კარგად დავაკვირდებით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მძიმე ჯგუფია. მართალია, ეს არ არის ე. წ. სიკვდილის ჯგუფი, მაგრამ რთულია, რადგან გამოკვეთილი ფავორიტი არაა. პირველი კალათიდან ხორვატია გვერგო. ზოგმა შესაძლოა თქვას, რომ ხორვატია არ არის გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, ჰოლანდია, პორტუგალია, თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მილმა ინგლისის ნაკრები სწორედ ხორვატებმა დატოვეს.

**- როგორც ადრე, ქართველმა გულშემატკივარმა უკვე დაიწყო ბჭობა, რომელ გუნდთან რამდენ ქულას ავიღებთ, გასვლის შანსსაც ბევრი ითვლის. ყველასათვის საინტერესო ამ საკითხზე ნაკრების თავკაცის მოსაზრება?**

- როცა ნაკრებში ვთამაშობდი, მაშინაც ასე იყო. იწყებოდა სავარაუდოდ მოსაპოვებელი ქულების დათვლა, შანსებზე მსჯელობა... ეს გულშემატკივრის საქმეა, მაგრამ ილუზიაშიც არ უნდა გადავვარდეთ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ორი წელიწადია, რაც საქართველოს ნაკრებს თამაში არ მოუგია. ეს მწარე სიმართლეა. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ყველა მატჩში მოგებისთვის ვიბრძოლოთ. რა თქმა უნდა, სწორება მაქსიმუმზე უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ამ ჯგუფიდან ვერ გავალთ, ეს ტრაგედია იქნება... ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ნაკრების ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებაზე უნდა ვიზრუნოთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა დანარჩენს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ძლიერი გუნდის შენების პარალელურად შედეგიც არაა ჩვენთვის მეორეხარისხოვანი.

**- ბევრის აზრით, ჯგუფიდან გასვლას რომ დავანებოთ თავი, მესამე ადგილის დაკავება მაინც შეგვიძლია...**

- წინასწარ ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა. არავინ იცის, ამა თუ იმ კონკრეტულ მატჩს რა დონეზე მომზადებული შევხვდებით ჩვენ თუ მეტოქეები, ვის დააკლდება ფეხბურთელები და ვის - არა... ჩვენ ყველა მატჩზე მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე. ფეხბურთელებს, რომლებიც მოედანზე გავლენ, კარგად უნდა ჰქონდეთ გათავისებული, რომ ისინი ქვეყნის ღირსებისთვის იბრძვიან. ყველასთვის საამაყო და დიდი პატივი უნდა იყოს ეროვნულ გუნდში თამაში. ეროვნული ნაკრები რჩეულ ფეხბურთელთა გუნდია... რაც შეეხება კითხვას, ღმერთმა ქნას, ისე აეწყოს ყველაფერი, რომ მეორე ადგილზე გავიდეთ და ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად გავაგრძელოთ ბრძოლა. თუმცა ეს არ უნდა იყოს დოგმა, ამის გამო გუნდს ფსიქოლოგიური წნეხი არ უნდა შევუქმნათ, თორემ ეს საზიანო იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ყველა მატჩზე მოსაგებად გავალთ მოედანზე... ერთი სიტყვით, ცხადია, ჩვენი ფეხბურთი მძიმე მდგომარეობაშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ეტაპობრივად გამოვასწოროთ მდგომარეობა და ნელ-ნელა წინ წავიწიოთ.

**- იქნებ ორიოდე სიტყვით ყველა მეტოქე დაგვიხასიათოთ...**

- ხორვატიამ პირველივე შესარჩეც ციკლში სერიოზული განაცხადი გააკეთა. ამ ქვეყნის ნაკრებს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ბრინჯაო აქვს მოგებული და დღესაც ძლიერი გუნდია - აბა, პირველ კალათში შემთხვევით ხომ არ მოხვდებოდა? რაც შეეხება საბერძნეთს, ოტო რეჰაგელის გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა და დღესაც ძლიერი მეტოქეა ყველა გუნდისთვის.

» მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012

## მეორე ადგილი? ნუ მოვაქცევთ გუნდს ფსიქოლოგიურ წნეხში...

« მე-3 გვერდიდან

ებრაული ფეხბურთი ამ ბოლო ხანს საგრძნობლად წამოიწია და ისრაელის ნაკრებიც აგრძელებს პროგრესს. ლატვიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა. ბოლო შესარჩევი ციკლიც კარგად დაიწყეს, მაგრამ მერე ისე კარგად აღარ წაუვიდათ საქმე... რაც შეეხება მალტას, სამწუხაროდ, შორეული წარსული არაა, რაც ჩვენი ნაკრები მალტასთან 2:0 დამარცხდა. ასე რომ, მალტელები შესარჩევ ციკლში არაერთ დაუგეგმავ ქულას დააკარგვინებენ მეტოქეებს.

**- ჯგუფის სათამაშო კალენდარზე 7 მარტს ათენში შეიკრიბებით. ალბათ მატჩების თქვენეული განრიგი თუ არა, გარკვეული მონახაზი უკვე გაქვთ...**

- ამ საკითხზე კიდევ ვიმუშავებთ. რა თქმა უნდა, გარკვეული მონახაზები გვაქვს, მაგრამ 7 მარტის შეხვედრაზე ყველა თავისი ინტერესების გატარებას შეეცდება. მთლიანად ჩვენეული ვარიანტის გატანა, რა თქმა უნდა, გაჭირდება. ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენს ვარიანტთან მიახლოებული კალენდარი დამტკიცდეს.

**- ამხანაგური მატჩების ორგანიზების მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- ამაზეც მიდის მუშაობა. 3 მარტის შემდეგ აგვისტოში გვიწევს ამხანაგური შეხვედრა. ეს, ფაქტობრივად, შესარჩევი ციკლის წინა პერიოდია და ამ მატჩს დიდი დატვირთვა ექნება.

ქეცბაიამდე, რამდენიმე კითხვით **რევაზ არველაძეს** მივმართეთ.

- მართალია, ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი არ გვყავს, ისეთი, როგორიც წინა შესარჩევ ციკლში იტალია იყო, უფრო ადრე კი ინგლისი, გერმანია... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლ ჯგუფში ვართ. ჩემი აზრით, მძიმე ჯგუფში ვართ. ხორვატიასთან და საბერძნეთთან რთული მატჩები გველის. იმავეს თქმა შეიძლება ისრაელსა და ლატვიაზეც, მალტაც არავის დაუთმობს რამეს იოლად...

**- სათამაშო კალენდრის შემუშავებასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- სათამაშო კალენდარი? ჯგუფის მეტოქე ფედერაციების წარმომადგენლები და ნაკრების მწვრთნელები 7 მარტს, სავარაუდოდ, ათენში შევიკრიბებით და იქ წარიმართება მუშაობა ჯგუფის სათამაშო კალენდარზე. რა თქმა უნდა, ათენში ყველა თავისი ვარიანტის გატანას შეეცდება და ჩვენც ბოლომდე დავიცავთ ჩვენეულ ვარიანტს.

**- უკვე შემუშავებული ხომ არ გაქვთ სათამაშო კალენდრის ჩვენეული ვარიანტი?**

- გარკვეული მონახაზები გვაქვს, მაგრამ სრულყოფილებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ჯერ დრო გვაქვს, თითქმის თვეა ათენის შეხვედრამდე. იქამდე ჩვენეულ ვარიანტსაც დავხვეწთ.

**- ამხანაგური მატჩების ორგანიზების თაობაზეც ხომ არ გქონიათ შეხვედრები?**

გენერალური მდივნის დარად, ჩვენს ჯგუფს „მძიმე" უწოდა ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც.

*„სუსტ ჯგუფში ნამდვილად არ ვართ. თანაბარი და ძალზე რთული ჯგუფია. მეტოქეებს თუ გადავხედავთ, ხორვატია ის გუნდია, რომელმაც ინგლისი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა. საბერძნეთი 2004 წელს სულაც ევროპის ჩემპიონი გახდა. კარგი გუნდია ისრაელის ნაკრებიც და ვფიქრობ, პირველ ორ მეტოქესაც არაფერს დაუთმობს. ლატვია პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენზე უკეთესი ტრადიციები თუ არ აქვს, ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა. ლატვიაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა გამართულია, ჩვენ კი ამას ახლა ვიწყებთ... ასე რომ, იოლი ჯგუფი ნამდვილად არაა".*

**დავით ცაბაძე**

# ბრძოლა შეიძლება, მაგრამ შევძლებთ?!

**ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ ყველაზე რთული და არასასურველი მეტოქეები აგვაცილა. F ჯგუფი, რომელშიც საქართველო მოხვდა, დაახლოებით თანაბარი დონის ნაკრებებით დაკომპლექტდა. წილისყრის შედეგებმა ჩვენი საფეხბურთო საზოგადოება დააიმედა...**

### სოსო ჭედია

## ზუსტად ამაზე ვოცნებობდი!

...საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა თუ არა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **სოსო ჭედიას** დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:

- კენჭისყრამდე ვამბობდი, რომ ხორვატიასთან, საბერძნეთთან და ისრაელთან მოხვედრა მსურდა და ასე აგიხდათ ყველაფერი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ვარიანტი, რაზეც შეიძლებოდა გვეოცნება. ვფიქრობ, არა მხოლოდ მე, მთელი საფეხბურთო საქართველო კმაყოფილი უნდა დარჩეს. აქ შეიძლება რაღაც იმედი გვქონდეს და ხალხი ოდნავ მაინც ვანერვიულოთ. გასვლას არ ვგულისხმობ, მაგრამ ბრძოლას წინ რა უდგას? საამისოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. თითქმის ყველა გუნდს თანაბარი შანსი აქვს. მათ უმეტესობას კარგად ვიცნობ, განსაკუთრებით საბერძნეთს და მიმაჩნია, რომ თითოეულ მათგანთან მოგებაც შესაძლებელია. გამოკვეთილ ფავორიტებსაც ვერ ვხედავ.

**- და მაინც, ყველაზე ძლიერ მეტოქედ რომელი ნაკრები მიგაჩნიათ?**

- ხორვატია. თუმცა თამაში მასთანაც შეიძლება.

**- თქვენი აზრით, რომელ ადგილზე გასვლაა რეალური?**

- მიჭირს ამის თქმა, რადგან მეორე ადგილის დაკავება პირველი ხუთი გუნდიდან ნებისმიერს შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, მე ეს არ გამიკვირდება. ლატვია, ისრაელი და საბერძნეთი ის გუნდები არიან, რომლებთან მოგებაც წარმოუდგენელი არ არის.

**- საბერძნეთს კარგად უნდა იცნობდეთ. ბოლო წლებში ეს გუნდი დასუსტდა?**

- სუსტიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთი ძლიერიც აღარაა, ევროპის ჩემპიონატი რომ მოიგო. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, პლეი ოფში უკრაინას მოუგო, მაგრამ ბრძოლა შეგვიძლია. მთავარია, რომ ჩვენს ჯგუფში ევროპული ფეხბურთის გრანდები - ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და ესპანეთი არ მოხვდნენ. ჯგუფის ვერც ერთ გუნდზე ვერ ვიტყვით, რომ მსგავსი ძალისაა.

### აკაკი დევაძე

## უკეთესს ვერც ვინატრებდი, მაგრამ თამაში რომ დაგვავიწყდა?

აკაკი დევაძე, ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე:

- ილუზიამ არ უნდა შეგვიპყროს. თანაბარი ძალის ნაკრებები შეგვხვდა, არც ერთი სხვაზე ბევრად ძლიერი არაა, უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებდით, მაგრამ თამაში რომ დაგვავიწყდა? მთავარია, ამ დროისთვის როგორი ნაკრები გვეყოლება. ყველა კენჭისყრაზე იმედი გვიჩნდება და ვიძახით, ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთო, მაგრამ გასულ ციკლში რომ გვყავდა, ისეთი ნაკრებით „პრიმასტერების" დონეზეც ვერ გავალთ. ეგაა, ქეცბაიას იმედი მაქვს, მონდომებული და გულიანი კაცია, ცოტა ყისმათიც გვინდა და იქნებ მესამე ადგილი დავიკავოთ. გასვლაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამაზე არც ვფიქრობ.

**- რომელი გუნდია ყველაზე არასასურველი მეტოქე?**

- ალბათ, ხორვატია, რომელიც სტაბილურად მაღალი დონის თამაშს აჩვენებს. ეს ერთადერთი გამოკვეთილი ფავორიტია, სხვებზე იმავეს ვერ ვიტყვი, ხან ძლიერდებოდნენ, ხან სუსტდებოდნენ. ისე, ხორვატიაც არ არის ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის გრანდი, რომელთან ქულის იმედიც არ გვექნებოდა. ჩვენხელა ქვეყანაა და კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ვეომოთ, ქულის მოპოვებას მაინც ხომ შევძლებთ? საერთო ჯამში, მაინც ყველაზე კარგი ჯგუფია. ესპანეთი, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, პორტუგალია ან გერმანია რომ შეგვხვედროდა, ფაქტობრივად, მათთან ჩვენი შანსი ნულის ტოლი იქნებოდა. რუსეთთან მოხვედრა კი გამიხარდებოდა, მაგრამ შეთანხმებისამებრ აგვარიდეს.

### გიორგი ნემსაძე

## ძალიან მაგარი ჯგუფია

გიორგი ნემსაძე, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი:

- ძალიან მაგარი ჯგუფია! ყველა შესაძლო ვარიანტიდან, ვფიქრობ, ყველაზე სასურველში მოვხვდით და გაგვიმართლა. მართალია, ჯგუფი ფინანსურად ფეხბურთის ფედერაციისთვის სასურველი არაა, რადგან არც ერთი გრანდი არ შეგვხვდა და ტელერეპორტაჟებიდანაც დიდად ვერ იხეირებენ, მაგრამ ვფიქრობ, ყველასთვის აჯობებს ნაკლები შემოსავალი და ასეთი მეტოქეები. ყოველ შემთხვევაში, ვხედავ იმის პერსპექტივას, რომ ჯგუფში კარგად ვითამაშოთ და შემდეგი კენჭისყრისთვის წინა კალათაში დავწინაურდეთ. ეს უფრო სუსტ გუნდებთან მოხვედრის წინაპირობა გახდება. თუმცა, ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი უადგილოდ მიმაჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ნემსაძე

U 17

# ხვალ და მაზეგ ბელგიასთან...

## თითქმის გადაწყვეტილი ამბები: სპარინგი გერმანიასთან და შეკრება ავსტრიაში

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გუშინ გვიან ღამით ბელგიაში გაემგზავრა, სადაც იქაურ 17-წლამდელებთან 9 და 11 თებერვალს ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. ცნობისათვის, ბელგიის 17-წლამდელთა ნაკრები ჩვენ მსგავსად, ელიტრაუნდისთვის ემზადება.

თავდაპირველად იმ 18 ფეხბურთელის სიას შემოგთავაზებთ, რომლებიც ბელგიაში საქართველოს ღირსებას დაიცავენ.

მეკარეები: ლეგაშვილი, ტყეშელაშვილი;
მცველები: ტვილდიანი, ხარაბაძე, დოლიძე, გაგნიძე, გრიგალაშვილი;
ნახევარმცველები: პარუნაშვილი, ყაზაიშვილი, პაპავა, ხუბუა, ჭოლოკავა;
თავდამსხმელები: ჭანტურია, სხირტლაძე, კოშაძე, ხუჯაძე, ფარჯიკია, არაბული.

როგორც ხედავთ, სიაშია **გიორგი ჭანტურიაც**, რომელმაც ბოლო თბილისური და ზუგდიდური შეკრებები გამოტოვა. იგი ბელგიაში ბარსელონიდანაც ჩავა და ნაკრებს იქ შეუერთდება. ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანის** თქმით, მას ბელგიაში გუნდის ბირთვთან მიახლოებული კონტინგენტი მიჰყავს, მაგრამ ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელის საქმეში ნახვას ამჯერად ვერ ახერხებს. ნაკრებს ბელგიაში რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული და ზუგდიდის „ბაიაში" ჩარიცხული თავდამსხმელი **რომეო გელენიძეც** ვერ გაჰყვა, მაგრამ ამის მიზეზი არა ტრავმა, არამედ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემებია. იმედია, მსგავსი მიზეზით გელენიძე გუნდს შემდგომში არ გამოაკლდება, რადგან იგი ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრება და ელიტრაუნდში მისგან მწვრთნელები ბევრს ელიან.

ბელგიელებს ორჯერვე ბრიუსელიდან ოცდაათიოდე კილომეტრში მდებარე პატარა ქალაქ მონსში შევხვდებით. *„ამ მატჩების შედეგებს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, მაგრამ ბუნებრივია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ბელგია საკმაოდ ძლიერი გუნდია და მასთან შეხვედრებში ნათლად დავინახავთ ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებს"*, - ამბობს დევდარიანი. მისთვის არც ზუგდიდური შეკრებისას ჩატარებული საკონტროლო მატჩების შედეგებია დიდად მნიშვნელოვანი. შეგახსენებთ, ზუგდიდში ქართველმა 17-წლამდელებმა „ბაიასა" და ბოლნისის „სიონის" წინააღმდეგ ითამაშეს, თბილისში დაბრუნების შემდეგ კი „დინამოს" დუბლებს გაეჯიბრნენ.



წინა პლანზე 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ჭანტურია

ნაკრების თავკაცს გუნდის ამჟამინდელ კონდიციებზეც ვკითხეთ. *„ელიტრაუნდისთვის მზადება ინტენსიურად მიმდინარეობს. ზუგდიდური შეკრების დასრულების შემდეგ თითქმის არ დაგვისვენია, ბოლო დღეებია, თბილისში ვატარებთ ორჯერად ვარჯიშებს. ამჟამად გამძლეობასა და სისწრაფეზე ვამახვილებთ ყურადღებას. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, კარგ პირობებში ვემზადებით და გვაქვს იმის საშუალება, რომ კონცენტრაცია მთლიანად ფეხბურთზე მოვახდინოთ. ელიტრაუნდამდე 20 დღით ადრე უკვე ერთჯერად ვარჯიშებზე გადავალთ, რათა ფეხბურთელები არ გადაიტვირთონ და ტურნირს ფორმის პიკზე მყოფნი შეხვდნენ".*

დევდარიანს არაერთხელ უსაუბრია უცხოური შეკრების საჭიროებაზე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხის მოგვარებაზეც იზრუნა და ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 17-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდის წინ შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება და ჩეხეთში იქიდან გადაინაცვლებს. ავსტრიულ შეკრებაზე საქართველოს ნაკრები მინიმუმ ერთ სპარინგმატჩს ჩაატარებს ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბთან.

შეგახსენებთ, ელიტრაუნდი ჩვენს ჯგუფში 25 მარტს იწყება. ამ დღეს ჯგუფის ფავორიტ და მასპინძელ ჩეხეთს დავუპირისპირდებით, 27 მარტს ჰოლანდიას შევხვდებით, 30-ში კი უკრაინას. იმასაც შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელსაც მაისში ლიხტენშტაინი უმასპინძლებს, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა 26 ფეხბურთელისგან შედგება და სწორედ აქედან აირჩევს დევდარიანი იმ 18 მოთამაშეს, რომლებსაც ელიტრაუნდში დაეყრდნობა. ასე რომ, სანაკრებო ბანაკში მყოფ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ბელგიაში არ წასულან, ელიტრაუნდში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავთ.

*„საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს და ნაკრების ბელგიიდან დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში დაშავებულებიც სრულ მზადყოფნაში იქნებიან. სმოხარული ვარ, რომ გუნდში კონკურენცია გაიზარდა. ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე დიდი არჩევანი არ მქონია და ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებისას ხშირ შემთხვევებში შეზღუდული ვიყავი, ახლა კი ყველა პოზიციაზე მყავს არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი. ნაკრების წინსვლისა და განვითარებისთვის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია"*, - აცხადებს გიორგი დევდარიანი.

დაბოლოს, გერმანიის 17-წლამდელებთან ჩასატარებელ ამხანაგურ შეხვედრის თაობაზე, რის შესახებაც „ლელო" რამდენიმე დღის წინ წერდა - გერმანელები ქართველებს თავისთან პატიჟებენ და მატჩის გამართვას 8-15 მარტის ინტერვალში სთავაზობენ. ეს თარიღი საქართველოს ნაკრების მწვრთნელთათვისაც ხელსაყრელია და ამიტომაც წესით, ამ უდავოდ მნიშვნელოვანი და სასარგებლო შეხვედრის ჩატარებას წინ ველარაფერი უნდა ალუდგეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ბუბა ტყავაძე ზოგიერთ აგენტს კლუბზე მეტი მოგება სურს



ბუბა ტყავაძე

თბილისის „დინამომ" ზამთარში სოლიდური შენაძენები გააკეთა - მეკარე ბექა შეყრილაძე, მცველები - თენგიზ ჩიკვილაძე და მაკედონიელი ალექსანდრ კრსტესკი, „ამერიკა მინეიროს" ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი რობერტინიო (გადაწყვეტამდე უმცირესი დეტალები აშორებს), ნიჭიერი გიორგი თექთურმანიძე და „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კახელიშვილი ნებისმიერ გუნდს გააძლიერებდნენ.

ფაქტობრივად, ზამთარში თბილისის „დინამო" ახალი გუნდი გახდა, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოედანს ტრავმირებული ლიდერები, ალეკო კოშკაძე, გიორგი მერებაშვილი, ნიკა ფირცხალავა და მათე ვაწაძე დაუბრუნდნენ.

„დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზე საინტერესო დეტალებს გვიმხელს.

**- ზამთარში „დინამო" ფაქტობრივად, განახლდა, ბევრი მოთამაშე შეიძინეთ და კლუბი ათამაშდა. თქვენი აზრით, გუნდი ყველა რგოლში დაბალანსდა?**

- საინტერესო ფეხბურთელები დავიმატეთ, მაგრამ უფრო ძლიერ კონკურენციას და მეტი საჭირო მოთამაშის დავიმატებას ვისურვებდი. თუმცა, მიმაჩნია, რომ ექვსი ახალი ფეხბურთელი და ტრავმირებულების დაბრუნება იმ კონკურენტულ გარემოს შექნის, რაც კლუბის გაზრდისთვისაა საჭირო. ეს კი „დინამოსნაირი" ამბიციური გუნდისთვის აუცილებელია. პირველ ეტაპზე კი ტრავმირებულთა სიმრავლის გამო, ოპტიმალური შემადგენლობის დაყენება ვერ ხერხდებოდა. ფეხბურთელებმა ლამის წინასწარ იცოდნენ, ვის უნდა ეთამაშა და ჩვენი ამოცანა გახდა, როგორმე საბრძოლო შემადგენლობა შეგვეკრიბა. კონკურენციაზე ლაპარაკი აღარ იყო.

**- ბრაზილიელი რობერტინიოს ტრანსფერს რა აბრკოლებს?**

- სანამ საკითხს წერტილი არ დაესმება, მანამდე ტრანსფერს გადაწყვეტილად ვერ გამოვაცხადებთ. ბრაზილიიდან სატრანსფერო ფურცელს ველოდებით და მისთვის განკუთვნილ 20-ნომრიან მაისურას ამის შემდეგ მიიღებს, თორემ ფეხბურთელთან ყველაფერზე შევთანხმდით და გუნდში მისი ჩარიცხვა გადაწყვეტილია.

**- ექვსი ფეხბურთელი დაიმატეთ, მაგრამ ნახევარ წელიწადში კონტრაქტი უმთავრდებათ „დინამოს" ლიდერებს, გიორგი მერებაშვილსა და ძმებ კაშიებს, ახალი კი არ გაფორმებულა. ეს რას ნიშნავს, კლუბი მათ უკეთეს ლიგებში მოხვედრას ხელს არ უშლის?**

- ძმებ კაშიებს კონტრაქტი მაისში მართლაც უმთავრდებათ, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, გააგრძელებენ ჩვენთან ურთიერთობას. რაც შეეხება მერებაშვილს, კონტრაქტი მაისში არ უმთავრდება. უცხოეთში სამივე მაშინ წავა, როდესაც კლუბი გადაწყვეტს.

**- ამ მოთამაშეების მიმართ დაინტერესება არ არსებობს?**

- ინტერესი არა მხოლოდ კაშიებისა და მერებაშვილის მიმართ, არამედ, თითქმის ყველა დინამოელის მიმართ არსებობს. თუმცა, ეს სულაც არ არის ტრანსფერის განხორციელების ერთადერთი წინაპირობა.

**- ტრანსფერისთვის რა წინაპირობას აყენებთ?**

- დაინტერესებული გუნდი უნდა იყოს ისეთი სახელის, სადაც ფეხბურთელის გაშვებას საჭიროდ ჩავთვლით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თბილისის „დინამოს" და ფეხბურთელის ინტერესები. ჩვენი მოთამაშე დაბალი რანგის კლუბში და თანაც, ცუდ პირობებზე გასაშვებად არ გვემეტება. როდესაც ეს სამივე პირობა დაკმაყოფილდება, ტრანსფერიც განხორციელდება.

**- კარგია, თუკი „დინამო" ამ პოზიციას შეინარჩუნებს, ფეხბურთელის იაფად გაყიდვა ქართული სატრანსფერო ბაზარზე ფასებს მართლა სერიოზულად ამცირებს. ამ კუთხით უჩა ლობჟანიძის დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" 2 მილიონ ევროდ გადასვლა სასიამოვნო ფაქტი იყო, თუმცა, კანონზომიერებიდან აშკარად ამოვარდნილი ჩანდა.**

- ამაზე ზრუნვა მოსვლის დღიდან დავიწყეთ, რითაც, რა დასამალია და, ბევრის უკმაყოფილება დავიმსახურეთ.

**- კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

- აგენტებს და მათ ჭკუას აყოლილ ფეხბურთელებს. თუმცა, ეს პოლიტიკა ჩვენი პოზიციაა და მის შეცვლას არ ვაპირებთ. პრინციპს არ ვთმობთ და შესაძლოა, ამის გამო, ფეხბურთელის ტრანსფერი არ განხორციელდეს. გადის დრო და ჩვენი წევრი კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით ტოვებს, მაგრამ ეს მთლიან მიმართულებად შეგვიძლია განვიხილოთ. ასე რომ არ დაგვეყენებინა საკითხი, მაშინ ვერ განხორციელდებოდა ისეთი სოლიდური ტრანსფერები, როგორიც გახლდათ სანდრო კობახიძის „დნიპროში" და დიდიე ოვონოს „ლე მანში" გადასვლა. ეს შეთანხმებები სწორედ ჩვენი პრინციპული პოზიციის შედეგია. ლობჟანიძის ტრანსფერით დავიწყეთ და არ მსურს, ამ საკითხს გვერდი ავუარო: ნამდვილად არ ვთვლი, რომ ამ ტრანსფერის ღირებულება კანონზომიერებიდან ამოვარდნილია. საქართველოში არიან მოთამაშეები, რომელთა ღირებულებაც დაახლოებით ასეთივე ფასით უნდა განისაზღვროს - შეიძლება, ოდნავ ნაკლებად ან მეტად, მაგრამ ამ ფარგლებში და ეს სულაც არაა გაზვიადება. შესაძლოა, „დნიპროისთვის" ლობჟანიძის პოზიცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამხელა თანხა ამიტომაც გადაიხადა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოხარული ვარ, „ზესტაფონი" ქართული სატრანსფერო ბაზრის ფასების დაცვაზე რომ ზრუნავს და კლუბს წარმატებულ ტრანსფერს ვულოცავ, შემდგომში კი ამ კუთხით კიდევ უფრო წარმატებას ვუსურვებ. მიმაჩნია, რომ ყველა ქართული კლუბი ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს.

**- ქართულ სატრანსფერო ბაზარზე თამაშის საერთო წესების დაწესება ურიგო არ იქნებოდა.**

- ფეხბურთელს კლუბი ზრდის, უხდის ხელფასს, ზრუნავს მის ჯანმრთელობასა და მომავალზე. ამ დროს ზოგიერთი აგენტი ფეხბურთელის ფასის დაგდებას ცდილობს, რადგამ ასე თავად უფრო მეტ მოგებას ნახავს. აგენტებს კლუბზე მეტის მოგება სურთ, ასე არ შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# კვასხვაძე გაგრაში ითამაშებს



ნიკა კვასხვაძე

მეორე ეტაპის განახლებამდე ერთი დღით ადრე, „გაგრა" საინტერესო ფეხბურთელით გაძლიერდა - კლუბმა „ზესტაფონიდან" 21 წლის მარჯვენა ნახევარმცველი **ნიკა კვასხვაძე** დაიმატა. კვასხვაძე „ზესტაფონში" ხშირად თამაშობდა, მაგრამ უმთავრესად - შეცვლებზე, ძირითად შემადგენლობაში კი ვერ ხვდებოდა და გასხვისებას დათანხმდა.

„გაგრას" პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, იჯარა ექვსთვიანია და თუკი რაიმე გაუთვალისწინებელმა პრობლემამ არ იჩინა თავი, კვასხვაძე „გაგრას" დღესვე დაეხმარება - კლუბი მეორე ეტაპს ეროვნულ სტადიონზე თბილისის „დინამოსთან" სტუმრობით ხსნის.

*„კვასხვაძე ჩვენთვის დიდი შენაძენია და გვჯერა, რომ კლუბს დასახული ამოცანების გადაჭრაში დაეხმარება. თუკი სეზონის დასრულების შემდეგ თანამშრომლობის სურვილი ორივე მხარეს ექნება, შესაძლოა, „ზესტაფონს" არენდის გახანგრძლივებაზე დაველაპარაკოთ"*, - ამბობს აფხაზავა.

ნიკა კვასხვაძეს გუშინ დავუკავშირდით და გადასვლის მიზეზებით დავინტერესდით.

**- ნიკა, „ზესტაფონი" ამბიციური კლუბია და რატომ დატოვე?**

- გუნდი დროებით დავტოვე, „გაგრაში" ხომ იჯარით გადავედი. მიზეზი ისაა, რომ თამაში მინდოდა, „ზესტაფონში" კი 15-20 წუთი შეცვლაზე თუ შევდიოდი. ახალ კლუბში მეტი სათამაშო პრაქტიკის იმედი მაქვს.

**- „ზესტაფონი" იჯარაზე როგორ დაითანხმე?**

- წასვლის ვარიანტი ადრეც მქონდა და კლუბის ხელმძღვანელობას ველაპარაკე, თუ არ გჭირდებით, გამიშვით-მეთქი. მაშინ არ დამთანხმდნენ, მაგრამ ესპანურ შეკრებაზე განათხოვრება კიდევ ერთხელ ვთხოვე. 21 წლის ვარ და ახლა თუ არ ვითამაშე, როგორ გავიზრდები.

**- „გაგრა" შენით როდის დაინტერესდა?**

- ვიცი, რომ ინტერესი ადრეც ჰქონდათ. „გაგრას" წინააღმდეგ სამჯერ ვითამაშე და ორი გოლი გავუტანე. ალბათ, ჩემი ტრანსფერი ამის შედეგია.

**- სხვა ვარიანტები თუ გქონდა?**

- მანამდე „სამტრედია" დამელაპარაკა, თუმცა, „გაგრა" რეალური და საინტერესო ვარიანტი აღმოჩნდა. ახალგაზრდული, პერსპექტიული კლუბია და რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მთავარი მწვრთნელის, კახა კარანაძის ნდობა დავინახე. ასეთი დამოკიდებულების გამო მასთან მუშაობის პერსპექტივამ გამახარა. მინდა „გაგრაში" დავიბრუნო იმის რწმენა, რომ თამაში შემიძლია.

**- როგორც ვიცი, კლუბში უკვე ივარჯიშე.**

- „ზესტაფონი" ესპანეთიდან 3 თებერვალს დაბრუნდა და მეორე დღიდანვე „გაგრაში" ვივარჯიშე. ალბათ, ხვალ თბილისის „დინამოსთანაც" ვითამაშებ.

**- ლიდერიდან აუტსაიდერში გადასვლა ფსიქოლოგიურად რთული არაა?**

- უთამაშებლობა ბევრად რთულია. ახალგაზრდა ვარ და ჩემთვის მთავარი თამაშია, თორემ მხოლოდ ფულზე რომ ვიყო გამოკიდებული, „ზესტაფონში" შეცვლაზე თამაშსაც დავჯერდებოდი და საკმაოდ კარგ ხელფასს ავიღებდი. თუმცა, ჩემთვის მთავარი თამაშია და არა ფული.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## მხოლოდ კანკავა

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო" კვლავაც ანთალიაში ემზადება. ჩვენებურთა გუნდმა მორიგ საკონტროლო შეხვედრაში „სკა-ენერგიას" 2:0 სძლია. ქართველთაგან ამ შეხვედრაში მხოლოდ **ჯაბა კანკავამ** ითამაშა. კანკავა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ითამაშა. როგორც იცით, **ბექა გოცირიძე** სარეაბილიტაციო კურსს გადის, საბოლოო სამედიცინო შემოწმებისთვის კი ავსტრიაში გაემგზავრება. სოკოლელთა წინააღმდეგ არ უთამაშია დნეპროპეტროვსკელთა გუნდის ახალწვეულს, „ზესტაფონის" ყოფილ მცველ **უჩა ლობჟანიძეს**. იმედია, ლობჟანიძე ახალ გუნდში ადაპტაციას მოკლე ხანში გაივლის და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის სერიოზულ განაცხადს გააკეთებს.

## გიგიაძე იგებს და საუკეთესოებშია

უკრაინის ჩემპიონატში მიმდინრე სეზონის მეორე წრისთვის მზადებას აგრძელებს სიმფეროპოლის „ტავრია", **ვასილ გიგიაძის** გუნდმა მორიგი ამხანაგური შეხვედრა პოლონურ „იაგელონიასთან" გამართა და 2:1 მოიგო. ქართველი თავდამსხმელი სიმფეროპოლელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე **ზბოროვსკიმ** შეცვალა. სანამ გიგიაძე მოედანზე იყო „ტავრია" 1:0-ს იგებდა.

ვასილ გიგიაძესთან დაკავშირებით ერთსაც გამცნობთ. უკრაინულმა ვებგვერდმა football.ua-მ უკრაინის პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან დღემდე 50 საუკეთესო გამოავლინა. რჩეულთა შორისაა გიგიაძეც. ვნახოთ, როგორ ახასიათებს ზემოთ აღნიშნული საიტი ქართველ ფორვარდს:

*„ვასილ გიგიაძე (2001-03, 2004-05, 2009...; 154 მატჩი, 48 გოლი) „ტავრიის" ლეგიონერთა შორის უდავოდ საუკეთესოა. ყირიმზე ვასო ისე გრძნობს თავს, როგორც შინ. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ გიგიაძის ბომბარდირის ტალანტი პირველად სწორედ სიმფეროპოლელთა გუნდში გამოჩნდა. ქართველი თავდამსხმელი როგორც ახალგაზრდა, ასევე ასაკოვანი გულშემატკივრის საყვარელ ფეხბურთელად მიიჩნევა. მან ორჯერ დატოვა სიმფეროპოლი და ორჯერვე უკან დაბრუნდა. „ტავრიაში" ასპარეზობისას გიგიაძე ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ინტერესის სფეროშიც მოხვდა და გამოძახებაც არაერთხელ მიიღო (ცნობისათვის, გიგიაძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 6 მატჩი აქვს ჩატარებული - ავტ.)".*

## ანანიძე დაშავდა

**ჯანო ანანიძის** „სპარტაკმა" ანთალიურ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო მატჩი სოფიის ცსკა-სთან ჩაატარა. მეტოქეები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს. მოსკოველთა გუნდის თავკაცმა **ვალერი კარპინმა** ჯანო ანანიძე ამჯერად სასტარტო შემადგენლობაში არ გაამწესა. ქართველმა ნახევარმცველმა მეორე ტაიმი სრულად ითამაშა, მაგრამ...

მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ ანანიძე დაშავებულია. საბედნიეროდ, მისი ტრავმა სერიოზული არაა. რუსული წყაროების ცნობით, „სპარტაკის" სამედიცინო შტაბი აცხადებს, რომ 17 წლის ქართველი ფეხბურთელი კოჭ-წვივის სახსარში ტკივილმა შეაწუხა და ვითარებას საგანგაშო სულაც არ ეთქმის.

„სპარტაკსა" და ბულგარელთა არმიულ კლუბს შორის ამხანაგური შეხვედრა შაბათს გაიმართა. გუშინ კი ანანიძე მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშით შემოიფარგლა. როგორც ჩანს, ჯანო სრული დატვირთვით ვარჯიშსაც მალე განაახლებს.

**დავით ცაბაძე**



ჯანო ანანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

ტრანსფერის მოლოდინში

# კლიმიაშვილმა ჩეხებს გაუტანა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ჩერნომორეცმა" ამხანაგური მატჩი ჩეხური „სიგმას" წინააღმდეგ ჩაატარა და 1:3 დამარცხდა. ოდესური კლუბისგან განსხვავებით, შეხვედრა წარმატებული გამოდგა „ჩერნომორეცში" სინჯებზე მყოფი **ირაკლი კლიმიაშვილისთვის**. ძირითად შემადგენლობაში გამწესებულმა ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა მატჩის 41-ე წუთზე გოლი გაიტანა. მან ანგარიში გაათანაბრა და პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა, თუმცა შესვენების შემდეგ ჩეხებმა მაინც იძალეს და 3:1 გაიმარჯვეს.

კლიმიაშვილს, რომელიც უკრაინული გუნდის სამწვრთნელო შტაბმა მეორე შეკრებაზეც წაიყვანა, აქამდეც ჰქონდა „ჩერნომორეცში" ჩარიცხვის შესანიშნავი შანსი და იმედია, ეს გოლი მის პოზიციებს კიდევ უფრო განამტკიცებს. შემდეგ საკონტროლო შეხვედრას „ჩერნომორეცი" 11 თებერვალს ჩაატარებს. ოდესელთა მეტოქე რუმინული „ბრაშოვი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ირაკლი კლიმიაშვილი

ლეგიონის უქმეები

# ფორტუნამ დაგვაიმედა, მაგრამ...

## ქართული ლეგიონი რეალობას გვახსენებს

გუშინ ევრო-2012 წლის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა იყო და ქართველ გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ მოგვეცა მომავლის იმედი. თუმცა ამ უქმეებზე ჩვენებურმა ლეგიონერებმა ისევ მიწაზე დაგვანარცხეს, ფეხბურთელებს, რომლებმაც **თემურ ქეცბაიას** მომავალი ნაკრების ძირითადი ბირთვი უნდა შეადგინონ, სათამაშო პრაქტიკა და მწვანე მინდორი ენატრებათ. ცხადია, ლაპარაკი ყველაზე არაა, თუმცა უთამაშებელთა რაოდენობა საგანგაშოდ დიდია. თუნდაც კაპიტნითა და ვიცე-კაპიტნით დავიწყოთ...



ლადო დვალიშვილი

სერია A-ს მორიგ ტურში „მილანი" „ბოლონიას" ეწვია. **ნესტა** კვლავ არ იყო, ხოლო **ფავალი ლეონარდომ** სათადარიგოს როლით დააკმაყოფილა. **კახა კალაძე** კი მაინც ვერ მოხვდა მატჩის განაცხადში, დაცვის ცენტრში **ტიაგოსა** და **ბონერას** დუეტი ვიხილეთ. მატჩი 0:0 მორჩა, ხოლო მე-2 ადგილზე მყოფი „მილანი" უკვე 10 ქულით ჩამორჩება „ინტერს" სკუდეტოსთვის ბრძოლაში. საქართველოს ნაკრების კაპიტანს სერია A-ში 22 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია! ამ სეზონში კი მან სულ 6 ჯერ (22 ტურში) მოირგო „მილანის" შავ-წითელი მაისურა.

ახლა ინგლისის რანგით მე-2 ლიგაში, ჩემპიონშიფში გადავინაცვლოდ, სადაც 22-ე ადგილზე მყოფი „რედინგის" რიგებში ნაკრების ვიცე-კაპიტანი **ზურაბ ხიზანიშვილი** ირიცხება. შაბათს ზურას დებიუტი გველირსა: მართალია, ის ისევ სათადარიგო იყო, მაგრამ „დონკასტერთან" მატჩში ერთმა გარემოებამ ქართველის დებიუტი დააჩქარა. „რედინგი" სტუმრად 2:0-ს იგებდა, როცა მათ მე-80 წუთზე მათ კარში პენალტი დაინიშნა და **მილსი** გააძევეს. ხიზანიშვილი 82-ე წუთზე გამოჩნდა, „რედინგმა" შეინარჩუნა უპირატესობა - 2:1. ხიზანიშვილს ჩემპიონშიპში 12 დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია, მაშინ ის „ნიუკასლის" ღირსებას იცავდა.

ისევ იტალიას დავუბრუნდეთ, 19 წლის **ლევან მჭედლიძეს** უცნაური საქციელი (როცა ის „პალერმოს" შეკრებაზე არ გამოცხადდა) ძვირად დაუჯდა - ის სიცილიურმა კლუბმა არსად გაუშვა. ნაკრების პერსპექტიული ფორვარდი თამაშს ვინ ჩივის, ვერც ვარჯიშობს.

გერმანიაში, ბუნდესლიგაში ერთადერთი **ლევან კობიაშვილი** თამაშობს დღეისათვის, ისიც უიმედო აუტსაიდერ „ჰერტაში". ბერლინელთა მარცხზე უკვე გაცნობეთ, ახლა კი გეტყვით, რომ „შპორტალმა" ჩვენს თანამემამულეს გუნდში ყველაზე ცუდი შეფასება, 5-იანი დაუწერა. *„მარინი მის ფლანგზე აკეთებდა ყველაფერს, რაც მოესურვებოდა. ქართველმა უმეტესი ორთაბრძოლებისა წააგო მასთან. 33-ე წუთზე მისი უხეშობა წითელ ბარათთან მიახლოვებული იყო".*

„ფრაიბურგი" და „შალკე" ლევან კობიაშვილის ორი ყოფილი გუნდია, ბოლო ტურში ისინი 0:0 დაზავდნენ, მაგრამ ქართული დუელი არ შედგა, ფრაიბურგელი **დავით თარგამაძე** განაცხადში ვერ ხვდება, ხოლო „შალკეს" ნახევარმცველ **ლევან ყენიას** ტრავმა ჯერ არ მოურჩენია. „შალკე" 42 ქულით მე-3 ადგილზეა, „ფრაიბურგი" 19 ქულით მე-15 ადგილზეა, „ჰერტას" 11 ქულა აქვს და მყარად ბოლოადგილოსანია.

მეორე ბუნდესლიგაში გუნდს ჯერ ვერ დაუბრუნდა „კარლსრუეს" კაპიტანი **ალექსანდრე იაშვილი**, ძალზე დიდი ხანია „აუგსბურგის" რიგებში არ უთამაშია **ოთარ ხიზანეიშვილს. მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი" დღეს „როტვაისს" მასპინძლობს.

საფრანგეთში ქართველთა „ლე მანი" კვლავ დამარცხდა, ამჯერად „ლანსთან" - 1:2. **გიორგი მაკარიძე** და **ამირან სანაია** ნაკრების კანდიდატები არიან, თუმცა ისინი ამ მატჩის განაცხადში ვერ მოხვდნენ. „ლე მანი" 16 ქულით მე-18 ადგილზეა.

ვფიქრობთ, მძიმე სურათი დავხატეთ, მაგრამ ასეთია რეალობა... ვინც კენჭისყრის შედეგებს გაეცნო, ეს სტატიაც უნდა წაიკითხოს, რომ „ცაში ფრენისგან" თავი შეიკავოს.

ისრაელში, ლიგატ ჰაალის 21-ე ტურში **ლადო დვალიშვილის** ჰაიფას „მაქაბიმ" 4:1 გაანადგურა ბეერ შევას „ჰაპოელი". დვალიშვილმა 59-ე წუთამდე ითამაშა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა **შლომი არბეიტმანმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ჩვენებურს უკვე 4 გოლით გაუსწრო. „მაქაბი" 58 ქულით პირველია და **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელს" თელ ავივიდან 11 ქულით უსწრებს. გუშინ მენთეშაშვილის თანაგუნდელმა **შეხტერმა** დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ლადოს მანაც გაუსწრო.

რაანანას „ჰაპოელი" თელ ავივში ადგილობრივ „მაქაბის" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. სტუმართა ნახევარმცველმა **დავით დილმელაშვილმა** სასტარტოში ითამაშა. მისი გუნდი 17 ქულით მე-13 ადგილზეა. ლეუმითლიგელ და კვიპროსელ ქართველებზე (სადაც თავი გოლით **კლიმენტი ნიტაიშვილმა** გამოიჩინა) ხვალ მოგითხრობთ. აზერბაიჯანში დიდთოვლობის გამო ტური 9 თებერვლისთვის გადაიდო.

დაბოლოს, ბერძნულ სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" ნამდვილი თრილერი მოუგო „ასტერასს" - 4:3. გიორგიმ 90 წუთი ითამაშა მასპინძელთა რიგებში. კრეტელები 28 ქულით მე-8 ადგილზე არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

---

### საქართველოს ჩემპიონატი

ოლიმპი-ბაია
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
*უამინდობის გამო გადაიდო*

**დღეს**

**ზესტაფონი–ლოკომოტივი**
07.02. ზესტაფონი. ცენტრალური
18:00
წინა მატჩები: 0:0, 1:0
დისკვალიფიკაცია: არავინ

**დინამო–გაგრა**
08.02. თბილისი. ეროვნული
18:00
წინა მატჩები: 2:0, 0:0
დისკვალიფიკაცია: არავინ

---

### საფრანგეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბულონი–მონპელიე | 0:2 |
| გრენობლი–ოსერი | 5:0 |
| ლანსი–ლე მანი | 2:1 |
| ნიცა–ლილი | 1:1 |
| პსჟ–ლორიანი | 0:3 |
| სოშო–ნანსი | 1:1 |
| რენი–ბორდო | 4:2 |
| სტ. ეტიენი–მონაკო | 3:0 |
| ტულუზა–ლიონი | 0:0 |
| მარსელი–ვალანსი | 5:1 |

**II დივიზიონი**

XXIII ტური

აიაჩო-ანჟერსი 0:2; ლავალი-ბასტია 1:1; ნანტი-ბრესტი 1:4; შატორუ-კლერმონი 1:3; დიჟონი-ისტრი 1:1; მეცი-ნიმი 3:1; სედანი-სტრასბური 3:3; გინგამი-ტური 2:2; პავრი-ვანი 0:1; არლი-კაენი დღეს.

### ჰოლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ვილემი–ბრედა | 1:2 |
| ეინდჰოვენი–დენ ჰააგი | 2:0 |
| როდა–სპარტა | 2:1 |
| ჰერენვეენი–უტრეხტი | 2:0 |
| ჰერაკლესი–გრონინგენი | 4:3 |
| ფეიენოორდი–ალკმაარი | 1:2 |
| ვაალვიკი–ნიიმეგენი | 0:1 |
| ვენლო–ვიტესი | 2:0 |
| აიაქსი–ტვენტე | 3:0 |

**II დივიზიონი**

XXVI ტური

გრააფსხაპი-როსენდაალი გადაიდო; დენ ბოში-ვეენდამი 2:2; ემენი-ტოპ ოსი გადაიდო; ფორტუნა-ექსელსიორი 2:1; იგლზი-ვოლენდამი 0:0; ჰელმონდი-ცვოლე 2:0; მაასტრიხტი-დორდრეჰტი 1:0; კამბური-აპელდოორნი 1:1; ტელსტარი-ომნივორლდი 1:2.

### ბელგია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი–სტ. ტრუიდენი | 1:2 |
| სერკლი–რუზელარე | 2:0 |
| ლოკერენი–მეხელენი | 2:1 |
| ვესტერლო–ბეერსხოტი | 1:1 |
| ვარეგემი–ბრიუგე | 1:1 |
| კორტრიიკი–შარლერუა | 2:1 |
| გენკი–სტანდარდი | 1:0 |

**II დივიზიონი**

XXV ტური

ანტვერპენი-ლიეჟი 2:0; დენდერი-რონსე 2:1; ლიერსი-ბრიუსელი 2:0; ოსტენდე-ტინენი 3:1; სტანდარდი (ვ)-ტურნე 0:1; ტუბეკე-ტურნჰაუტი 0:0; ვაასლანდი-ბევერენი 2:0; პევერლე-ბერგენი 0:5; ეუპენი-ლომელი დღეს.

### პორტუგალია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი–აკადემიკა | 1:2 |
| სეტუბალი–ბენფიკა | 1:1 |
| ოლჰანენსე–ნასიონალი | 1:0 |
| რიო ავე–ლეიქსოეში | 2:0 |
| მარიტიმუ–ლეირია | 1:0 |
| გიმარაეში–ფერეირა | 1:2 |
| პორტუ–ნავალი | 3:0 |
| ბელენენსეში–ბრაგა | დღეს |

**II დივიზიონი**

XVIII ტური

ფეირენსე-ბეირა მარი 0:2; ვარზიმი-ეშტორილი 0:0; ოლივეირენსე-სანტა კლარა 1:0; ავეში-ტროფენსე 1:0; კარეგადო-პენაფიელი 0:3; ფატიმა-ფრეამუნდე 1:1; პორტიმონენსე-შავეში 2:1; კოვილია-ჟილ ვისენტე 1:2.

### შოტლანდია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| მოზერველი–ჰემილტონი | 1:0 |

**II დივიზიონი**

XXIV ტური

ბრეჩინი-ალოა 1:1; კოუდენბითი-პიტერჰედი 1:3; ისტ ფაიფი-დამბარტონი 2:3; კლაიდი-სტენჰაუზმური 0:2.

**III დივიზიონი**

XXIV ტური

ისტ სტირლინგი-ბირუიკი 3:2; ელჯინი-ალბიონი 3:1; ფორფარი-ლივინგსტონი 2:2; ქუინზ პარკი-სტრანრარი 2:5.

### შოტლანდიის თასი

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| სტ. მირენი–რეინჯერსი | 0:0 |
| დანდი–ეირი | 2:1 |
| კიბერნიანი–მონროუზი | 5:1 |
| კილმარნოკი–ინვერნესი | 3:0 |
| რეითი–აბერდინი | 1:1 |
| როსი–სტირლინგი | 9:0 |
| სტ. ჯონსტონი–დანდი იუნ | 0:1 |
| დანფერმლაინი–სელტიკი | 2:4 |

### კვიპროსი

XX ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი–აელ | 1:2 |
| ალკა–ომონია | 1:3 |
| ანორთოსისი–დოქსა | 3:0 |
| ერმისი–ნეა სალამისი | 1:1 |
| აპოლონი–აპე | 0:0 |
| აპოელ–არისი | 5:0 |
| აეპა–ეთნიკოსი | დღეს |

### საბერძნეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| არისი–პანთრაკიკოსი | 0:2 |
| კავალა–იანინა | 1:0 |
| აეკ–ქსანტი | 3:1 |
| ატრომიტოსი–პანიონიოსი | 1:0 |
| ერგოტელისი–ასტერასი | 4:3 |
| ირაკლისი–პაოკ | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი–ლევადია | 5:1 |
| ლარისა–პანათინაიკოსი | 0:3 |

**II დივიზიონი**

XX ტური

ილიუპოლი-ოლიმპიაკოსი (ვ) 1:3; დიაგორასი-აგროტიკოსი 0:0; ილისიაკოსი-როდოსი 2:1; ეთნიკოსი (პ)-ანაგენისი 2:3; კერკირა-ტრასივულოსი 1:0; ოფი-კალამატა 3:0; პანაიტოლიკოსი-იონიკოსი 3:0; პიერიკოსი-დოხა დღეს; ეთნიკოსი (ა)-პანსერაიკოსი დღეს.

### შვეიცარია

XIX ტური

| | |
|---|---|
| სტ. გალენი–სიონი | 1:0 |
| ციურიხი–ქსამაქსი | 0:0 |
| აარაუ–ბელინცონა | 6:3 |
| ბაზელი–იანგ ბოიზი | 4:0 |
| ლუცერნი–გრასჰოპერსი | 4:2 |

### თურქეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში–გენჩლერი | 4:1 |
| ესქისეჰირი–ბუიუქშეჰირი | 2:1 |
| ქაისერი–გალათასარაი | 0:0 |
| ანკარა–გაზიანთეპი | 0:3 |
| ანკარაგიუჯუ–ბურსა | 0:0 |
| ქასიმფაშა–ანტალია | 2:2 |
| შივასი–დენიზლი | 2:0 |
| ტრაბზონი–მანისა | 3:0 |
| ფენერბახჩე–დიარბაქირი | 1:1 |

**II დივიზიონი**

XXI ტური

ბუკა-ქონია 3:1; ადანა-ქოჯაელი 1:0; ბოლუ-ჰაჩეთეფე 1:2; დარდანელი-ქართალი 1:0; ერჩიესი-ორდუ 3:2; ბბ გაზიანთეფი-ქარაბუქი 0:4; გირეშუნი-მერსინი 2:1; სამსუნი-რიზე 2:0; ალთაი-ქარსიაქა დღეს.

### უელსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ქონვასი–ტნს | 1:0 |
| პ. ტელბოტი–პევერფორდვესტი | 1:0 |
| ეირბასი–ებერისთვითი | 2:0 |
| ბალა თაუნი–ნითი | 1:0 |
| კარმარტენი–უელშპული | 1:1 |
| ნიუთაუნი–ლანელი | 0:2 |
| პორტმედოგი–სეფნი | 1:0 |
| პრესტატინი–ქერსოუსი | 1:0 |
| ბანგორი–რილი | 3:1 |

### ისრაელი

XXI ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)–ჰაპოელი (რ) | 2:0 |
| მაკაბი (ჰ)–ჰაპოელი (ბ-შ) | 4:1 |
| ბნეი შახნინი–ჰაპოელი (ჰ) | 1:0 |
| მაკაბი (ა-ნ)–ჰაპოელი (რ-გ) | 0:1 |
| მაკაბი (ნ)–მაკაბი (ფ-თ) | 2:2 |
| ბნეი იეჰუდა–ბეითარი | 0:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)–ჰაპოელი (ჰ) | 2:2 |
| აშდოდი–ჰაპოელი (თ-ა) | 0:4 |

### არგენტინა

III ტური

| | |
|---|---|
| ლანუსი–არგ. ხუნიორსი | 3:6 |
| ნიუელსი–ბოკა ხუნიორსი | 4:2 |
| ველესი–ხიმნასია (ლ-პ) | 2:1 |
| ტიგრე–კოლონი | 2:2 |
| ჩაკარიტა–ბანფილდი | 2:1 |
| ესტუდიანტესი–სან ლორენსო | 2:0 |
| რ პლეიტი–როსარიო | გვ. დასრულდა |
| რასინგი–არსენალი | გვ. დასრულდა |

### ჩილე

IV ტური

| | |
|---|---|
| სან ლუისი–უნ. კატოლიკა | 1:1 |
| უნ. კონსეპსიონი–ევერტონი | 2:1 |
| უნ. ჩილე–უაჩიპატო | 3:0 |
| კობრესალი–ო'ჰიგინსი | 1:2 |
| ს. მორნინგი–სან ფელიპე | გვ. დასრულდა |
| ესპანიოლა–კოლო კოლო | გვ. დასრულდა |
| სანტიაგო–ლა სერენა | გვ. დასრულდა |
| ნუბლენსე–პალესტინო | გვ. დასრულდა |
| აუდაქსი–კობრელოა | გვ. დასრულდა |

### ურუგვაი

III ტური

| | |
|---|---|
| ნასიონალი–დეფენსორი | 0:1 |
| სენტრალი–სერრო ლარგო | 1:2 |
| სერიტო–სერო | 1:4 |
| დანუბიო–ლივერპული | 2:2 |
| ფენიქსი–მონტევიდეო | 2:1 |
| რამპლა–რივერ პლეიტი | 2:1 |
| ატენასი–ტაკუარემბო | 2:0 |
| პენიაროლი–რასინგი | გვ. დასრულდა |

### მექსიკა

IV ტური

| | |
|---|---|
| 77 კერეტარო–ჩიაპასი | 0:2 |
| კრუს ასული–ს. ლაგუნა | 0:2 |
| ატლანტე–პუებლა | 1:1 |
| პაჩუკა–სან ლუისი | 2:0 |
| ტიგრესი–პუმასი | 2:2 |
| ატლასი–ამერიკა | 1:0 |
| ტოლუკა–მონტერეი | 1:1 |
| ინდიოსი–მორელია | 0:1 |

# ბარსა ცხრა კაცითაც ბარსაა

## დაუსწრებელი დუელი გრძელდება



მესი და ჩავი, აბა, ჩვენ ვინ მოგვერევა...

შაბათს ლა ლიგის სამივე ლიდერმა ითამაშა და სამივემ იოლად მოიგო, არ დაგავიწყდეთ „კამპ ნოუზე" დაფიქსირებულმა 2:1-მა, ცხრა კაცით მოთამაშე „ბარსელონამ" გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე გაუშვა, ისიც პენალტით. ასე რომ, კვლავ შენარჩუნდა „ბლაუგრანას" 5-ქულიანი უპირატესობა სამეფო კლუბთან და ამ უკანასკნელის 8-ქულიანი ჰანდიკაპი „ვალენსიასთან". „სანტიაგო ბერნაბეუზე" და „კამპ ნოუზე" ანგარიშები მასპინძელთა სასარგებლოდ მე-5 წუთზე გაიხსნა, „მესტალიამ" ოდნავ დააგვიანა - სამი წუთით, შემდგომშიც თითქმის ერთნაირი სცენარით განვითარდა მოვლენები, უბრალოდ კატალონიაში მსაჯმა თამაშში „მცირე" კორექტივები შეიტანა...

„ხეტაფესთან" თამაშის წინ გაირკვა, რომ ბრაზილიელ **დანი ალვეშს** არათუ მადრიდელებთან, კიდევ სამი კვირა არ შეეძლება თამაში, **გვარდიოლას** ბედად **ერიკ აბიდალმა** შეძლო თამაში და მის შემცვლელად შეგულებული **მაქსველი** ახალგაზრდა თავკაცმა მარჯვენა ფლანგზე გადაისროლა. მე-5 წუთზე სტუმართა მცველებმა ვერ შეძლეს კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთის მოგერიება, **იაია ტურემ ლეო მესი** მოძებნა და არგენტინელმაც ბრწყინვალედ შემოაბზრიალა ბურთი - 1:0.

ამის შემდეგ მესის კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, ორჯერვე კომბინაცია მაქსველმა წამოიწყო და ორჯერვე მეკარე **კოდინამ** იყოჩაღა. „ხეტაფე" „ბარსას" ნახევარზე 24-ე წუთზე გადავიდა, მაქსველი დაჯარიმდა, მართალია, სტუმრებმა საჯარიმო უხეიროდ შეასრულეს, მაგრამ ბურთის გამოტანისას **ჟერარდ პიკემ** დააგვიანა და **რაფასთან** ორთაბრძოლაში წითელი ბარათი დაიმსახურა. 10 კაცით დარჩენილმა „ბარსელონამ" ოდნავ უკან დაიხია და „ხეტაფესაც" შეექმნა საგოლე მომენტი, **მიკუს** დარტყმა ლამაზ ნახტომში „გააქვავა" **ვალდესმა**. პირველი ტაიმის მიწურულს „ბარსას" ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მესიმ ცენტრში ბურთი **დერეკ ბოატენგს** მოპარა, მისმა შორეულმა პასმა კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მოძებნა, შვედმა მეკარესაც მოუგო დუელი, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი რაფამ გამოიტანა.

გვარდიოლამ იბრაჰიმოვიჩს შესვენებაზეც აცალა, მაგრამ ფორვარდმა მეორე ტაიმიც არაეფექტურად დაიწყო და მწვრთნელმა რიცხობრივ უმცირესობაში პასიური ფორვარდის დატოვება გაუმართლებლად ჩათვალა - 51-ე წუთზე ზლატანის ნაცვლად **ბუსკეტსი** გამოვიდა. აქ კი, **მიჩელმა** გარისკა და, ჩვენი აზრით შეცდა, მან მარცხენა მცველი **მანე** მოხსნა და მის ნაცვლად შემტევი ნახევარმცველი **მანუ დელ მორალი** შეიყვანა. არადა შეტევის ხაზში ეულად დარჩენილი ლეო მესი სამ მცველსაც კი გაუმკლავდა - 66-ე წუთზე ლეო სამმა მეტოქემ ვერ შეაჩერა, არგენტინელმა დროულად მოძებნა უმეთვალყურეოდ დარჩენილი **ჩავი**, რომელმაც ანგარიში 2:0 გახადა.

ამის მერე თამაში დაწყნარდა, მიუხედავად რიცხობრივი უმცირესობისა, გოლის გატანის სურვილი „ბარსას" უფრო ეტყობოდა, ვიდრე მეტოქეს, რომელიც აშკარა უხეშობაზე გადავიდა. მესიმ კიდევ ერთხელ გამოსცადა კოდინას რეაქცია, ხოლო **სეიდუ კეიტამ** ძალიან ლამაზი კომბინაცია 81-ე წუთზე ძალზე უშნო დარტყმით გააფუჭა. „ხეტაფეს" შანსი მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მიეცა, როცა **კეპა ბლანკოსთან** ორთაბრძოლაში **რაფა მარკესი** დაჯარიმდა, მექსიკელმა პიკეს ბედი გაიზიარა, ხოლო **რობერტო სოლდადომ** პენალტის ნიშნულიდან პრესტიჟის გოლი გაიტანა - 2:1. შემდეგ ტურში „ბარსელონა" „ვისენტე კალდერონს" ეწვევა, კატალონიელებს დანი ალვეში, ჟერარდ პიკე და რაფა მარკესი არ ეყოლებათ. „ხეტაფესთან" მატჩში ტრავმა მიიღო იაია ტურემაც, რომელმაც პიკეს გაძევების შემდეგ ცენტრალურ მცველად ითამაშა, ტურე 10-15 დღით დაისვენებს. მადრიდში „ბარსელონას" შეთხელებულ დაცვას დიდი ჯაფა ელის...

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„მსაჯობაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, რადგან ეს დროის ფუჭად ხარჯვად მიმაჩნია. მსაჯი ჩვეულებრივი ადამიანია და შეცდომა მასაც მოსდის. ჩვენ კი ლა ლიგისგან სიამოვნებას ვიღებთ. 10 კაცით თუკი ვინმესთან ძნელია თამაში, პირველ რიგში „ხეტაფეა", მაგრამ ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ, მეტოქეს იქით შევუტიეთ".*

**მიჩელი** (ხეტაფე): *„ვერ შევძელით რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. შეტევაში ცეცხლი გვაკლდა. მაშინაც კი, როცა ბურთის კონტროლი ჩვენი იყო, ვერ ვუტევდით თამამად. „ბარსელონამ" ჩემპიონის ხასიათი გამოავლინა, მათთვის არცთუ იოლ მატჩში".*

ციხე-სიმაგრე „სანტიაგო ბერნაბეუ" დანებებას არ აპირებს - 11 თამაშიდან 11 მოგება, „რეალი" ქულასაც არ კარგავს შინ. „ესპანიოლთან" მატჩის მე-5 წუთზე ანგარიში კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გაიხსნა (აქაც და „კამპ ნოუზე"), **ესტებან გრანერომ** კარგად ჩაახვია საჯარიმოში, სადაც ცენტრალურ მცველად მოთამაშე **სერხიო რამოსმა** ულამაზესი თავურით გაიტანა **კარლოს კამენის** კარში - 1:0. ამის შემდეგ „რეალის" იერიშებს და ბარსელონელთა აფრიკელი გოლკიპერის ყოჩაღობას თვლა არ ჰქონდა. როგორც იქნა, გუნდის ლეგენდა **რაულმა** ჩვეული თამაში შემოგვთავაზა, მაგრამ მისდა „ბედად" კამენიმ ყველა დარტყმული აულო ფორვარდს. 29-ე წუთზე რაულმა ერთხელაც დაჰკრა თავური, მაგრამ კამენიმ კვლავ იყოჩაღა, თუმცა იქვე **კაკამ** დაამატა და ანგარიში 2:0 გახადა. ცხადი გახდა, რომ **პოჩეტინოს** გუნდი, რომელსაც გასვლაზე სექტემბრის შემდეგ გოლი არ გაუტანია, თამაშის გადამრჩენი ველარ იყო.

ანგარიში გამანადგურებელი მატჩის ბოლოს გახდა, შეცვლაზე შესული ორი ლეგიონერის კომბინაცია ლამაზი გოლით დასრულდა, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** პასით **გონსალო იგუაინმა** იხეირა - 3:0.

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„თერთმეტი თამაში მოვიგეთ სახლში, დიდებულია. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 17 მატჩი დარჩა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მომავალს წინასწარ ვერ განვჭვრეტთ. „ბარსელონას" მწვერვალიდან ჩამოგდება ჩვენი მიზანია. პირველი ტაიმი იყო ძალიან კარგი, საბრალო კამენი აქეთ იქით ვახტუნავეთ. მეტოქეს გოლის გატანის შანსი თითქმის არ ჰქონდა. მინდა შევაქო იგუაინი, მან სასტარტოში ადგილი მხოლოდ ტრავმის გამო დაკარგა".*

**მაურისიო პოჩეტინო** (ესპანიოლი): *„პირველ ტაიმში თავდაჯერება გვაკლდა, პირველმა გოლმაც ეგრევე გაგვტეხა. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, თუმცა უკვე ძალიან დაგვაგვიანდა. 0:3 სამართლიანი შედეგია. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ".*

ტური „მესტალიაზე" გაიხსნა, „ლოს ჩე" „ვალიადოლიდს" მასპინძლობდა, რომელიც მოედანზე ახალი თავკაცის, **ონესიმოს** ხელმძღვანელობით გავიდა. მასპინძლებს პირველივე წუთებზე ცენტრალური მცველი **დავიდ ნავარო** დაემტვრათ და ის შესაცვლელი გახდა. თუმცა მალევე, მე-8 წუთზე „მესტალიამ" სიხარულით იხუვლა - არგენტინელმა **ევერ ბანეგამ** გახსნა ანგარიში - 1:0. მალე „პიჩიჩის" მაძიებელმა **დავიდ ვილიამ** მეკარე **ვილიარს** შანსი არ დაუტოვა - 2:0. სტუმრებს, წესით, პირველი ტაიმი გამანადგურებელი ანგარიშით უნდა წაეგოთ. მეორე ტაიმში „ვალიადოლიდი" გამოფხიზლდა, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„იმდენი საგოლე შანსი გვქონდა, რომ სამ თამაშს ეყოფოდა. მგონი, სჯობს ცოტა უფრო დამშვიდებულებმა ვითამაშოთ და არ ავჩქარდეთ შეტევებისას. მიმაჩნია, რომ ჩვენ მომატება შეგვიძლია. ჩემპიონატის პირველ ნახევარში რამდენიმე მატჩში უაზროდ დავკარგეთ ქულები, ახლა უკეთ ვთამაშობთ. „ვალიადოლიდთან" თამაშის შედეგით ერთობ კმაყოფილი ვარ, „მესტალიაზე" გულშემატკივრები გავახარეთ".*

„სან მამესზე" კინალამ წლის სენსაცია მოხდა, სტადიონზე, სადაც თამაში „რეალსა" და „ბარსელონას" უჭირთ, მაჩანჩალა „ხერესს" ტაიმი აშორებდა გამარჯვებასთან. მე-2 წუთზე ანგარიში ბასკთა ამომავალმა ვარსკვლავმა **იკერ მუნიაინმა** გახსნა, მან **ტოკეროს** ჩაწოდებულს მოუსწრო და ახლო მანძილიდან გაიტანა. მაგრამ ანდალუსიელები **ვისენტე მორენოს** და **მარიო ბერმეხოს** გოლებით შესვენებაზე 2:1 უპირატესობით გავიდნენ. მეორე ტაიმში აუტსაიდერთა დაცვამ ვერ ივარგა, **ფერნანდო ლორენტემ** თავურით გაათანაბრა, მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე კი იმავე ფორვარდმა „ატლეტიკს" თრილერში გამარჯვება მოუპოვა - 3:2.

ბალეარებზე ერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, შინ დიდებულად მოთამაშე „მალიორკამ" ამჯერადაც მოიგო, „ვილიარეალი" მცველ **ნუნიესის** გოლის წყალობით დაამარცხა - 1:0. ასე რომ, „ელ სუბმარინოს" ახალ მწვრთნელ **ხუან კარლოს გარიდოს** მარცხიანი დებიუტი გამოუვიდა. „დეპორტივომ" ანდალუსიაში „მალაგასთან" ვერ მოიგო, თუმცა **ალვარესის** გაძევების გამო, ნულოვანი შედეგი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს გალისიელთათვის - 0:0. ნავარაში **ხავიერ კამუნიასის** პასით **კარლოს არანდამ** გაიტანა და „ოსასუნას" სტუმრად საძაგლად მოთამაშე „ტენერიფესთან" 3 ქულა მოუპოვა - 1:0. „ალმერიამ" „სპორტინგთან" შეხვედრა უიღბლოდ დაიწყო, მცველმა **ჩიკომ** საჯარიმოში ხელით ითამაშა, რის გამოც გააძევეს, პენალტი კი **დიეგო კასტრომ** გაიტანა. თუმცა ასტურიელებმა ვერ შეძლეს ამხელა უპირატესობის გამოყენება. პირველივე ტაიმში **ალბერტ კრუსატმა** და **დომინგო სისმამ** ანდალუსიური კლუბი დააწინაურეს. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გილერმემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

13 თებერვალი. **ხერესი-რეალი, ვილიარეალი-ბილბაო, სპორტინგი-ვალენსია.** 14 თებერვალი. **ესპანიოლი-დეპორტივო, სევილია-ოსასუნა, ვალიადოლიდი-სარაგოსა, ხეტაფე-ალმერია, ატლეტიკო-ბარსელონა, რასინგი-მალაგა.** 15 თებერვალი. **ტენერიფე-მალიორკა.**

### ვალენსია-ვალიადოლიდი 2:0

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, ნავარო (6. მარჩენა), დეალბერტი, მატიო - ალბელდა (70. ბარახა), ბანეგა - პ. ერნანდესი (68. დომინგესი), სილვა, მატა - ვილია.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - პ.ლოპესი, არსო, ნივალდო, დელ ორნო - ლაზარო (65. ბუენო), ბორხა - მედუნჯანინი (81. კეკო), კანობიო, სესმა (46. პელე) - კოლსა.

**გოლები:** 1:0 ბანეგა (8), 2:0 ვილია (29)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 19-9; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 25-12 (10-4); **ბურთის ფლობა:** 53%- 47%.

**მაყურებელი:** 36 000

### ბარსელონა-ხეტაფე 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მაქსველი, პიკე, მილიტო, აბიდალი - ჩავი, ტურე (57. მარკესი), კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი (51. ბუსკეტსი), ინიესტა (89. პედრო).

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მანე (55. მანუ) - ბოატენგი, პარეხო (63. კასკერო) - რიოსი, მიკუ (76. კეპა), ალბინი - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 მესი (5), 2:0 ჩავი (66), 2:1 სოლდადო (93-პენ)

**გაძევება:** პიკე (25. ბარსელონა), მარკესი (92. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18-13 (8-6); **ბურთის ფლობა:** 50%- 50%.

**მაყურებელი:** 65 000

### რეალი-ესპანიოლი 3:0

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, ალბიოლი, მარსელო - გრანერო, ჩაბი ალონსო, კაკა, გუტი (68. ლ. დიარა) - ბენზემა (71. იგუაინი), რაული (83. ვან დერ ვაარტი).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - რონკალია, პარეხა (71. ამატი), რუისი, დ. გარსია - ბაენა, ხავიერ მარკესი - ლ. გარსია (61. ხოსე მარკესი), ვერდიუ, კორომინასი (46. ალონსო) - ოსვალდო.

**გოლები:** 1:0 სერხიო რამოსი (5), 2:0 კაკა (29), 3:0 იგუაინი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 26-13 (8-3); **ბურთის ფლობა:** 63%- 37%.

**მაყურებელი:** 60 000

### ალმერია-სპორტინგი 3:1

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვესი - მასედო, აკასიეტე, ჩიკო, სისმა - მბამი, ბერნარდელო - სორიანო, კორონა (56. ხ. ორტისი), კრუსატი (76. გილერმე) - გოიტომი (83. პიატი).

**სპორტინგი (4-4-2):** ხ. პაბლო - სასტრე (77. ნავარო), ხერარდი, გრეგორი, კანელია - პედრო, რივერა, პორტილია (62. კარმელო), დ. კასტრო - ბარალი, ბილიჩი (57. დე ლა კუევასი).

**გოლები:** 0:1 კასტრო (12-პენ), 1:1 კრუსატი (15), 2:1 სისმა (42), 3:1 გილერმე (80)

**გაძევება:** ჩიკო (11. ალმერია), გრეგორი (80. სპორტინგი)

**გაფრთხილება:** 0-7; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 8-21; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 13-14 (3-7); **ბურთის ფლობა:** 49%- 51%.

**მაყურებელი:** 12 000

### ბილბაო-ხერესი 3:2

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო - გურპეგი (51. დე სერიო), ორბაისი (46. სუსაეტა), ხ. მარტინესი - მუნიაინი, ლორენტე, ტოკერო (81. დ. ლოპესი).

**ხერესი (4-4-2):** რენანი - რედონდო, ხიოდა, აიტამი, კასადო - კალვო (81. ალუსტისა), მორენო, კეიტა, მომო (78. ვიკერა) - ბერმეხო, სანჩესი (63. ბერგანტინიოსი).

**გოლები:** 1:0 მუნიაინი (2), 1:1 მორენო (10), 1:2 ბერმეხო (40), 2:2 ლორენტე (64), 3:2 ლორენტე (85)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 18-15 (5-5); **ბურთის ფლობა:** 56%- 44%.

**მაყურებელი:** 30 000

### მალაგა-დეპორტივო 0:0

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გასპარი, გონსალესი, სტეპანოვი, მტილიგა - ტორიბიო, ხ. ლოპესი (46. ობინა) - ფერნანდო, ბენაშური (57. ბა), დუდა - კაიშედო.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ლაურე - ტომასი, ჟუკა - როდრიგესი, ადრიანი (60. პერესი), ალვარესი - ბოდიპო (76. რიკი).

**გაძევება:** ალვარესი (37. დეპორტივო)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (9-0); **ბურთის ფლობა:** 59%- 41%.

**მაყურებელი:** 18 000

### მალიორკა-ვილიარეალი 1:0

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ხოსემი (46. მატიონი), რუბენი, ნუნიესი, აიოსე - სუარესი (69. ვებო), მარტი - ალვარესი, ბ. ვალერო, კასტრო (89. ჩინა) - ადურისი.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ვენტა, გოდინი, გონსალო, კაპდევილია - ფუსტერი (65. იბაგასა), სენა, ბრუნო, პირესი (84. რუბენი) - ნილმარი, ლორენტე (79, კანი).

**გოლი:** 1:0 ნუნიესი (81)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-9 (3-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 000

### ოსასუნა-ტენერიფე 1:0

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - მასუდი (71. კალეხა), რუპერი (78. პუნიალი), ნეკუნამი, კამუნიასი - არანდა (90. ვადოში), პანდიანი.

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, მანოლო, ლუნა, სისილია - მ. ალონსო, რიკარდო - ხუანლუ (82. ანხელი), ალფარო (70. ომარი), კომე (64. დინეი) - ნინო.

**გოლი:** 1:0 არანდა (47)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 12-16 (5-7); **ბურთის ფლობა:** 47%- 53%.

**მაყურებელი:** 18 000

### სარაგოსა-სევილია 2:1

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარისო - პულიდო, იარომიკი, კონტინი, პარედესი (53. ანდერი) - გაბი, პონსიო - არისმენდი (69. პენანტი), კოლუნგა, ელიზეუ (69. ედმილსონი) - სუასო.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, კალა, ესკუდე, ადრიანო - ხ. კარლოსი (46. პეროტი), დუშერი, ლოლო (55. რენატო), კაპელი - ნეგრედო, კანუტე (64. ხ. ნავასი).

**გოლები:** 1:0 კონტინი (31), 1:1 კანუტე (34), 2:1 ნეგრედო (42 ს.კ.)

**გაძევება:** ნეგრედო (81. სევილია), სტანკევიჩიუსი (89. სევილია), კოლუნგა (92. სარაგოსა)

**გაფრთხილება:** 7-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 29 000

### რასინგი-ატლეტიკო 1:1

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრესპო - დიოპი (71. რასენი), კოლსა - მუნიტისი, კანალესი (64. ლუის გარსია), მორალი (79. სერანო) - ტჩიტე.

**ატლეტიკო (4-3-3):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი - ტიაგო, ასუნსაო, რაულ გარსია (56. აგუერო) - ხურადო, ფორლანი (83. ბალდე), სიმაო.

**გოლები:** 0:1 ფორლანი (24), 0:1 კოლსა (36)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 12-9 (4-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 17 | 4 | 0 | 52-11 | 55 |
| 2. რეალი | 21 | 16 | 2 | 3 | 50-15 | 50 |
| 3. ვალენსია | 21 | 12 | 6 | 3 | 38-20 | 42 |
| 4. მალიორკა | 21 | 11 | 4 | 6 | 35-23 | 37 |
| 5. სევილია | 21 | 11 | 3 | 7 | 32-24 | 36 |
| 6. დეპორტივო | 21 | 10 | 5 | 6 | 24-22 | 35 |
| 7. ბილბაო | 21 | 10 | 3 | 8 | 27-27 | 33 |
| 8. ხეტაფე | 21 | 10 | 1 | 10 | 28-26 | 31 |
| 9. ოსასუნა | 21 | 8 | 5 | 8 | 21-21 | 29 |
| 10. ვილიარეალი | 21 | 7 | 5 | 9 | 31-30 | 26 |
| 11. რასინგი | 21 | 6 | 7 | 8 | 24-28 | 25 |
| 12. ატლეტიკო | 21 | 6 | 6 | 9 | 31-34 | 24 |
| 13. სპორტინგი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-25 | 24 |
| 14. ესპანიოლი | 21 | 6 | 5 | 10 | 14-29 | 23 |
| 15. ალმერია | 21 | 5 | 7 | 9 | 22-31 | 22 |
| 16. მალაგა | 21 | 4 | 9 | 8 | 23-26 | 21 |
| 17. სარაგოსა | 21 | 5 | 5 | 11 | 25-43 | 20 |
| 18. ვალიადოლიდი | 21 | 3 | 9 | 9 | 24-38 | 18 |
| 19. ტენერიფე | 21 | 4 | 5 | 12 | 17-40 | 17 |
| 20. ხერესი | 21 | 2 | 5 | 14 | 12-38 | 11 |

**ბომბარდირები:** 16 - მესი (ბარსელონა); 15 - ვილია (ვალენსია); 12 - იგუაინი (რეალი); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), სოლდადო (ხეტაფე); 9 - რონალდო (რეალი), ფორლანი (ატლეტიკო); 8 - ადურისი (მალიორკა), აგუერო (ატლეტიკო), ლუის ფაბიანო (სევილია); 7 - პანდიანი (ოსასუნა), ნეგრედო (სევილია), ბენზემა (რეალი).

### სეგუნდა დივიზიონი

### XXIII ტური

**ელჩე-ნუმანსია 0:1**

გოლი: 0:1 ბარკერო (49)

**ხირონა-ხიმნასტიკი 0:2**

გოლები: 0:1 ხოსე მარი (32), 0:2 ანხელი (84-პენ)

**მურსია-სოსიედადი 1:1**

გოლები: 0:1 ბუენო (50), 1:1 ლაბაკა (56-საკ. კარში)

**ვილიარეალი B-კორდობა 4:0**

გოლები: 1:0 ბორდასი (15), 2:0 მატილია (31), 3:0 კრისტობალი (61), 4:0 ტომასი (68)

გაძევება: ფლორი (85. ვილიარეალი B)

**სელტა-სალამანკა 0:0**

**ბეტისი-ერკულესი 1:1**

გოლები: 1:0 ს. გარსია (25), 1:1 ფარინოსი (61)

გაძევება: ემანა (90. ბეტისი), პასი (90. ერკულესი)

**კადისი-ლევანტე 2:4**

გოლები: 0:1 რუბენი (21), 0:2 ექტორი (44), 1:2 ტოედტლი (55-პენ), 1:3 ხუანლუ (65), 2:3 ტოედტლი (69), 2:4 ჯორდა (85)

გაძევება: სისკო (46. ლევანტე), ხუანლუ (66. კადისი)

**კასტელონი-უელვა 0:0**

**უნიონი-ალბასეტე 2:1**

გოლები: 1:0 დომინგესი (34), 1:1 ბელენკოსო (41), 2:1 დომინგესი (55)

გაძევება: გოიკოეჩეა (87. უნიონი)

**ლას-პალმასი-უესკა 0:0**

**რაიო-ვალეკანო-კარტახენა 2:3**

გოლები: 0:1 ლაფუენტე (25), 0:2 ტოჩე (31), 1:2 არიბასი (39), 2:2 ტიტო (41), 2:3 ტჩიკი (79).

გაძევება: მორენო (85. კარტახენა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 23 | 12 | 8 | 3 | 34-17 | 44 |
| 2. სოსიედადი | 23 | 12 | 8 | 3 | 35-21 | 44 |
| 3. კარტახენა | 23 | 11 | 7 | 5 | 34-22 | 40 |
| 4. ლევანტე | 23 | 9 | 9 | 5 | 29-23 | 36 |
| 5. ვილიარეალი B | 23 | 10 | 6 | 7 | 33-29 | 36 |
| 6. ნუმანსია | 23 | 10 | 6 | 7 | 30-27 | 36 |
| 7. ხიმნასტიკი | 23 | 10 | 5 | 8 | 25-25 | 35 |
| 8. ბეტისი | 23 | 9 | 7 | 7 | 31-24 | 34 |
| 9. ელჩე | 23 | 8 | 7 | 8 | 34-35 | 31 |
| 10. ვალეკანო | 23 | 7 | 10 | 6 | 36-29 | 31 |
| 11. სალამანკა | 23 | 7 | 9 | 7 | 27-29 | 30 |
| 12. კორდობა | 23 | 6 | 11 | 6 | 19-25 | 29 |
| 13. უელვა | 23 | 7 | 7 | 9 | 19-21 | 28 |
| 14. ლას პალმასი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-24 | 28 |
| 15. უესკა | 23 | 5 | 11 | 7 | 18-20 | 26 |
| 16. სელტა | 23 | 5 | 11 | 7 | 20-24 | 26 |
| 17. ალბასეტე | 23 | 6 | 8 | 9 | 32-38 | 26 |
| 18. კადისი | 23 | 5 | 9 | 9 | 24-36 | 24 |
| 19. მურსია | 23 | 4 | 11 | 8 | 28-31 | 23 |
| 20. ხირონა | 23 | 5 | 8 | 10 | 29-38 | 23 |
| 21. უნიონი | 23 | 5 | 6 | 12 | 19-28 | 21 |
| 22. კასტელონი | 23 | 4 | 6 | 13 | 21-35 | 18 |

# ინტერი დაფრინავს

კიდევ ერთხელ გვიწევს იმაზე ლაპარაკი, როგორ დაკარგა „იუვენტუსმა" ქულები და გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. ტურინულ გრანდს ჯერჯერობით ვერც **ალბერტო ძაკერონი** შველის, რომელმაც „კომუნისტებთან" გუნდი ახალი ტაქტიკით, 3-5-2-ით ათამაშა. როგორც მოსალოდნელი იყო, ძაკმა დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავარო**, **ჯორჯო კიელინი** და **ნიკოლა ლეგროტალიე** გაამწესა. საყრდენ ნახევარმცველებად **ანტონიო კანდრევამ** და **ფელიპე მელომ** იასპარეზეს, გამთამაშებლობა **დიეგომ** ითავა, ფლანგებზე კი **მარტინ კასერესი** და **ფაბიო გროსო** ვიხილეთ. შეტევის წინა ხაზზე **ალესანდრო დელ პიროს კარვალიო ამაური** შეუწყვილდა.

რაც შეეხება „ლივორნოს", გუნდი დაცვაზე გახლდათ ორიენტირებული, თუმცა მიუხედავად ამისა, გაცილებით მეტი ხიფათი მეტოქის კართან სწორედ „კომუნისტებმა" შექმნეს. პირველად **ჯანლუიჯი ბუფონი პულცეტიმ** შეაწუხა, ვინც შორი მანძილიდან გაისროლა და რომ არა კიპერის ოსტატობა, ანგარიშსაც გახსნიდა. თუმცა, მშრალ ანგარიშს დიდი დრო არ ეწერა - 26-ე წუთზე მასპინძლები წინ გავიდნენ, ეს ამბავი კი ასე მოხდა: მარცხენა ფრთიდან **რაიმონდიმ** ჩააწოდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ფილიპინიმ** კი თავური დარტყმით ბუფონს შანსი არ დაუტოვა - 1:0.

გასაოცარია, რომ მასპინძელთა შუახაზელს მეტოქის საჯარიმოში ხელი არავინ შეუშალა. სულ მალე უკვე **კრისტიანო ლუკარელის** შეეძლო გატანა, უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჯიჯი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ტურინელთაგან პირველად დელ პიერომ გაისროლა, საჯარიმო დარტყმა შეასრულა მეტად სახიფათოდ, თუმცა „ლივორნოს" მეკარემ დამაჯერებლად ითამაშა. 42-ე წუთზე კიდევ ერთი სტანდარტული დაინიშნა მასპინძლთა კარის მიმართულებით და **რუბინიო** უკვე უძლური აღმოჩნდა - „იუვეს" კაპიტანმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ბურთს ფეხი რბილად ამოარტყა, საჯარიმოში მყოფმა ნიკოლა ლეგროტალიემ ყველას აჯობა და გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში - 1:1.

მეორე ნახევარი პირველის იდენტური გახლდათ. არც თუ ისე ბევრი სახიფათო იერიში ვიხილეთ, რომელთაგან უმეტესობა სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა. უფრო მეტი საქმე მაინც ბუფონს ჰქონდა, რომელმაც რამდენჯერმე საშუალო სირთულის დარტყმა მოიგერია. მთლიანობაში, ტაიმი მეტად მოსაწყენი გამოდგა, განსაკუთრებით ბოლო ათი წუთი. **ფელიპე მელომ** უწყინარ სიტუაციაში მიიღო მეორე ყვითელი ბარათი და მოედნის დატოვება მოუხდა. სტუმრები გრძნობდნენ, რომ „ლივორნოს" დამმარცხებლები არ იყვნენ, ამიტომ უკან დაიხიეს. მასპინძლებისთვის ფრე ძალიანაც კარგი შედეგი იყო, შესაბამისად, არც მათ მოუკლავთ თავი მეორე გოლის გასატანად. შედეგად, მივიღეთ საყაიმო რეზულტატი, 1:1. ბოლოსთვის, სიტყვა **ფაბიო კანავაროს** გადავცეთ, რომელიც ტრავმის გამო 51-ე წუთზე შეცვალეს:

*„კუნთი დამეჭიმა, თუმცა სერიოზული და სანერვიულო არაფერია. როგორც ექიმებმა მითხრეს, შემდეგი თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. რაც შეეხება შეხვედრას, სამწუხაროდ, კვლავ ვერ გავიმარჯვეთ. ამასთან, უკვე ათი თამაშია, კარის მშრალად შენახვას ვერ ვახერხებთ. ახალი ტაქტიკა გამოვცადეთ და ბუნებრივია, ხარვეზი ბევრი იყო. შრომაა საჭირო, რომ უკეთ ავთამაშდეთ და ამ საშინელ კრიზისს ბოლო მოვუღოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მრცხვენია გულშემატკივრების, ისინი კიდევ ერთხელ გავაწბილეთ".*

**ჟოზე მოურინიომ** „ინტერისგან" ქულების მანქანა გამოჭედა. გამოუვალ სიტუაციაშიც კი, მილანელები შეხვედრას სათავისოდ ასრულებენ. ამ შემთხვევაში, ყველაფერი გაცილებით მარტივად მოხდა, „ნერაძურიმ" „კალიარი" უპრობლემოდ დაამარცხა, 3:0.

მოურინიომ მოულოდნელად ერთბაშად სამი ფორვარდი დააყენა ძირითად შემადგენლობაში: **გორან პანდევი, დიეგო მილიტო** და **სამუელ ეტოო**. ლომბარდიელები პირველივე წუთებზე ეკვეთნენ მეტოქის კარს და თამაშს ინტრიგა მალევე დაუკარგეს. ანგარიში მე-6 წუთზე გაიხსნა, სარდინიელთა საჯარიმოში **ხავიერ ძანეტი** შეიჭრა და შესანიშნავი პასით ეტოო მოძებნა, კამერუნელმა უხეიროდ დაარტყა, თუმცა ბურთი პანდევს მიუგორდა და მანაც აუღელვებლად დალაშქრა მეტოქის კარი - 1:0. რამდენიმე წუთში მაკედონიელს დუბლის შესრულება შეეძლო, თუმცა მისი დარტყმული სტუმართა მეკარემ მოიგერია. მე-20 წუთზე **მიკაელე აგაცი** უძლური აღმოჩნდა, კუთხურიდან ჩაკიდულს **ვალტერ სამუელმა** დაჰკრა თავური და ანგარიში გააორა - 2:0.

მეორე ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, როდესაც „ინტერმა" ანგარიში გამანადგურებელი გახადა. ეტოომ, პანდევმა და მილიტომ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა - 3:0. აი, ამის შემდეგ კი მილანელები ცოტა მოეშვნენ და სტუმრებს შეტევაზე გადასვლის საშუალება მისცეს. სარდინიელები რამდენჯერმე დაემუქრნენ კიდეც **ჟულიო სეზარის** კარს, მაგრამ ბრაზილიელი კარის დარაჯი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. სეზარი მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია, რაც მილანურ დერბიშიც კარგად გამოჩნდა. ეს იყო და ეს, „ინტერი" სკუდეტოსკენ ჯიქურ მიიწევს.

დერბიში მარცხმა „მილანი" თითქოს სეზონის სტარტზე დააბრუნა. გახსოვთ ალბათ კრიზისში მყოფი „როსონერი", რომელიც ქულებს აქეთ-იქით ანიავებდა. უკვე სამი თამაშია, რაც **ლეონარდოს** შეგირდებმა მოგების გემო დაივიწყეს. შედეგად, „მილანი" პოზიციებს თმობს და დღევანდელი გადასახედიდან, უკვე ძნელად სავარაუდოა, რომ „ინტერს" რეალური კონკურენცია გაუწიოს.

„ბოლონიასთან" პაექრობაში მილანელები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხეს. არადა, სტუმრები გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ ორჯერ შეაზანზარეს ბოლონიელთა კარის ხარიხა. ერთხელ **რონალდინიოს** არ გაუმართლა, რომელმაც შორი მანძილიდან უძლიერესად დაარტყა, მეორეჯერ კი **მასიმო ამბროზინის**, ვისაც მსაჯის მიერ დამატებულ უკანასკნელ წუთზე შეეძლო გოლის გატანა. აღსანიშნავია, რომ მასიმოს შესანიშნავად ჩააწოდა „მილანის" ახალწვეულმა **ამანტინო მანსინიმ**. ბრაზილიელს მცირე ტრავმა აწუხებდა, თუმცა მატჩამდე მოასწრო გამოჯანმრთელება და „ბოლონიას" წინააღმდეგ მთელი 90 წუთის განმავლობაში იასპარეზა. ამანტინო საკმაოდ კარგად წარმოჩნდა, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გახლდათ სტუმართა შორის. „როსობლუს" შეტევებში ფაქტობრივად არაფერი შეუქმნია. გუნდი მთელი შეხვედრის განმავლობაში თავს იცავდა და შედეგიდან გამომდინარე, ამოცანას წარმატებულად გაართვა თავი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „უდინეზე"-"ნაპოლის" პაექრობაში **ანტონიო დი ნატალემ** ჰეთ-თრიკი შეასრულა, ფრიულელებმა კი ნეაპოლელები 3:1-ზე დაამარცხეს. გამარჯვების გოლით აღნიშნა სიცილიური დებიუტი **მაქსი ლოპესმა**, „კატანიამ" კი „ლაციო" გასავარდნ ზონაში, მე-18 ადგილზე დააქვეითა.

ტურის ბოლო მატჩში „რომამ" სტუმრად მოუგო „ფიორენტინას" და პირველად ამ სეზონში მეორე ადგილზე ალზევდა, ოღონდ ეგ არის, მესამე ადგილზე ჩამოქვეითებულ „მილანს" ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## მომდევნო ტური

12 თებერვალი. მილანი-უდინეზე. 13 თებერვალი. რომა-პალერმო, სამპდორია-ფიორენტინა. 14 თებერვალი. ლივორნო-ბოლონია, იუვენტუსი-ჯენოა, კატანია-ატალანტა, პარმა-ლაციო, კიევო-სიენა, კალიარი-ბარი, ნაპოლი-ინტერი.



ინტერმა მილანი 10 ქულით ჩამოიტოვა

### პალერმო-პარმა 2:1

**პალერმო:** სირიგუ 6 - კასანი 6, გოიანი 6, კიაერი 6, ბალცარეტი 6.5 - მილიაჩო 6, ნოჩერინო 6.5, ბრეშანო 6 (81. სიმპლისიუ 7) - პასტორე 6.5 (90. ბლაზი) - მიკოლი 7, კასანი 7.

**პარმა:** მირანტე 6.5 - ძაკარდო 6, პანუჩი 5, პაჩი 6, მორონე 5.5, კასტელინი 6.5 - ჯემაილი 6 (31. ლუნარდინი 6), გალოპა 6 (88. ბოჟინოვი), ვალიანი 6 - ხიმენესი 5 (61. ლანცაფამე 6), ბიაბიანი 6.5.

**გოლები:** 1:0 კავანი (62), 1:1 ბიაბიანი (72), 2:1 სიმპლისიუ (87)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 11-23; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 14-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლივორნო-იუვენტუსი 1:1

**ლივორნო:** რუბინიო 5.5 - პერტიკონე 5.5, კნეჟევიჩი 6, დინისი 6.5 - რაიმონდი 5.5 (60. მარკინი 6), პულცეტი 6.5 (81. მორო 6), მოცარტი 6.5, ა. ფილიპინი 7, ვიტალე 7 - ბელუჩი 6 (86. დი ჯენარო), კ. ლუკარელი 5.

**იუვენტუსი:** ბუფონი 6 - ფ. კანავარო 6 (51. ზებინა 5.5), ლეგროტალიე 5.5, კიელინი 6 - კასერესი 6, კანდრევა 5.5, ფელიპე მელო 5, გროსო 5.5 (70. დე ჩელიე 6) - დიეგო 6.5 - დელ პიერო 5 (83. ჯანდონატო), ამაური 5.

**გოლები:** 1:0 ა. ფილიპინი (26), 1:1 ლეგროტალიე (41)

**გაძევება:** ფელიპე მელო (82. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 25-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 13-7 (4-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 867

### ინტერი-კალიარი 3:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 6.5, კორდობა 6, სამუელი 7, სანტონი 6.5 - ხ. ძანეტი 7, კამბიასო 6, ტიაგო მოტა 6 (74. მარიგა 6) - პანდევი 7.5, მილიტო 7 (82. ბალოტელი), ეტო'ო 6 (59. მუნტარი 6).

**კალიარი:** აგაცი 6.5 - დესენა 5.5, ასტორი 6.5, კანინი 5, აგოსტინო 6 - ბიონდინი 6 (56. ბარონე 5.5), კონტი 6.5, ლაძარი 6.5 - ჟედა 6.5 (83. ნაინგოლანი) - ნენე 6 (59. ლარივეი 5.5), მატრი 6.

**გოლები:** 1:0 პანდევი (6), 2:0 სამუელი (20), 3:0 მილიტო (47)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11-17 (7-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 50 000

### ბოლონია-მილანი 0:0

**ბოლონია:** კოლომბო 7.5 - რაჯი 6.5, მორასი 6.5, პორტანოვა 7, ლანა 6 - ბუშე 6, გუანა 6, მუდინგაი 7, მოდესტო 5.5 (78. ბრიტოსი) - ხიმენესი 5.5 (46. ადაილტონი 5.5) - დი ვაიო 6 (89. სუჩი).

**მილანი:** დიდა 6 - აბატე 6, ბონერა 6.5, ტიაგო სილვა 6.5, ანტონინი 6 - პირლო 6, ამბროზინი 6 - ზეედორფი 5 (60. ჰუნტელაარი 5) - მანსინი 5, ბორიელო 5.5, რონალდინიო 6 (78. ბექჰემი).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 2-10 (1-1); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 31 000

### უდინეზე-ნაპოლი 3:1

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6 - ისლა 6, კოდა 6, ლუკოვიჩი 6, პასკუალე 6 - ინლერი 6.5, გ. დ'აგოსტინო 6.5 (66. სამარკო 6), ასამოა 7 (81. ლოდი) - პეპე 6 (74. გეიხო 6), ფლორო ფლორესი 6.5, დი ნატალე 8.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 7 - კამპანიარო 6.5, პ. კანავარო 6.5, გრავა 5.5 - მაჯო 6.5, პაციენცა 6, გარგანო 6.5, დოსენა 6, ჰამშიკი 6.5 (80. ჩიგარინი) - დენისი 6 (70. ბოლიაჩინო), კვალიარელა 6.5.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (7), 1:1 მაჯო (21), 2:1 დი ნატალე (89), 3:1 დი ნატალე (90)

*მე-7 წუთზე დი ნატალემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** მაჯო (44. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 25-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 23-17 (11-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 909

### ჯენოა-კიევო 1:0

**ჯენოა:** ამელია 7 - პაპასტატოპულოსი 7, დაინელი 7, მორეტი 6.5 - მ. როსი 7.5, მილანეტო 7, იურიჩი 6 (60. ფატიჩი 6), მესტო 6.5 - პალასიო 6 (67. ბოკეტი 6), აკვაფრესკა 6, სკული 6.5 (74. პალადინო).

**კიევო:** სორენტინო 6 - სარდო 6.5, მანდელი 7, იეპესი 6.5, მანტოვანი 6 - ლუსიანო 6.5, რიგონი 7 (70. ბენტივოლიო), მარკოლინი 6.5 (75. არიატი) - პინცი 6 - პელისიერი 6.5, ბოგდანი 5.5 (68. აბრუსკატო).

**გოლი:** 1:0 მ. როძსი (63)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-12 (2-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 977

### ატალანტა-ბარი 1:0

**ატალანტა:** კონსილი 6.5 - დარიჩი 6, ტალამონტი 6.5, თ. მანფრედინი 6, ბელინი 7 - პინტუ 6.5 (67. ჩერავოლო 6), კაზერტა 6 (73. ტირიბოკი 7), პადოინი 5.5, ვალდესი 7.5 - კ. დონი 6.5 - ამორუზო 6.5 (73. ჩევანტონი 6.5).

**ბარი:** ჟილე 6.5 - ა. მაზიელო 5, დიამუტენი 5, ბონუჩი 5.5, ს. მაზიელო 5 - ე. ალვარესი 5 (69. სესტუ 5), დონატი 6, გაცი 6, კომანი 5.5 (73. კამატა 6) - მეჯორინი 6, პ. ბარეტო 6.5 (66. კასტილიო 5).

**გოლი:** 1:0 ტირიბოკი (82)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 28-8 (8-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 10 000

### სიენა-სამპდორია 1:2

**სიენა:** კურჩი 4 - მალაგო 5, კრიბარი 5.5, პრატალი 4.5 (80. დელ გროსო), ა. როსი 6 - კოდრეა 5 - რეჟინალდო 5.5, ვერგასოლა 5.5, ციონისი 5 (46. გეზალი 6), იაიალო 5 (40. კალაიო 5.5), მაკარონე 6.5.

**სამპდორია:** სტორარი 6.5 - ძაური 6, გასტალდელო 7, ლუკინი 6 (40. მ. როსი 6), ციგლერი 6 - სემიოლი 5.5, პალომბო 6, ტისონე 5.5, მანინი 5 (84. კაჩატორე) - პაცინი 6 (56. გუბერტი 6), პოცი 6.5.

**გოლები:** 0:1 გასტალდელო (3), 0:2 პოცი (77), 1:2 მაკარონე (82)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 29-16; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 17-6 (5-3); **ბურთის ფლობა:** 56%-446%.

**მაყურებელი:**

### ლაციო-კატანია 0:1

**ლაციო:** მუსლერა 6 - ბიავა 6, დიასი 6, რადუ 6, კოლაროვი 5.5 - ფირმანი 6 (71. დიაკიტი 6), ბარონიო 4, ჰიტცლშპერგერი 5.5 (64. როკი 6) - მაური 6.5 (76. კრუსი) - ფლოკარი 5.5, სარატე 5.5.

**კატანია:** ანდუხარი 7 - პ. ალვარესი 6.5, სპოლი 7, სილვესტრი 7, კაპუანო 6.5 - კარბონი 6 (46. რიკიუტი 6.5), ბიაჯანტი 6 - იცკო 5.5, მასკარა 6 (85. მორიმოტო), ლამა 6.5 - მაქსი ლოპესი 6 (79. ტერლიცი).

**გოლი:** 0:1 მაქსი ლოპესი (63)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 26-8 (5-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 15 000

### ფიორენტინა-რომა 0:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6 - დე სილვესტრი 6.5 (85. სანტანა), გამბერინი 6, კროლდრუპი 6, პასკუალი 6.5 (84. კეირისონი) - მონტოლივო 7.5, ბოლატი 6.5 (59. დონადელი 5.5), მარკიონი 6.5 - იოვეტიჩი 7, ვარგასი 7 - ჯილარდინო 5.

**რომა:** ჟულიო სერჟიო 7 - მოტა 6.5, მექსე 6.5, ჟუანი 7, რიისე 6.5 - დე როსი 6.5, პისარო 6, ტადეი 6 (82. მენეზი), პეროტა 6 - ვუჩინიჩი 6 (90. ანდრეოლი), ტოტი 5 (46. ჟულიო ბაპტიშტა 6.5).

**გოლი:** 0:1 ვუჩინიჩი (82)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 20-10 (8-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 27 442

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 16 | 4 | 2 | 48-19 | 52 |
| 2. რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 38-26 | 44 |
| 3. მილანი | 22 | 12 | 6 | 4 | 36-22 | 42 |
| 4. ნაპოლი | 23 | 10 | 8 | 5 | 32-27 | 38 |
| 5. პალერმო | 23 | 10 | 7 | 6 | 31-26 | 37 |
| 6. სამპდორია | 23 | 10 | 6 | 7 | 30-31 | 36 |
| 7. ჯენოა | 23 | 10 | 5 | 8 | 36-36 | 35 |
| 8. იუვენტუსი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-29 | 34 |
| 9. კალიარი | 22 | 9 | 5 | 8 | 34-29 | 32 |
| 10. ბარი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-25 | 32 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 9 | 4 | 9 | 28-25 | 31 |
| 12. კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 23-24 | 29 |
| 13. პარმა | 22 | 8 | 5 | 9 | 25-31 | 29 |
| 14. ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 24-31 | 25 |
| 15. უდინეზე | 22 | 6 | 6 | 10 | 26-29 | 24 |
| 16. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 23-30 | 23 |
| 17. ლივორნო | 23 | 6 | 5 | 12 | 15-31 | 23 |
| 18. ლაციო | 22 | 4 | 9 | 9 | 16-23 | 21 |
| 19. ატალანტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-34 | 20 |
| 20. სიენა | 23 | 3 | 4 | 16 | 24-46 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 - დი ნატალე (უდინეზე); 14 - მილიტო (ინტერი); 11 - პ. ბარეტო (ბარი), პაცინი (სამპდორია); 10 - მატრი (კალიარი), ტოტი (რომა); 9 - ჯილარდინო (ფიორენტინა), მაკარონე (სიენა), რონალდინიო (მილანი); 8 - კავანი (პალერმო), დი ვაიო (ბოლონია), ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი).

## სერია B

### XXIV ტური

**ტორინო-ბრეშა** 1:1

გოლები: 0:1 კარაჩოლო (20), 1:1 რ. ბიანკი (46)

**პიაჩენცა-პადოვა** 1:0

გოლი: 1:0 მოსკარდელი (75)

**კროტონე-ემპოლი** 2:1

გოლები: 1:0 ჯინესტრა (57-პენ), 2:0 გაბიონეტა (81), 2:1 ედერი (90)

**მანტოვა-ასკოლი** 0:0

**ჩიტადელა-ჩეზენა** 1:1

გოლები: 0:1 გრეკო (5), 1:1 იუნკო (77)

**ვიჩენცა-რეჯინა** 3:1

გოლები: 1:0 დე ჩეზარე (30), 2:0 ლიტერი (33), 2:1 ბრიენცა (64), 3:1 ზგრინია (72)

**ტრიესტინა-სასუოლო** 0:1

გოლი: 0:1 კუადრინი (38)

**ფროზინონე-ლეჩე** 0:4

გოლები: 0:1 მუნარი (13), 0:2 მარილუნგო (50), 0:3 მუნარი (58), 0:4 დი მიკელე (78)

**ანკონა-ალბინოლეფე** 2:1

გოლები: 0:1 რუოპოლო (1), 1:1 ჯერარდი (11), 2:1 მირამონტესი (71)

გაძევება: ძავანიო (48. ანკონა)

**მოდენა-სალერნიტანა** 1:0

გოლი: 1:0 პინარდი (70-პენ)

**გალიპოლი-გროსეტო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 24 | 12 | 9 | 3 | 38-22 | 45 |
| 2. ლეჩე | 24 | 13 | 6 | 5 | 39-25 | 45 |
| 3. ჩეზენა | 24 | 10 | 10 | 4 | 32-14 | 40 |
| 4. ანკონა | 24 | 12 | 4 | 8 | 34-26 | 40 |
| 5. ბრეშა | 24 | 10 | 6 | 8 | 32-29 | 36 |
| 6. გროსეტო | 23 | 9 | 9 | 5 | 34-32 | 36 |
| 7. მოდენა | 24 | 10 | 5 | 9 | 21-22 | 35 |
| 8. ემპოლი | 24 | 9 | 7 | 8 | 29-27 | 34 |
| 9. ფროზინონე | 24 | 10 | 4 | 10 | 32-40 | 34 |
| 10. ტორინო | 24 | 8 | 8 | 8 | 29-22 | 32 |
| 11. ასკოლი | 24 | 8 | 8 | 8 | 35-34 | 32 |
| 12. ალბინოლეფე | 24 | 8 | 8 | 8 | 32-33 | 32 |
| 13. ვიჩენცა | 24 | 7 | 10 | 7 | 24-22 | 31 |
| 14. ჩიტადელა | 24 | 7 | 9 | 8 | 29-28 | 30 |
| 15. გალიპოლი | 23 | 7 | 8 | 8 | 21-29 | 29 |
| 16. კროტონე (-2) | 24 | 7 | 9 | 8 | 25-31 | 28 |
| 17. პიაჩენცა | 24 | 7 | 6 | 11 | 20-28 | 27 |
| 18. ტრიესტინა | 24 | 7 | 6 | 11 | 24-34 | 27 |
| 19. მანტოვა | 24 | 5 | 11 | 8 | 26-28 | 26 |
| 20. პადოვა | 24 | 6 | 8 | 10 | 24-27 | 26 |
| 21. რეჯინა | 24 | 7 | 5 | 12 | 28-37 | 26 |
| 22. სალერნიტანა | 24 | 3 | 6 | 14 | 21-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 17 - კარაჩოლო (ბრეშა); 15 - ანტენუჩი (ასკოლი); 14 - მასტრონუნციო (ანკონა), პინილია (გროსეტო); 14 - რ. ბიანკი (ტორინო); 12 - ნოსელი (სასუოლო); 10 - არდემანი (ჩიტადელა), ბერნაჩი (ასკოლი), ედერი (ემპოლი), ზგრინია (ვიჩენცა).

## ლეგა პრო 1/A

### XXIII ტური

კომო-ფილინე 0:2, სორენტო-ლუმეცანე 2:2, ვარეზე-ბენევენტო 1:1, ფოლინიო-ლეკო 2:3, პროპატრია-პაგანეზე 2:1, არეცო-კრემონეზე 2:2, პერგოკრემა-ვიარეჯო 1:0, მონცა-პერუჯა 0:0, ალესანდრია-ნოვარა დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XXIII ტური

რეჯანა-ტარანტო 0:0, ლანჩანო-კოზენცა 0:1, ანდრია-პესკარა 1:1, პეშინა-რეალ მარჩანიზე 3:3, ჯულიანოვა-პორტოგრუარო 2:1, ფოჯა-ტერნანა 1:2, პოტენცა-სპალ 2:2, კავეზე-რიმინი 1:0, ვერონა-რავენა 2:1.

# ლევერკუზენი აიჭრა, ბაიერნი აგრძელებს

## რობენმა ვან გაალს სიტყვა შეუბრუნა! რიბერი: გახსოვდეთ ტონი...



ფრანკ რიბერიმ (მარცხნივ) და კომპანიამ ანდრე ლენცის კარი სამჯერ დალაშქრეს

მიუნხენის „ბაიერნმა" შაბათს „ვოლფსბურგზე" შურისძიება ასი პროცენტით სრულყო: გერმანიის მოქმედი ჩემპიონი მისსავე მოედანზე 3:1 დაამარცხა. ბავარიელებმა შური შარშანდელი 1:5-ისთვის იძიეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** მატჩის შემდეგ თავის შეგირდებზე მაინც გაბრაზებული იყო.

*„მოვიგეთ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ, მეტიც, გაბრაზებული. ეს არ იყო კარგი ფეხბურთი. როდესაც 1:0-ს ან 2:0-ს იგებ, ასე არ უნდა მოეშვა, კონცენტრაცია არ უნდა დაკარგო. ჩვენ კი მოვეშვით და მეტოქეს რამდენიმე კარგი მომენტი შეექმნა,"* - თითქმის ყვიროდა ვან გაალი მატჩისშემდგომი ინტერვიუს დროს.

ჰოლანდიელ სპეციალისტს გუნდის კაპიტანი და მისი თანამემამულე **მარკ ვან ბომელიც** დაეთანხმა: *„მწვრთნელი ასი პროცენტით მართალია. დიდი ხანია, მეტოქეს ჩვენს კართან ამდენი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. ყურადღებით ყოფნაა საჭირო."*

სამაგიეროდ, ვან გაალსა და ვან ბომელს კატეგორიულად არ ეთანხმება მესამე ჰოლანდიელი, „ბაიერნის" ლიდერი **არიენ რობენი**: *„არც ერთს არ ვეთანხმები. ჰო, მთელ რიგ მომენტებში არაკონცენტრირებულები ვიყავით, მაგრამ ასეთი რამ ხდება ხოლმე - ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არა რობოტები. რაც არ უნდა იყოს, 3:1 მოვიგეთ და ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მთავარი."*

რობენზე აუგს ვერავინ იტყვის. არიენმა კიდევ ერთხელ ითამაშა უმაღლეს დონეზე და „მგლებს" მთელი 90 წუთის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა. თანაც, რობენი არ ტყუის - რაც არ უნდა იყოს, „ბაიერნმა" „ვოლფსბურგზე" შური იძია, ბუნდესლიგაში კი ზედიზედ მერვე თამაში მოიგო. ჰო, მართლა: რობენს ნაცრისფერი რეიტუზი აღარ ეცვა. ამჯერად წითლით ითამაშა, როგორც მიუთითეს და საფინალო სასტვენის შემდეგ იცინოდა, დაუჯერებელია, რომ ჩემი რეიტუზის გამო ამხელა ამბავი ატყდაო. შეგახსენებთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა რობენს მიუთითა, აღარ ჩაეცვა ნაცრისფერი რეიტუზი, რადგან ეს არ არის „ბაიერნის" ფერი. *„არა უშავს, წითელიც მშვენივრად მათბობს და თანაც, 2 კვირაში ზამთარიც გავა, დათბება და მერე ჩემი რეიტუზები აღარავის ემახსოვრება,"* - იხუმრა რობენმა. რეიტუზის გამოცვლას რობენის თამაშზე გავლენა არ მოუხდენია: არიენმა რიგით მეხუთე მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა და მოედანზე კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გოლის გატანისთვის მილიმეტრები დააკლდა „ბაიერნის" მეორე ლიდერს, **ფრანკ რიბერის**, რომელიც ვან გაალმა ამჯერად მთელი 45 წუთი ათამაშა. რიბერის გოლი გაჰქონდა, მაგრამ **ანდრეა ბარძალიმ** არ „აცადა", დაასწრო და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, ეს გოლი რიბერიმ **ლუკა ტონის** (იანვარში „რომაში" გაანათხოვრეს) სტილში იზეიმა! *„ეს გოლი ტონის ეძღვნება. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ,"* - აღნიშნა მატჩის შემდეგ რიბერიმ. აქვე გეტყვით, რომ წინა კვირაში ტონიმ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას რიბერი ქებით ცაში აიყვანა. როგორც ხედავთ, ფრანგმა იტალიელს მადლობა გადაუხადა... ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ „ბაიერნი" „ლევერკუზენს" წამოეწია და ქულების რაოდენობით გაუთანაბრდა („ფარმაცევტებმა" „ბოხუმთან" მხოლოდ ფრე ითამაშეს) და რეკორდმაისტერი მხოლოდ იმიტომ არ გალიდერდა, რომ ბურთების შეფარდება „ლევერკუზენზე" ოდნავ (-2) უარესი აქვს. თუმცა ეს ყველაფერი ვან გაალს საერთოდ არ აინტერესებს: *„მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ დავინტერესებულვარ, რა ხდებოდა ბოხუმში. მხოლოდ ჩემი გუნდის მატჩზე ვიყავი კონცენტრირებული."*

მოკლედ, „ლევერკუზენი" ისევ ლიდერია, ამ სეზონში წაგება ისევ არ აქვს, მაგრამ „ბოხუმთან" 1:1-იც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მეტოქე გუნდის ფანებს ლევერკუზენელთათვის მეტად მტკივნეული „სიმღერა" ემღერათ: *„თქვენ ვერასდროს გახდებით გერმანიის ჩემპიონები!"* - შემოსძახეს ბოხუმელებმა საფინალო სასტვენის შემდეგ. არადა, **იუპ ჰაინკესის** გუნდმა ისევ კარგად ითამაშა, მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა, მაგრამ „ბაიერს" ყველაზე მთავარი, „ბაიერნის" იღბალი აკლია. თვითონ განსაჯეთ: 90 წუთის განმავლობაში „ბოხუმმა" ერთადერთხელ დაარტყა კარში ზუსტად და ის დარტყმაც გოლად იქცა - 68-ე წუთზე **რენე ადლერს ზლატკო დედიჩმა** გაუტანა. ამრიგად, „ლევერკუზენმა" 2 მნიშვნელოვანი ქულა და წამყვანი თავდამსხმელი, **ერენ დერდიოკი** (10 გოლი მიმდინარე სეზონში) დაკარგა. ახალგაზრდა შვეიცარიელმა ფორვარდმა 38-ე წუთზე ტრავმა მიიღო, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც (ტკივილებით) ჩაამთავრა და რაც ყველაზე გასაოცარია, პირველი ნახევრის მიწურულს გოლი სწორედ მტკივანი ფეხით გაიტანა, შესვენებაზე კი შეცვალეს. მოედანზე დერდიოკის ნაცვლად შესული **პატრიკ ჰელმესი** ამბობს, ქულებს „ბაიერნიც" დაკარგავსო, მაგრამ დაგვეთანხმებით, „ლევერკუზენს" რეკორდმაისტერის წნეხის გაძლება ძალიან გაუჭირდება. თუმცა „ბაიერს" დიდ მუხტს აძლევს ის ფაქტი, რომ ამ სეზონში გუნდს არც ერთი წაგება არ აქვს (27 ოფიციალური მატჩიდან). ამ მიღწევით ჰაინკესმა პირადი რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, უკვე საკმაოდ კარგი სერია აქვს „ბოხუმსაც". **ჰაიკო ჰერლიხის** ბიჭები ზედიზედ ხუთი ტურია, არ დამარცხებულან. „ბოხუმის" რიგებში დებიუტი ჰქონდა „შალკედან" არენდით აყვანილ **ლუის ჰოლტბის**, რომელმაც პირველივე მატჩში თავი გამოიჩინა - სწორედ მან მისცა დედიჩს საგოლე პასი...

ვერ მოიგო „შალკემაც" (0:0 ფრაიბურგში) და გელზენკირხენელთა ბოსმა **ფელიქს მაგათმა** ორი ქულის დაკარგვა მსაჯს დააბრალა. ფელიქსს ასეთი რამ არ სჩვევია, ის პირველ რიგში თავის ფეხბურთელებს აკრიტიკებს ხოლმე. მსაჯმა **იოხენ დრეესმა** „შალკეს" მართლაც წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. 47-ე წუთი: „შალკეს" მცველმა **მარსელო ბორდონმა** „ფრაიბურგის" კარში თავით დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში ხაზსიქით დაეშვა, მაგრამ მთავარი მსაჯის ასისტენტმა **ტორსტენ ბაუერმა** ეს ყველაფერი ვერ დაინახა, რის გამოც დრეესმა თამაშის გაგრძელების განკარგულება გასცა და „შალკეს" ორი ქულა დააკარგვინა. *„რას ვიზამთ, როცა მსაჯი დაბრმავებულია? რაც მთავარია, უეფაში ფიქრობენ, რომ დამატებითი კამერები და ბურთის ჩიპის გამოყენება საჭირო არ არის, ჩვენ კი დღეს ორი ქულა მხოლოდ იმიტომ დავკარგეთ, რომ არბიტრი შეცდა,"* - როგორც ყოველთვის, ირონიული იყო მაგათი.

ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი „ჰამბურგი" კიოლნში 3:3-ს დასჯერდა, არადა, ჩრდილოელები 3:1-ს იგებდნენ და მათმა მთავარმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** მატჩის მიწურულს მოედანზე თვით **რუუდ ვან ნისტელროიც** შეუშვა. მაგრამ ჰოლანდიელმა „ჰამბურგს" ვერ უშველა, თუმცა როგორ უნდა ეშველა, მოედანზე სულ რაღაც 3 წუთი დაყო. შესაბამისად, ვერ გეტყვით, რა აზრი ჰქონდა მის ასეთ დებიუტს. ვან ნისტელროიმ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბურთს ორჯერ შეეხო.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტი „შტუტგარტი" მეორე წრეში სულ სხვანაირად, ძალიან კარგად თამაშობს, რაც უეჭველად შვაბების ახალი მწვრთნელის, შვეიცარიელი **კრისტიან გროსის** დამსახურებაა. მის ხელში „შტუტგარტმა" უკვე ზედიზედ მეხუთე (!) მატჩი მოიგო. შაბათს გროსის ბიჭებმა „ნიურნბერგი" დაამარცხეს, თანაც სტუმრად, „ფრანკენშტადიონზე" - 2:1. „ჰოფენჰაიმმა" კი „ჰანოვერს" მოუგო (2:1) და ეს გახლდათ ძველი მეგობრების, **რალფ რანგნიკისა** („ჰოფეს" თავკაცი) და **მირკო სლომკას** („ჰანოვერის" მწვრთნელი) ჯახი, რომელშიც გამარჯვებული „ყოფილი ბოსი" გამოვიდა - როცა რანგნიკი „შალკეს" მთავარი მწვრთნელი იყო, სლომკა მისი ასისტენტი გახლდათ. პარასკევს კი, მეორე წრეში პირველი მარცხი იგემა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ". ბერლინელებმა ბრემენში მაგრად კი იბრძოლეს, მაგრამ უაღრესად მონდომებული „ვერდერის" წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. კობიმ ამჯერად მთლად კარგად ვერ ითამაშა: ყვითელი ბარათი აიკიდა (ისე, წითელს იმსახურებდა!) და ვერაფერი გააწყო ბრემენელთა ვერცხლისწყალივით მოძრავი და ტექნიკური მარჯვენა გარემარბის, **მარკო მარინის** წინააღმდეგ. „ჰერტა" კი ბოლო ადგილზე რჩება და ამ გუნდის გადარჩენა ნელ-ნელა სათუო ხდება...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

12 თებერვალი. **ბორუსია (მ)-ნიურნბერგი.** 13 თებერვალი. **ლევერკუზენი-ვოლფსბურგი, შტუტგარტი-ჰამბურგი, ბოხუმი-ჰოფენჰაიმი, ჰანოვერი-ვერდერი, ჰერტა-მაინცი, ბაიერნი-ბორუსია (დ).** 14 თებერვალი. **შალკე-კიოლნი, აინტრახტი-ფრაიბურგი.**

### ვერდერი-ჰერტა 2:1

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე 4 - ფრიტცი 3.5, მერტეზაკერი 3.5, ნალდო 3, პასანენი 3.5 - ნიმაიერი 3.5 (60. უგო ალმეიდა 4), ფრინგსი 2.5 - მარინი 1.5 (83. ბოროვსკი), იოზილი 4 (91. როზენბერგი), პანტი 3 - პისარო 2.5.

**ჰერტა (4-2-2-2):** დრობნი 2 - პიეჩეკი 4.5, ა. ფრიდრიხი 3.5, ფონ ბერგენი 3.5, კობიაშვილი 5 - ლუსტენბერგერი 4.5, სისერო 3.5 - კრინგე 4.5, რაფაელი 4 (85. დომოვჩიისკი) - რამოსი 3.5, გეკასი 2.5.

**გოლები:** 1:0 მარინი (66), 1:1 გეკასი (68), 2:1 პისარო (81)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17(7)-6(2); **ჯარიმა:** 14-14; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 35 600

### ფრაიბურგი-შალკე 0:0

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** პუპლინი 3 - ვილიამსი 3.5, ტოპრაკი 4, ბუტშერი 3, ბასტიანსი 3.5 - ი. შუსტერი 4.5 (71. ბანოვიჩი), ფლუმი 3 - დუ-რიჩა 4, მაკიადი 4 - სისე 3.5 (88. რაიზინგერი), იდრისუ 3.

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი 3.5 - რაფინია 4, პიოვედესი 3, ბორდონი 2, შმიტცი 4 - მატიპი 5 - მორიტცი 4 (77. იბრაიმი), რაკიტიჩი 4 - ბაუმიოჰანი 4 (53. ფარფანი 3) - კურანი 3, სანჩესი 4.

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 6(0)-13(3); **ჯარიმა:** 12-16; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბოხუმი-ლევერკუზენი 1:1

**ბოხუმი (4-2-3-1):** ჰეერვაგენი 2 - კონჩა 4.5, მალტრიტცი 4.5, მავრაი 3, ფუხსი 3.5 - დაბროვსკი 3.5, მარიჩი 4 - პროკოფი 3.5 (25. ფრაიერი 4), ეპალე 5 (46. დედიჩი 2.5), ჰოლტბი 3 - შესტაკი 4.5.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი 3.5 - შვააბი 4 (76. რენატო), მ. ფრიდრიხი 3.5, ჰიიპია 3.5, კადლეცი 3.5 - ვიდალი 2, რაინარტცი 3.5 - ბარნეტა 3, კროოსი 3.5 - კისლინგი 3, დერდიოკი 2.5 (46. ჰელმესი 4.5).

**გოლები:** 0:1 დერდიოკი (45), 1:1 დედიჩი (68)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(1)-16(8); **ჯარიმა:** 22-22; **კუთხური:** 2-5; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 176

### კიოლნი-ჰამბურგი 3:3

**კიოლნი (4-2-2-2):** მონდრაგონი 4.5 - ბრეჩკო 4.5, ჟერომელი 5, მოჰამადი 4, ვომე 4 - პეტიტი 3, პეცონი 3.5 - ტოშიჩი 3 (92. შორხი), ჩიჰი 3 - ფრაისი 4.5 (89. მაკენა), ნოვაკოვიჩი 2.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** როსტი 3 - დემელი 3.5, როზენალი 4.5, მატიისენი 4, აოგო 3.5 - რინკონი 5, იაროლიმი 3 - ელია 3.5 (89. ტეშე), იანსენი 2 - ბერგი 4 (80. ტროხოვსკი), პეტრიჩი 1.5 (90. ვან ნისტელროი).

**გოლები:** 0:1 იანსენი (2), 1:1 მოჰამადი (31), 1:2 პეტრიჩი (36), 1:3 პეტრიჩი (50-პენ), 2:3 ნოვაკოვიჩი (75), 3:3 ჩიჰი (88)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 17(7)-14(9); **ჯარიმა:** 20-27; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 50 000

### ვოლფსბურგი-ბაიერნი 1:3

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ლენცი 3 - რიტერი 4.5, მადლუნგი 5, ბარძალი 4.5, მ. შეფერი 4 - ჟოსუე 5 - ჰასებე 4.5 (61. პეკარიკი 4), გენტნერი 3.5 - მიშიმოვიჩი 4 (71. კალენბერგი) - გრაფიტე 4.5, ჯეკო 3.5.

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 2.5 - ლამი 3.5, ვან ბუიტენი 2.5, დემიკელისი 4, ბადშტუბერი 3 - ვან ბომელი 2.5, შვაინშტაიგერი 2 - რობენი 1.5 (81. კლოზე), თ. მიულერი 2.5 - გომესი 3.5, ოლიჩი 4 (46. რიბერი 3).

*66-ე წუთზე გრაფიტემ (ვოლფსბურგი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 რობენი (2), 0:2 ვან ბუიტენი (26), 0:3 ბარძალი (57-საკ. კარში), 1:3 გრაფიტე (90)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17(9)-18(9); **ჯარიმა:** 13-15; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 42%-48%.

**მაყურებელი:** 28 000

### ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი 2:1

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** ჰილდებრანდი 3.5 - ბეკი 3 (74. ფორსა), შიმუნიჩი 3, კომპერი 3.5 (80. ნილსონი), იბერტსბერგერი 3.5 - კარლოს ედუარდო 2, ლუის გუსტავო 3.5, სალიჰოვიჩი 3 - მაიკოსუელი 3, იბიშევიჩი 4, ობასი 3 (70. ვუკჩევიჩი 4).

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ფრომლოვიტცი 3.5 - ჩაჰედი 4.5, ეგიმანი 3.5, ჰაგი 3.5, რაუში 5 (46. გასემი-ნობახტი 4.5) - ანდრეასენი 4.5 (78. ჰანკე), კ. შულცი 5 - როზენტალი 5.5 (46. პინტუ 5), ელსონი 3.5, შტაინერი 5 - ა. კონე 2.5.

**გოლები:** 1:0 კარლოს ედუარდო (35), 2:0 სალიჰოვიჩი (40-პენ), 2:1 ა. კონე (57)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 14(4)-4(2); **ჯარიმა:** 18-20; **კუთხური:** 8-1; **ბურთის ფლობა:** 54%-47%.

**მაყურებელი:** 28 100

### ნიურნბერგი-შტუტგარტი 1:2

**ნიურნბერგი (4-2-1-3):** რ. შეფერი 4 (91. შტეფანი) - დიკმაიერი 5, ვოლფი 4.5 (62. მარო 4), ბრენო 4, პინოლა 2.5 - ოტლი 3, ტავარ.ესი 3.5 - მინტალი 4.5 - აიგლერი 4 (74. რისე), ხარისტეასი 3.5, ბუნიაკუ 3.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 4 - ჩელოცი 5, ნიდერმაიერი 4, ტასკი 3.5, მოლინარო 3.5 - ტრეშე 4, ხედირა 2 - გებჰარდტი 2.5, გლები 4.5 (61. ჰილბერტი 2.5) - მარიკა 4.5 (51. კუზმანოვიჩი 3), პოგრებნიაკი 4.

**გოლები:** 0:1 გებჰარდტი (22), 1:1 ბუნიაკუ (60), 1:2 ჰილბერტი (87)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(3)-18(8); **ჯარიმა:** 10-13; **კუთხური:** 6-6; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 40 384

### მაინცი-ბორუსია (მ) 1:0

**მაინცი (4-1-2-2-1):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, სვენსონი, ნოვესკი, ფათი - კარჰანი - პოლანსკი, სოტო - ჰოოგლანდი (40. ამრი/90. ბუნგერტი), შიურლე (69. შალაი) - ბონსე.

**ბორუსია მ (4-2-2-2):** ბეილი - ლეველსი, ბრაუერსი, დანტე, დემსი - მარქსი (69. ჰერმანი), ბრედლი - როისი, არანგო - ბობადილია (76. ბეკერი), კოლაუტი (64. ფრენდი).

**გოლი:** 1:0 სვენსონი (42)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(4)-16(4); **ჯარიმა:** 18-21; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 300

### ბორუსია (დ)-აინტრახტი 2:3

**ბორუსია დ (4-2-3-1):** ციგლერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი (88. ფელიპე სანტანა) - გროსკროიტცი, ნ. შაჰინი - ლეტალეკი (77. გიოტცე), ზიდანი, ვალდესი (77. დედე) - ბარიოსი.

**აინტრახტი (4-1-4-1):** ნიკოლოვი - იუნგი, ფრანცი, რუსი, შპიხერი - კრისი - ოხსი, ა. მაიერი, ტებერი, კიოლერი (92. ლიბეროპულოსი) - ჰალილ ალთინთოფი (89. კაიო).

**გოლები:** 0:1 კიოლერი (8), 1:1 ჰუმელსი (17), 2:1 ბარიოსი (57), 2:2 იუნგი (65), 2:3 ა. მაიერი (74)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 13(4)-12(6); **ჯარიმა:** 15-15; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 70 400

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 21 | 12 | 9 | 0 | 45-17 | 45 |
| 2. ბაიერნი | 21 | 13 | 6 | 2 | 45-18 | 45 |
| 3. შალკე | 21 | 12 | 6 | 3 | 31-15 | 42 |
| 4. ჰამბურგი | 21 | 9 | 9 | 3 | 40-24 | 36 |
| 5. ბორუსია (დ) | 21 | 10 | 6 | 5 | 30-26 | 36 |
| 6. ვერდერი | 21 | 8 | 7 | 6 | 39-25 | 36 |
| 7. აინტრახტი | 21 | 8 | 4 | 6 | 28-29 | 31 |
| 8. მაინცი | 21 | 8 | 6 | 7 | 25-29 | 30 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 4 | 9 | 29-25 | 28 |
| 10. შტუტგარტი | 21 | 7 | 7 | 7 | 26-26 | 28 |
| 11. კიოლნი | 21 | 6 | 7 | 8 | 20-24 | 25 |
| 12. ვოლფსბურგი | 21 | 6 | 7 | 8 | 37-42 | 25 |
| 13. ბორუსია (მ) | 21 | 7 | 4 | 10 | 29-35 | 25 |
| 14. ბოხუმი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-37 | 22 |
| 15. ფრაიბურგი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-39 | 19 |
| 16. ჰანოვერი | 21 | 4 | 5 | 12 | 23-36 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 21 | 4 | 4 | 13 | 17-37 | 16 |
| 18. ჰერტა | 21 | 2 | 5 | 14 | 17-41 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 - კისლინგი (ლევერკუზენი); 11 - ბარიოსი (ბორუსია დ), კურანი (შალკე); 10 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი); 9 - დერდიოკი (ლევერკუზენი), ჯეკო (ვოლფსბურგი), გომესი (ბაიერნი); 8 - კროოსი (ლევერკუზენი), პისარო (ვერდერი).

### II ბუნდესლიგა

### XXI ტური

**არმინია-ფიურტი 2:1**

გოლები: 0:1 ალაგუი (13), 1:1 ფორტი (58), 2:1 გუელა (71)

**ობერჰაუზენი-ჰანზა 2:1**

გოლები: 0:1 ბარტელსი (43), 1:1 შმიდტგალი (59), 2:1 ტერანოვა (71)

**ზტ. პაული-კარლსრუე 2:1**

გოლები: 1:0 ჰენინგსი (24), 1:1 ხრიზანტუსი (41), 2:1 ჰენინგსი (45)

**კოტბუსი-კობლენცი 1:1**

გოლები: 0:1 კაპლანი (11), 1:1 პეტერსენი (83)

**უნიონი-აუგსბურგი 0:0**

**ფორტუნა-დუისბურგი 2:0**

გოლები: 1:0 ლამბერტცი (17), 2:0 ჰარნიკი (24)

**ფრანკფურტი-ალემანია 1:1**

გოლები: 1:0 ფოიგტი (75), 1:1 აუერი (82)

**კაიზერსლაუტ.-პადერბორნი 3:0**

გოლები: 1:0 იენდრიშეკი (47), 2:0 იენდრიშეკი (86), 3:0 ჰორნიგი (90)

**მიუნხენ 1860-ალენი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 21 | 14 | 4 | 3 | 33-16 | 46 |
| 2. ზტ. პაული | 21 | 14 | 3 | 4 | 48-21 | 45 |
| 3. აუგსბურგი | 21 | 10 | 8 | 3 | 44-28 | 38 |
| 4. არმინია | 21 | 11 | 4 | 6 | 33-21 | 37 |
| 5. ფორტუნა | 21 | 11 | 4 | 6 | 32-20 | 37 |
| 6. დუისბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 35-29 | 34 |
| 7. უნიონი | 20 | 8 | 6 | 6 | 27-25 | 30 |
| 8. ფიურტი | 21 | 9 | 1 | 11 | 38-35 | 28 |
| 9. პადერბორნი | 21 | 7 | 7 | 7 | 27-30 | 28 |
| 10. ალემანია | 21 | 7 | 6 | 8 | 20-24 | 27 |
| 11. მიუნხენ 1860 | 19 | 7 | 5 | 7 | 24-22 | 26 |
| 12. კოტბუსი | 21 | 6 | 6 | 9 | 29-30 | 24 |
| 13. კარლსრუე | 20 | 7 | 3 | 10 | 28-31 | 24 |
| 14. ობერჰაუზენი | 21 | 7 | 3 | 11 | 18-33 | 24 |
| 15. ჰანზა | 20 | 7 | 2 | 11 | 22-30 | 23 |
| 16. კობლენცი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-37 | 17 |
| 17. ფრანკფურტი | 21 | 4 | 5 | 12 | 15-40 | 17 |
| 18. ალენი | 20 | 2 | 6 | 12 | 11-31 | 12 |

**ბომბარდირები:** 19 - თურქი (აუგსბურგი); 12 - ებერსი (ზტ. პაული); 10 - ფედერიკო (არმინია), ჰარნიკი (ფორტუნა); 9 - ალაგუი (ფიურტი), ნიოთე (ფიურტი), ზალიკი (პადერბორნი); 8 - აუერი (ალემანია), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი).

### III ბუნდესლიგა

**კარლ ცაისი-აუე 1:0, დრეზდენი-ბაიერნი II 2:0, ჰაიდენჰაიმი-ზანდჰაუზენი 1:0, ინგოლშტადტი-ოსნაბრიუკი 0:0, ოფენბახი-ბორუსია (დ) II 1:2, უნტერჰახინგი-ერფურტი 1:1.**

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*



# ორგუნდიანი დოლი?

213-ე მერსისაიდული დერბით დავიწყოთ: „ენფილდ როუდზე" თამაშის ბოლოს ათი კაცით დარჩენილი ლივერპულის ორი გუნდის შეხვედრა ჰოლანდიელი **დირკ კუიტის** მიერ პრემიერლიგაში გატანილი 50-ე გოლის წყალობით ქალაქის მოსახელე მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამასთან, „ლივერპულმა" მთელი 55 წუთი უმცირესობაში გაატარა - 35-ე წუთზე „წითლების" ბერძენი მცველი **სოტირიოს კირიაკოსი** ბურთის მოსაპოვებლად შეტყუპებული ფეხებით გასრიალდა და კინაღამ **მარუან ფელაინი** დააშავა. ამ უხეშობის გამო მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** მას წითელი ბარათი აუფრიალა. რაც შეეხება „ევერტონის" გარემარბ **სტივენ პიენაარს**, ის სულ ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში მეორე ყვითლით დაისაჯა. ასე და ამგვარად, ბოლო 13 წლის განმავლობაში, მერსისაიდულ დერბიში უკვე 19 ფეხბურთელი გააძევეს მოედნიდან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კირიაკოსის გაძევების ეპიზოდში ფელაინიმაც იუხეშა - ბერძენს წვივზე დააბიჯა, რაც არბიტრს გამოეპარა. ასე იყო თუ ისე, „ლივერპულმა" გაიმარჯვა და გამოვიდა, რომ „ევერტონს" „ენფილდზე" უკვე 1999 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია.

ნახეთ სტატისტიკა: „ლივერპული" პრემიერლიგაში უკვე 7 მატჩია არ დამარცხებულა და ამათგან ექვსში გოლი არ გაუშვია. აი, „ევერტონს" კი ცხრამატჩიანი წაუგებელი სვლა შეუწყდა - „ლივერპულამდე", ბოლო გუნდი, რომელმაც იგი დაამარცხა, გახლდათ... „ლივერპული". სხვა სიტყვებით, ნოემბერში „გუდისონ პარკზე" გამართული მერსისაიდული დერბიც „წითლებმა" მოიგეს. საერთოდაც, ბოლო 21 დერბიდან „ევერტონმა" მხოლოდ ორში გაიმარჯვა.

კუიტის გოლმა შეხვედრას სულზე მოუსწრო, თორემ დაძაბულობა თანდათანობით სულ მეტად და მეტად გადადიოდა უხეშობაში. ამას ტონი ლივერპულელმა **ჯეიმი კარაგერმა** მე-15... წამზე მისცა, როდესაც ზემოთ უკვე ნახსენები პიენაარის წინააღმდეგ ალალად, მაგრამ მეტისმეტად ძალისმიერად ითამაშა და საბრალო სამხრეთაფრიკელი მოედანზე აკოტრიალა. საერთოდაც, მიმომხილველები წერენ, რომ არბიტრს პირველ ტაიმში მეტი სიმკაცრე მართებდა - ფეხბურთელებმა საკუთარ თავს მეტისმეტი დაუნდობლობის უფლება მისცეს, თუმცა ერთი შეხვედრის უხეშობების ალწერით მთელი ტურის მიმოხილვას ნამდვილად ვერ გადავტვირთავთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში კუიტმა **სტივენ ჯერარდის** პასს **ფილ ნევილთან** ძიძგილაობის მიუხედავად ახლო მანძილიდან თავი მიჰკრა და კარში ისე შეაგდო.

თუ ვინმეს ძლიერის მიერ სუსტის რბევა სიამოვნებს, „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედისა" და აუტსაიდერ „პორტსმუთის" შეხვედრას უნდა დასწრებოდა. თამაშის წინ **უეინ რუნი** თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ამის დასტურად ანგარიში სწორედ მან გახსნა - ახლა რუნის მიმდინარე სეზონში უკვე 23 გოლი აქვს გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი კარიერის საუკეთესო შედეგს უკვე გაუტოლდა. ერთადერთი, რაც ამ შეხვედრაში ადამიანს გაუკვირდებოდა, ის გახლდათ (სტუმრების მიერ სამი გოლის საკუთარ კარში შეგდების გარდა), რატომ დასჭირდა „იუნაიტედს" ანგარიშის გასახსნელად მთელი 40 წუთი.

მატჩის შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა: *„ბურთს სულ ჩვენ ვფლობდით და მეტოქე მუდმივი ზეწოლის ქვეშ გვყავდა, მაგრამ თავიდან გოლი ვერ გაგვქონდა. ჩემდა გასახარად, ამან ბიჭებს მოთმინება არ დააკარგვინა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ეთამაშები გუნდს, რომელიც ჩამოდის და დაცვაში იკეტება. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმშივე მოვახერხეთ. უნდა ვაღიარო, რომ მეორე გოლში გაგვიმართლა - მოწინააღმდეგემ საკუთარ კარში შეაგდო. დიახ, ანგარიში იღბლის წყალობით გავზარდეთ, მაგრამ ასეთი საჩუქრების გამოყენებაც უნდა იცოდე. ამ ორმა გოლმა ჩვენთვის მეორე ტაიმში თამაში გახსნა".*

„ჰალ სიტის" კი ქება და დიდება! გუნდმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ პრემიერლიგის ლიდერ „ჩელსისთან" ფრე ითამაშა, ამჯერად „მანჩესტერ სიტის" მოუგო და გასავარდნთა ზონას ასცდა. **ფილ ბრაუნის** გუნდს ნოემბრის შემდეგ არ მოეგო, მაგრამ შთამბეჭდავი ამერიკელი **ჯოზი ალტიდორისა** და **ჯორჯ ბოატენგის** მიერ შესვენებიდან 9 წუთში გატანილი გოლების წყალობით 2:0 დაწინაურდა, რისი გაქვითვაც ისტლენდელებმა **ემანუელ ადებაიორის** ერთი გოლით ვერ მოახერხეს. ამ შეხვედრაში იყო ორი ღირსშესანიშნავი მომენტიც: 1. ორთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ბოლო კვირის განმავლობაში გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვედრილი **უეინ ბრიჯი**, რომლის სატრფოსთანაც ჩელსისდროინდელმა თანაგუნდელმა **ჯონ ტერიმ** ფარული რომანი გააბა. 2. თამაშის ბოლო ნახევარი საათი მოედანზე გაატარა „ინტერიდან" ნაყიდმა პრემიერლიგაში დაბრუნებულმა ფრანგმა **პატრიკ ვიეირამ**.

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" „ასტონ ვილას" უმასპინძლა, მაგრამ ვერ გაუტანა და არც გაუშვა. ამ შეხვედრაში მოსაწონად ითამაშა ბირმინგემელთა ამერიკელმა მეკარე **ბრედ ფრიდელმა**, რომელმაც **ლედლი კინგს** საოცარი ბურთი აული. თამაშის მიწურულს „სფურზი" **სტილიან პეტროვის** მიერ **ჯერმაინ დეფოს** წაქცევისთვის პენალტს ითხოვდა, მაგრამ მსაჯმა არ ჩასტვინა.

ბოლტონელმა **კევინ დევისმა** „ფულჰემის" კარში თამაშის მიწურულს გოლი შეაგდო - კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური დაჰკრა, მაგრამ მსაჯმა მიიჩნია, რომ დარტყმის წინ მან მეკარე **მარკ შვარცერს** ხელი ჰკრა - სავარაუდოდ, მსაჯი შეცდა.

„სტოკ სიტიმ" „ბლექბერნს" 3:0 მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდი იანვრის შემდეგ არ მარცხდება.

„ჩელსიმ" „მანჩესტერ იუნაიტედს" შეუთვალა, „არსენალის" დამარცხება განსაკუთრებული გმირობა არ გეგონოს, ეგ მეც შემიძლია და შენთვის გოჯის დამთმობი არ ვარო. ინგლისელი მიმომხილველების ყურადღების ცენტრში საკუთრივ თამაშის გარდა „ლურჯების" ცხოვრებაამწენილი კაპიტანი **ჯონ ტერი** გახლდათ, რომლის სასიყვარულო თავგადასავალს აქ აღარ შეგახსენებთ, მაგრამ გეტყვით, რომ დამთავრდა თუ არა ლონდონური დერბი პირველი კომენტარი, რომელიც მასთან დაკავშირებით გამოითქვა ასეთი გახლდათ: ტერის შესაძლოა პირადი ცხოვრება გაუმრუდდა, მაგრამ მოედანზე ძველებური ძლევამოსილი კაპიტანია, რომელიც თანაგუნდელებს კვლავაც შთააგონებს და გამარჯვებისკენ მიუძღვისო.

„ლურჯებმა" 2:0 მოიგეს და ორივე გოლი **დიდიე დროგბამ** გაიტანა. ეს პირველ ტაიმში მოხდა, მეორეში კი იმავე დროგბამ საჯარიმო დარტყმით ერთი კარგად შეაზანზარა გაშეშებული **მანუელ ალმუნიას** კარის ზედა ძელი, მაგრამ ნათქვამია, ბურთის ძელისთვის გარტყმა უზუსტო დარტყმის ნაირსახეობააო. „არსენალმა" ვერც ამ პრინციპულ შეხვედრაში დატოვა რიგიანი შთაბეჭდილება.

„ბირმინგემმა" „ვულვერჰემპტონს" 36 წლის **კევინ ფილიპსის** ორი გოლის წყალობით მოუგო, პირველ ტაიმში გატანილი ერთი გოლი გადაუფარა. საინტერესოა, რომ ფილიპსმა 80-ე და 85-ე წუთებზე გაიტანა - ასე ჩაუმწარდა „ვულვზის" თავკაც **მიკ მაკარტის** 51-ე დაბადების დღე.

გვერდი მოამზადა
**ილი აბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

**9 თებერვალი. მანჩესტერ სიტი-ბოლტონი, პორტსმუთი-სანდერლენდი, უიგანი-სტოკი, ფულჰემი-ბარნლი. 10 თებერვალი. არსენალი-ლივერპული, ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნაიტედი, ვესტ ჰემი-ბირმინგემი, ვულვზი-ტოტენჰემი, ბლექბერნი-ჰალი, ევერტონი-ჩელსი.**

### ლივერპული-ევერტონი 1:0

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, კირიაკოსი, აგერი, ინსუა, მასკერანო, ჯერარდი, ლუკასი, კუიტი (90. შკრტელი), მაქსი როდრიგესი (90. აურელიო), ნგოგი (64. ბაბელი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჰეიტინგა, დისტინი, ბაინესი, დონოვანი, ოსმანი (72. იაკუბუ), ფელაინი (41. არტეტა), პიენაარი, კეჰილი, საა (72. ანიჩებე).

**გოლი:** 1:0 კუიტი (55)

**გაძევება:** კირიაკოსი (34. ლივერპული), პიენაარი (90. ევერტონი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 11-24; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11-6 (3-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 44 316

### ბოლტონი-ფულჰემი 0:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, რიკეტსი, ობრეინი (64. ბეშემი), ნაითი, რობინსონი, ლი, კოენი, მუამბა, ტეილორი (71. ვეისი), მ. დევისი (57. ელმანდერი), კ. დევისი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ბეირდი, ჰიუზი, პანგელანდი, შორი, დაფი, მერფი, დიკგეკოი (55. ეტუჰუ), გრინინგი, ელმი (76. ჩუკა), ნიველენდი (76. სმოლინგი).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 21-7 (8-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 22 289

### ბარნლი-ვესტ ჰემი 2:1

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კორტი, ფოქსი (86. ედგარი), ელიოტი, ბიკეი, მაკდონალდი, ბლეიკი (73. პეტერსონი), ნაჯენტი (88. ტომპსონი), ფლეტჩერი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, სპექტორი, ბეჰრამი, პარკერი, ნობლი (77. ილანი), კოლისონი (62. სტანისლასი), კოული, მაკარტი (46. მიდო).

**გოლები:** 1:0 ნაჯენტი (14), 2:0 ფოქსი (55), 2:1 ილანი (81)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 8-23 (2-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 21 001

### ჰალი-მანჩესტერ სიტი 2:1

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, მოუიოკოლო, გარდნერი, დოუსონი, ფეგანი, ბოატენგი (82. ოლოფინიანა), კეირნი, ჰანტი, ვენეგოორი (84. კილბეინი), ალტიდორი (66. ზაკი).

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, საბალეტა, ბოიატა, ტურე, ბრიჯი (85. პეტროვი), აირლენდი (56. ჯონსონი), დე იონგი, ბერი, ბელამი (60. ვიეირა), ადებაიორი, ტევესი.

**გოლები:** 1:0 ალტიდორი (31), 2:0 ბოატენგი (54), 2:1 ადებაიორი (59)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 9-16 (3-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 959

### მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი 5:0

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ბრაუნი, ევანსი, ევრა, ვალენსია, ფლეტჩერი (66. გიბსონი), ქერიკი, ნანი, ბერბატოვი (67. ოუენი), რუნი (66. დიუფი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ვანდენ ბორე (59. ბოატენგი), ბენ-ჰაიმი, უილსონი, როჩა, ვებერი, ჰიუზი, მალინსი, ბელჰაჯი, ოჰარა (75. იებდა), პიკიონი (67. ქვინსი).

**გოლები:** 1:0 რუნი (40), 2:0 ვანდენ ბორე (45-საკ. კარში), 3:0 ბერბატოვი (62), 4:0 უილსონი (69-საკ. კარში), 5:0 ჰიუზი (79-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 7-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 21-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 74 684

### სტოკი-ბლექბერნი 3:0

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, ჰიგინბოტემი, ლოურენსი, უაიტჰედი, დელაპი (90. უილანი), ეზერინგტონი, სიდიბე (81. ბიტი), ფულერი (79. თუნჯაი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა (65. სალგადო), სამბა, ნისლენი, ჟივე, პედერსენი, ნზონზი (73. რიდი), ემერტონი, ოლსონი, დი სანტო (60. ენდრიუსი), კალინიჩი.

**გოლები:** 1:0 ჰიგინბოტემი (8), 2:0 სიდიბე (45)

**გაძევება:** სამბა (59. ბლექბერნი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 12-7; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-8 (5-1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 27 386

### სანდერლენდი-უიგანი 1:1

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი, კოლგელონი, მაკარტნი, ჰენდერსონი (69. ზენდენი), კანა, კეტერმოლი, რიდი (87. მვარუვარი), ჯონსი, ბენტი.

**უიგანი:** კირკლენდი, ბოისი, კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, ტომასი, შარნერი (75. მორენო), დიამე, ნზოგბია, მაკარტნი, როდალეგა (84. მოზესი).

**გოლები:** 0:1 დიამე (20), 1:1 ჯონსი (64)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-16 (4-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 38 350

### ტოტენჰემი-ასტონ ვილა 0:0

**ტოტენჰემი:** გომესი, ბეილი, ჩორლუკა, დოუსონი, კინგი, ბენტლი, ჰადლსტოუნი, პალასიოსი, მოდრიჩი, დეფო, კრაუჩი.

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კოლინზი, დანი, ლ. იანგი, ე. იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი (88. სიდუელი), აგბონლაორი, ჰესკი (22. კარეუ).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 33-11 (5-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 35 899

### ბირმინგემი-ვულვზი 2:1

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი (68. გარდნერი), ბოიერი, ფერგიუსონი, მაკფადენი (75. ფეჰეი), ბენიტესი (63. ფილიპსი), ჯერომი.

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, უორდი, ჰენრი, მანსიენი, ჯონსი (68. გუედიოურა), ფოული (89. ებანკს-ბლეიკი), დოილი, ჯერვისი (89. სარმენი).

**გოლები:** 0:1 დოილი (42), 1:1 ფილიპსი (80), 2:1 ფილიპსი (85)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 11-4 **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 17-15 (6-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 24 165

### ჩელსი-არსენალი 2:0

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კარვალიუ, ტერი, ე.კოული, ბალაკი (82. ჟირკოვი), მიკელი, ლემპარდი, მალუდა, ანელკა (87. ჯ. კოული), დროგბა (90. კალუ).

**არსენალი:** ალმუნია, სანია (74. ებუ), გალასი, ვერმაელენი, კლიში, ფაბრეგასი, სონგი, დიაბი (74. როსიცკი), უოლკოტი (65. ბენდტნერი), არშავინი, ნასრი.

**გოლები:** 1:0 დროგბა (8), 2:0 დროგბა (23)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-8 **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 13-14 (5-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 41 794

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 25 | 18 | 4 | 3 | 60-20 | 58 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 25 | 18 | 2 | 5 | 61-20 | 56 |
| 3. არსენალი | 25 | 15 | 4 | 6 | 60-30 | 49 |
| 4. ლივერპული | 25 | 13 | 5 | 7 | 43-26 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 25 | 12 | 7 | 6 | 45-25 | 43 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 23 | 11 | 8 | 4 | 45-32 | 41 |
| 7. ასტონ ვილა | 24 | 11 | 8 | 5 | 31-18 | 41 |
| 8. ბირმინგემი | 24 | 10 | 7 | 7 | 24-24 | 37 |
| 9. ევერტონი | 23 | 8 | 8 | 8 | 33-35 | 32 |
| 10. ფულჰემი | 25 | 8 | 7 | 10 | 27-28 | 31 |
| 11. სტოკი | 23 | 7 | 8 | 8 | 22-26 | 29 |
| 12. ბლექბერნი | 25 | 7 | 7 | 11 | 25-43 | 28 |
| 13. სანდერლენდი | 24 | 6 | 7 | 11 | 31-41 | 25 |
| 14. ჰალი | 25 | 5 | 9 | 11 | 25-50 | 24 |
| 15. ბარნლი | 24 | 6 | 5 | 13 | 25-47 | 23 |
| 16. უიგანი | 23 | 6 | 5 | 12 | 25-48 | 23 |
| 17. ბოლტონი | 23 | 5 | 7 | 11 | 29-44 | 21 |
| 18. ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 30-40 | 21 |
| 19. ვულვზი | 24 | 5 | 6 | 13 | 20-42 | 21 |
| 20. პორტსმუთი | 22 | 4 | 3 | 17 | 19-41 | 15 |

**ბომბარდირები:** 21 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 17 - დროგბა (ჩელსი); 15 - დეფო (ტოტენჰემი); 14 - ბენტი (სანდერლენდი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი), ტორესი (ლივერპული); 11 - საა (ევერტონი), ფაბრეგასი (არსენალი); 10 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი).

## ჩემპიონშიპი. XXIX ტური

**სუონსი-პრესტონი 2:0**

**გოლები:** 1:0 კოტერილი (35), 2:0 უილიამსი (48)

**ბარნსლი-უოტფორდი 1:0**

**გოლები:** 1:0 ჰელფრედსონი (55)

**ბლექპული-ლესტერი 1:2**

**გოლები:** 0:1 ნგესანი (15), 0:2 დაიერი (78), 1:2 დობი (89)

**ბრისტოლი-ქოვენთრი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბელი (47), 1:1 კლერკსონი (83)

**იფსვიჩი-მიდლსბრო 1:1**

**გოლები:** 1:0 მერფი (1), 1:1 უიტერი (62)

**ნოტინგემი-შეფილდ უენ 2:1**

**გოლები:** 1:0 ბლექსტოკი (24-პენ), 2:0 ბლექსტოკი (80), 2:1 ვერნი (73)

**პიტერბორო-ქუინზ პარკი 1:0**

**გოლები:** 1:0 მაკლინი (9)

**პლიმუთი-ვესტ ბრომვიჩი 0:1**

**გოლები:** 0:1 კოქსი (66)

**სკანთორპი-კრ. პალასი 1:2**

**გოლები:** 0:1 ემბროუზი (63), 1:1 მირფინი (84), 1:2 დენსი (90)

**შეფილდ იუნ-დერბი 1:1**

**გოლები:** 0:1 სევიჯი (17), 1:1 უილიამსონი (90)

**დონკასტერი-რედინგი 1:2**

**გოლები:** 0:1 ლონგი (39), 0:2 ჰოვარდი (77), 1:2 შარპი (81-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 28 | 17 | 8 | 3 | 48-17 | 59 |
| 2. ვესტ ბრომ. | 29 | 16 | 8 | 5 | 59-31 | 56 |
| 3. ნოტ. ფორესტი | 29 | 15 | 10 | 4 | 46-22 | 55 |
| 4. კარდიფი | 28 | 13 | 6 | 9 | 53-35 | 45 |
| 5. სუონსი | 28 | 11 | 12 | 5 | 25-20 | 45 |
| 6. ლესტერი | 27 | 11 | 9 | 7 | 31-28 | 42 |
| 7. შეფილდ იუნ. | 29 | 11 | 9 | 9 | 41-40 | 42 |
| 8. ბლექპული | 29 | 10 | 10 | 9 | 46-38 | 40 |
| 9. ბარნსლი | 28 | 11 | 6 | 11 | 37-41 | 39 |
| 10. მიდლსბრო | 29 | 10 | 8 | 11 | 40-33 | 38 |
| 11. ბრისტოლი | 28 | 8 | 13 | 7 | 34-38 | 37 |
| 12. უოტფორდი | 28 | 9 | 8 | 11 | 39-43 | 35 |
| 13. პრესტონი | 28 | 9 | 8 | 11 | 32-39 | 35 |
| 14. ძპრ | 28 | 8 | 10 | 10 | 40-45 | 34 |
| 15. ქოვენთრი | 29 | 8 | 10 | 11 | 33-41 | 34 |
| 16. კრ. პალასი | 28 | 11 | 10 | 7 | 33-30 | 33 |
| 17. დონკასტერი | 27 | 8 | 9 | 10 | 34-36 | 33 |
| 18. დერბი | 29 | 9 | 6 | 14 | 30-41 | 33 |
| 19. სკანთორპი | 28 | 9 | 6 | 13 | 34-48 | 33 |
| 20. შეფილდ უენ. | 29 | 8 | 7 | 14 | 34-47 | 31 |
| 21. იფსვიჩი | 28 | 5 | 15 | 8 | 32-40 | 30 |
| 22. რედინგი | 28 | 7 | 8 | 13 | 30-45 | 29 |
| 23. პლიმუთი | 27 | 7 | 3 | 17 | 23-38 | 24 |
| 24. პიტერბორო | 29 | 4 | 9 | 16 | 33-51 | 21 |

**ბომბარდირები:** 15 - უიტინგემი (კარდიფი); 14 - ჩოპრა (კარდიფი); 12 - ემბროუზი (კრ. პალასი); 11 - ადამი (ბლექპული), ფრიატი (ლესტერი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ჯონსონი (მიდლსბრო), შარპი (დონკასტერი); 10 - მეინარდი (ბრისტოლი), ერნშოუ (ნოტინგემი), ნოლანი (ნიუკასლი), ბლექსტოკი (ნოტინგემი), კლივერლი (უოტფორდი).

## პირველი ლიგა

### XXX ტური

**ბრენტფორდი-ჯილინგემი 4:0, ექსეტერი-საუთჰემპტონი 1:1, ჰარტლპული-ლიდსი 2:2, ჰადერსფილდი-კერლისლი 1:1, ლეიტონი-ბრაიტონი 1:1, მილუოლი-ნორვიჩი 2:1, სტოკპორტი-მილტონი 1:3, სვინდონი-ჩარლტონი 1:1, ტრანმერი-ოლდჰემი 0:1, უოლსოლი-ბრისტოლი 0:0, უაიკომბი-იეოვილი 1:4.**

## მეორე ლიგა

### XXIX ტური

**ეკრინგტონი-მორკემბი 3:2, ბურნმუთი-ჩელტენჰემი 0:0, ბერნეტი-ოლდერშოტი 3:0, ბრედფორდი-ბერი 0:1, ბარტონი-პორტ ვეილი 1:0, ჩესტერფილდი-ლინკოლნი 2:1, დაგენჰემი-ნორთემპტონი 0;1, დარლინგტონი-როტერჰემი 2:0, გრიმსბი-ნოთს ქაუნთი 0:1, ჰერეფორდი-თორგუეი 1:0, მეკლსფილდი-შრუსბერი 0:1, როჩდეილი-ქრიუ 2:0.**

## კონფერენსი

### XXXI ტური

**უიმბლდონი-ფორესტ გრინი 2:0, ელტრინჩემი-სოლსბერი 5:0, ბეროუ-ლუტონი 0:1, ჩესტერი-ებსფლიტი 1:2, ქროული-კემბრიჯი 1:0, ისტბერნი-ვრექსჰემი 2:1, გრეისი-რაშდენი 0:3, ჰისტონი-ჰეისი 3:3, კეტერინგი-იორკი 0:1, მენსფილდი-გეიტსჰედი 0:2, ოქსფორდი-კიდერმინდსტერი 0:0, ტიმურთი-სტივენიჯი 1:0.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

პარიზის დიდი მუზარადი

# 11 წლის შემდეგ...

## სამი მედალი უთუოდ მისასალმებელია



მარცხნიდან მეორე დავით ასუმბანი

ზუსტად 11 წელიწადი დაგვჭირდა, პარიზის ზეპოპულარული ტურნირში გამარჯვების მოპოვებამდე – ეს შეჯიბრება ქართველთაგან ბოლოს **გიორგი გუგავამ** მოიგო 1999 წელს, შაბათს კი იგივე **დავით ასუმბანმა** (60) გააკეთა. **ამირან ტოტიკაშვილმა** ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში პირველი სერიოზული წარმატება მოიპოვა. თან სწორედ იმ ამპლუაში, რასაც სპორტსმენობისას მიაღწია – დაიპყრო პარიზული მწვერვალი.

ამ შეჯიბრებას ხან საერთაშორისო ტურნირი ერქვა, ხან - მსოფლიოს თასი, ხან – სუპერთასი, ახლა „დიდ მუზარადად" იწოდება, მაგრამ მისი დამოკიდებულება ქართველებისადმი არ იცვლებოდა - ჩვენებურთათვის ყოველთვის შეუვალი და უკარება იყო. ქართული ძიუდოს ისტორიაში, პარიზის ტურნირი აქამდე ოთხ ქართველს მოეგო. ეს მაშინ, როცა ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს და ოთხი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოგვეპოვება. ქართველებს პარიზული კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გზა **შენგელი ფიცხელაურმა** გაუკვალა შორეულ 1974 წელს. ანალოგიურ წარმატებას მერე, არც მეტი, არც ნაკლები, 16 წელიწადი ველოდით, ვიდრე 1990 წელს ტოტიკაშვილი არ გახდა ჩემპიონი. ზუსტად 8 წელიწადში მისმა პირადმა შეგირდმა **გიორგი რევაზიშვილმა** გაიმარჯვა, 1999 წელს კი გუგავას ჯერ დადგა. მისი წარმატების შემდეგაც დიდხანს მოგვიხდა ლოდინი, რაც შაბათს ასუმბანმა განაახლა.

ტოტიკაშვილს ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა – ფინალში **ლევან ნიკლაურმაც** (81) იჭიდავა, მაგრამ ასუმბანისგან განსხვავებით დამარცხდა და ვერცხლი ერგო. ამ მედლების გარდა, საქართველოს ნაკრების აქტივში ერთი ბრინჯაოცაა - ის **ირაკლი ცირეკიძემ** (100) მოიპოვა.

რატომღაც პარიზის წლევანდელი ტურნირი ადრინდელებივით შთამბეჭდავი შემადგენლობისა არ გამოდგა. შესაძლოა, ამის მიზეზი იგივე იყოს, რაც თბილისის ტურნირის შემთხვევაში – ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გახურებულა და ლიდერთა ნაწილი ან ისვენებს და ძალებს იკრებს, ან ტრავმებს მკურნალობს. თუმცა პარიზში 53 ნაკრები მაინც გამოვიდა და ჩვენს ტურნირზე შეუდარებლად ძლიერი იყო. ასეთ შეჯიბრებაში ოქროთი დამშვენებული სამი მედალი უთუოდ მისასალმებელია.

დავით ასუმბანის წლევანდელი პროგრესი აშკარაა. ადრე მას ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებდა და დატვირთვებს ვერ იღებდა, რის გამოც ზედა წონაში გადაბარგებაც კი სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში იმკურნალა და წლეულს ძლევამოსილად დაბრუნდა. თავად განსაჯეთ – საქართველოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა, ამის შემდეგ კი თბილისის ტურნირი მოიგო, რასაც ახლა ეს ბევრად მნიშვნელოვანი წარმატებაც დაუმატა. არადა, მეტოქეებიც ძლიერები შეხვდნენ. შედარებით სუსტი ფინელი **იუჰო რაინვალი** იყო, რომელსაც წმინდად მოუგო, თორემ ამის შემდეგ ერთმანეთზე ძლიერები იყვნენ - არაერთი საერთაშორისო ტურნირის მედალოსანი ჰოლანდიელი **ჯერუნ მოორენი**, მონგოლი **ტუმურკულეგ დავაადორჯი**, კანოს ტურნირის ჩემპიონი, იაპონელი **მასააკი ფუკუოკა** და უზბეკი ოლიმპიური პრიზიორი **რიშოდ სობიროვი**. ამათგან შედარებით უტიტულო მონგოლი ჩანს, მაგრამ მან მანამდე ორი შეხვედრა წმინდად მოიგო და იმათგანაც ერთი თანაგუნდელ **ბოლდბაატარ განბატთან**, ვინც აქამდე ნაკრებში ამ წონის ლიდერი იყო. საერთოდ, ბოლო წლებში მონგოლები ძლიერად გამოდიან და ესეც გვაფიქრებდა, მაგრამ ასუმბანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, წლეულს ბევრად რომ მოუმატა – მონგოლსა და იაპონელს წმინდად აჯობა (ფუკუოკას დამატებითში), დანარჩენებს კი ვაზარი აართვა.

ასუმბანის არ იყოს, წლეულს საგრძნობია ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ლევან ნიკლაურის წინსვლაც. მისი პროგრესი საქართველოს ჩემპიონატიდან თბილისის მსოფლიოს თასს შორისაც საგრძნობი იყო. ქუთაისში თუ მაინც ადრინდელივით ფრთხილად ჭიდაობდა და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა, თბილისში ბევრად თამამი, გახსნილი და შემტევი იყო. თითქოს სითამამე მოემატაო, საერთაშორისო ტურნირზე ისე ჭიდაობდა. ბევრსაც უტევდა და არც ადრინდელი ზედმეტი სიფრთხილე ეტყობოდა. თავიდან მას წილისყრამაც გაუმართლა – პირველ წრეში ისვენებდა, მომდევნო ორ შეხვედრაში კი ისეთი მეტოქეები ელოდნენ, მათთან წაგება დანაშაული იქნებოდა. საბედნიეროდ, ნიკლაურს დანაშაული არც ჩაუდენია – რუს **არსენ პშმახოვს** ვაზარი გაუკეთა და გაფრთხილებებით იუკოც მიითვალა, ბრაზილიელი **ნაკიფ ელიასი** კი ბეჭებზე დადო. იპონით მოუგო კორეელ **დაე-ნამ სონგსაც**, ნახევარფინალში კი მცირე უპირატესობით აჯობა ამერიკელ **ტრევის სტევენსს**. ფინალში თვითონაც მცირე სხვაობით დამარცხდა ბრაზილიელ ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **ლეანდრ გილეიროსთან**. ამის მიუხედავად, მისი პროგრესი აშკარაა და ვინძლო, ამ წონაში მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი ფალავანიც გამოგვიჩნდეს.

დამაკმაყოფილებლად უნდა შევაფასოთ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძის გამოსვლაც. ახალ წონაში მისმა გადაბარგებამ დიდი დისკუსია გამოიწვია. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ მას აქ შანსი არ ჰქონდა. ეს ვარაუდები კიდევ უფრო გაამყარა სპორტიდან წასვლის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ – მიიჩნევდნენ, რომ მან აქ პერსპექტივა ვერ დაინახა და ამიტომ გადადგა ის ნაბიჯი, მაგრამ ირაკლიმ დაამტკიცა, რომ აქაც შეუძლია მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა. ამჯერად პარიზში არ ჭიდაობდა მსოფლიოს ბოლო პირველობის ორი მედალოსანი – ჰოლანდიელი ვიცე-ჩემპიონი **ჰენკ ხროლი** და იაპონელი მესამე პრიზიორი **ტაკამასა ანაი**, მაგრამ ცირეკიძე მაინც თამამად უნდა მივიჩნიოთ წონის ფავორიტად. მას აშკარად ეტყობოდა მოუმზადებლობა – თითქმის ყველა შეხვედრაში დაიღალა, რაც არცაა გასაკვირი, რადგან მზადების სრულყოფილი ეტაპი არ გაუვლია. თუმცა ასეთ ძლიერ ტურნირზე ასე სანახევრო მომზადებით მოპოვებული მედალი მისი პერსპექტივის მაჩვენებელიცაა – სრულყოფილი მზადებით ბევრად მეტს მიაღწევს.

ბრინჯაომდე მიმავალ გზაზე ცირეკიძემ ორი მასპინძელი დაამარცხა და ორივე გაფრთხილებებით – **ფრედერიკ შტიგელმანი** ოთხი გაფრთხილებით მოახსნევინა, **სირილ მარეტი** კი – ორით. არადა, მარეტმა წინა წრეში ყაზახი მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი **მაქსიმ რაკოვი** დაამარცხა. ამათ შორის მან კიდევ ერთი საინტერესო ორთაბრძოლა მოიგო – კიდევ ერთხელ დააიპონა რუსი ევროპის ჩემპიონი **ივან პერშინი**, ვისაც პეკინის ოლიმპიადაზეც აჯობა და მერე ის ცნობილი ჟესტი აჩვენა, რის გამოც ქომაგთა კერპი გახდა. ნახევარფინალში ერთი შეხედვით, იოლი ბარიერი შეხვდა – ჰოლანდიიდან ბელგიაში გადაბარგებული ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი**. ტიტულის მიუხედავად, ფან დერ ხესტი მაინც არ გვგონია ჩვენებურის სადარ მეტოქედ, მაგრამ მაინც წმინდად მოუგო ცირეკიძეს. ალბათ, ესეც ლოგიკურია – როგორც გითხარით, ჩვენებური არ იყო ფორმაში. თან ახალი გადასულია ამ წონაში და ჯერ კიდევ ადაპტაციას გადის. ამის მიუხედავად, მისი გამოსვლა მაინც წარმატებულად უნდა შევაფასოთ. გვჯერა, ის აუცილებლად მოიგებს პარიზის ტურნირს, რაც მისთვის ჯერაც აუხდენელი ოცნებაა.

ამ ტურნირზე 13 ქართველი ჭიდაობდა. დანარჩენებიდან ყველაზე უკეთ მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** გამოვიდა – იაპონელ **დაიკი კამიკავასთან** მოგების შემდეგ ესტონელ ევროპის ჩემპიონ **მარტინ პადართან** დამარცხდა და მეხუთეზე გავიდა. თითო შეხვედრა მოიგეს **პაატა მერებაშვილმა** (60) და **საბა გავაშელიშვილმა** (90), **უჩა ხუციშვილმა**, **ნესტორ ხერგიანმა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილმა**, **გიორგი დილებაშვილმა** (73), **იოსებ წელაურმა** (81), **ნოდარ მეტრეველმა** (100) და **ადამ ოქრუაშვილმა** (+100) კი პირველივე შეხვედრები დათმეს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# რუსების ღია ქართველებმა დახურეს


ნაზი პაიკიძე


სალომე მელია

მოსკოვის ღია საჭადრაკო ფესტივალის ქალთა ტურნირზე გასული უქმეები საქართველოს წარგზავნილებისთვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა, რაც შედეგებშიც აისახა.

გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, რომ შეჯიბრებაზე ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ერთბაშად რვა მოჭადრაკე დაწინაურდა. მათ შორის **სალომე მელიაც** იყო. მეშვიდე ტურში იგი შავი ფიგურებით **მარია მანაკოვას** დაუზავდა. **ჟაო სიუმ ტატიანა გრაბუზოვა** დაამარცხა, **ელიზაბეტ პეტცმა** — **ათუშა პურკაშიანი, მარინა რომანკომ** კი ლილით **გალოიანს** სძლია. წარმატებას მიაღწია **ნაზი პაიკიძემაც**, რომელმაც შავებით საკმაოდ ძლიერ რუს დიდოსტატს **იულია დიომინას** მოუგო.

მერვე ტურში თეთრი ფიგურებით ჩინებულად ითამაშეს მელიამ და პაიკიძემ — შესაბამისად, **გულისხან ნახბაიევას** და მარია მანაკოვას გააჩერებინეს საათები, რითაც 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. ამდენივე ქულას მოუყარა თავი რუსეთის ნაკრების წევრმა **ვალენტინა გუნინამ**. მან ექვსქულიან თანაგუნდელ მარინა რომანკოს აჯობა. შვიდი ქულით ჩინელი **ჟაო სიუ** დაწინაურდა, რომელმაც გერმანელი ელიზაბეტ პეტცი დაჯაბნა.

გამარჯვებულის ვინაობა გუშინდელ ბოლო ტურს უნდა გამოევლინა. კვლავ გაიბრწყინეს ქართველმა მოჭადრაკეებმა — მელიამ ჟაო სიუ დაამარცხა, პაიკიძემ კი ვალენტინა გუნინას აჯობა. ჩვენებურებმა 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს და სხვებისთვის მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ. მთავარი პრიზი სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა ნაზი პაიკიძემ მოიპოვა. მან 9 შეხვედრიდან შვიდი მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა (**ვენიუნ იუსთან**) და ერთშიც დამარცხდა (მელიასთან). მეორე ადგილი საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ მელიას ხვდა (ექვსი ორთაბრძოლა მოიგო, სამი ყაიმით დაასრულა). 7-7 ქულით მესამე-მეექვსე ადგილები **ბაიარ კოვანოვამ** (რუსეთი), ჟაო სიუმ (ჩინეთი, მარინა რომანკომ და **დარია პუსტოვოიტოვამ** (ორივე — რუსეთი) გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

წიგნის თარო

# უთუოდ საჭირო მეორე გამოცემა

ნახევარ საუკუნეზე მეტია, სპორტში მეცნიერულ მუშაობას ეწევა პროფესორი **გურამ რატიშვილი**. თეორია უპრაქტიკოდ მკვდარიაო, რომ ამბობენ, მას ნამდვილად არ ეხება. დამსახურებული მწვრთნელიცაა, და ათეული წლებია, მუშაობს ძირითადად მოჭიდავეებთან და ძიუდოისტებთან.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გ. რატიშვილმა პირველმა გამოსცა ქართულ ენაზე „ძიუდოს განვითარების ისტორია". დრომ ბევრი რამ შეცვალა, სპორტის ეს სახეობა უფრო მიმზიდველი და დინამიკური გახდა. ავტორმა წიგნის მეორე გამოცემა შესთავაზა მკითხველს და, ბუნებრივია, დაემატა 1993 წლის (პირველი გამოცემის წელია) შემდგომი ახალი მოვლენები, ფაქტები, ჩემპიონები, პრიზიორები.

გარდა იმისა, რომ მკითხველი გაეცნობა ძიუდოს ჩასახვისა და განვითარების, სპორტის სახეობად ჩამოყალიბების, მსოფლიოში გავრცელების ისტორიას, უთუოდ დაინტერესდება ძიუდოს ფილოსოფიური, ესთეტიკური და ეთიკური საფუძვლებით, გაეცნობა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს.

წიგნში ცალკე თავადაა წარმოდგენილი „ძიუდოს განვითარება საქართველოში", აგრეთვე „შეჯიბრების წესები და ევოლუცია". გამოცემას ისიც მატებს ღირსებას, რომ უხვადაა დასურათებული, თანაც უნიკალური, ისტორიული ფოტოებით...

**თენგიზ თომაშვილი**




## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ ვეტერან ტანმოვარჯიშეს, სპორტის საპატიო ოსტატს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს ბორის აბრამიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

**კალათბურთი**

*საქართველოს ჩემპიონატი. XI ტური*

# თსუ-ს 1053



6 თებერვალი, თბილისი,
სპორტის სასახლე

**დინამო-თსუ 87:113**

19:22, 19:42, 28:20, 21:29

დინამო: ხანიაშვილი (12ქ, 7მ, 6პ, 3ჩ), ნანიტაშვილი (8ქ), სანაძე (29ქ, 6მ, 5პ, 4ჩ), ეძგვერაძე (3ქ), სიგუა (14ქ, 6მ, 5პ, 4ჩ), გემაზაშვილი (2ქ), ჯანგველაძე (2ქ), დეკანოიძე (3ქ), კოპალიანი, ლონდარიძე (14ქ, 9მ, 3პ)

თსუ: ფანჩულიძე (20ქ, 6ჩ), გაფრინდაშვილი (10ქ, 9პ, 5მ), მინაშვილი (21ქ), კოხრეიძე (12ქ, 8მ, 6ჩ), კეიდია (3ქ), ხეცურიანი (27ქ, 6მ, 7პ), დ. ბარბაქაძე (9ქ, 10მ), ხიზანიშვილი (8ქ), კუჭავა, შანიძე (3ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

კომისარი: რ. ხომერიკი

**სამედ/აკადემია-ჭიათურა 68:49**

11:12, 12:17, 26:8, 19:12

სამედ/აკადემია: ს. ლეჟავა (12ქ, 6მ), ჩქარეული (2ქ), ლომოური (12ქ, 6მ), ბოქოლიშვილი (17ქ, 3პ), ბექაური (7ქ, 11მ, 5დ), მუმლაძე (5ქ, 13მ, 4ჩ), თენიეშვილი (11ქ, 7მ), ჯავახიშვილი (2ქ), ელიაძე

ჭიათურა: ფ. გურული (16ქ, 5მ), არონია, ენუქიძე (13ქ, 9მ), მეზვრიშვილი (8ქ, 13მ, 2დ), ჯ. გურული, სვანიძე, გაბუნია (3ქ), მჭედლიშვილი (5ქ, 4პ), თავამაიშვილი (4ქ, 9მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

კომისარი: მ. რატიშვილი

**სოხუმი-სსაუ 79:87**

30:23, 13:26, 17:20, 19:18

სოხუმი: ტეტელაშვილი (10ქ), სორდია (17ქ, 4პ), კვეტენაძე (6ქ, 7მ, 4პ), ბ. ბერიშვილი (17ქ, 5მ, 3ჩ), კანკია (15ქ), კობიძე (14ქ, 8მ), სულაბერიძე, გაბელია

სსაუ: გულისაბედაშვილი (11ქ, 6მ, 3ჩ), ჩაჩიბაია (11ქ, 10მ, 3ჩ), წივწივაძე (25ქ, 8პ, 3ჩ), გასიტაშვილი (3ქ), ტყეშელაშვილი, ნინიაშვილი (8ქ, 7მ), ათანელიშვილი (20ქ, 10მ, 3პ), გ. ბარბაქაძე (3ქ), დიდია (6ქ, 6მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. სადღობელაშვილი

კომისარი: თ. ქიქოძე

| გუნდი | თ | მ | წ | სხ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 11 | 11 | 0 | 1019/680 | 22 |
| 2. თსუ | 11 | 9 | 2 | 1053/845 | 20 |
| 3. სსაუ | 11 | 9 | 2 | 901/773 | 20 |
| 4. ბათუმი | 11 | 7 | 4 | 959/842 | 18 |
| 5. შსს | 11 | 6 | 5 | 881/795 | 17 |
| 6. სოხუმი | 11 | 4 | 7 | 746/819 | 15 |
| 7. ავიამშენი | 11 | 4 | 7 | 770/769 | 15 |
| 8. დინამო | 11 | 3 | 8 | 810/991 | 14 |
| 9. სამედ/აკადემია | 11 | 2 | 9 | 722/843 | 13 |
| 10. მერანი | 11 | 0 | 11 | 627/1131 | 11 |

სუპერლიგის მე-11 ტურის ეპიცენტრი ბათუმში იყო, სადაც ადგილობრივები ერთპიროვნულ ლიდერ „ენერჯის" დაუხვდნენ. როგორ დაამარცხეს რუსთაველებმა მასპინძლები, ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში გაუწყეთ. ტურის საუკეთესო კალათბურთელის ძიებას ცენტრალურ შეხვედრაში შევუდექით: გამარჯვებულთა შორის ორი კალათბურთელი გამოირჩა - **კოტე ტულუში** და **ჟულივეტ ტუჯანი**. კამერუნელი მეფარე დაცვაში შეუვალი იყო - 17 დან 14 მოხსნა საკუთარ ფარზე მიითვალა. კოტე ტულუშმა კი მატჩის ბოლო წუთებზე გუნდს მნიშვნელოვანი ქულები შესძინა, მატჩის სნაიპერიც გახდა (23 ქულა ჩააგდო) და ტურის საუკეთესოდაც ის დავასახელეთ. კოტემ 23 ქულას 7 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მიამატა.

■ ■ ■

თბილისში პირველი მატჩი „დინამოსა" და თსუ-ს შორის გაიმართა. ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა სტუდენტებმა დაამტკიცეს, რომ შეტევაში ერთ-ერთი საუკეთესოები არიან. თუ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ, შეგვიძლია, წინა წინადადებიდან „ერთ-ერთიც" ამოვაგდოთ: თსუ სუპერლიგის ყველაზე შედეგიანი გუნდია - „დინამოსთან" ჩაგდებილი 113 ქულით 1000-ქულიანი ბარიერი გადალახა და 1053 ქულა მოუგროვდა. ამ მაჩვენებლით მეორეა „ენერჯი" - 1019 ქულა.

შაბათის შეხვედრაში 20 ქულას გადააბიჯეს დინამოელმა **დუდა სანაძემ** (29 ქულა), **მიხეილ ფანჩულიძემ** (20), **ვახტანგ მინაშვილმა** (21) და **შიო ხეცურიანმა** (27).

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის ლიდერებთან ჯერ ერთხელაც არ გაუმარჯვია, ჭაბუკებით დაკომპლექტებული „აკადემია" ყოველთვის დალაგებულ-გააზრებულ კალათბურთს თამაშობს.

„ჭიათურასთან" პირველ ტაიმშიც ვიხილეთ ასეთი თამაში... ოღონდ ჭიათურელთა შესრულებით. მათ იმდენად დამაჯერებლად ჩაატარეს 20-წუთიანი მონაკვეთი, რომ სეზონში პირველი გამარჯვების იმედი გაუჩნდათ. „სამედიცინო/აკადემიამ" პირველ ნახევარში მხოლოდ 23 ქულა ჩააგდო. თუმცა **გელა წულაძის** გუნდმა მეორე ტაიმში თამაში გამოასწორა და მესამე პერიოდი 26:8 მოიგო. ჭიათურელებმა ბოლო პერიოდში მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლეს და 49:68 დათმეს.

როგორც ყოველთვის, „აკადემიკოსთა" ბომბარდირი ამჯერედაც **მერაბ ბოქოლიშვილი** გახდა - 17 ქულა.

■ ■ ■

წინა მატჩის მსგავსად, სსაუ-მ მძიმედ დაიწყო, პირველი პერიოდი 23:30 დათმო, თუმცა მეორე ათწუთეულიდან **ბექა წივწივაძის** წინამძღოლობით თამაში გამოასწორა და დაძაბულ ბრძოლაში საბოლოოდ 8-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა (87:79).

მოხსნებში სსაუ-ს უპირატესობა აშკარა იყო - 46:28.

აგრარების კაპიტან ბექა წივწივაძეს ორმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა - 25 ქულა და 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. დუბლი შეასრულეს **რეზო ათანელიშვილმა** (20 ქულა, 10 მოხსნა) და **ტატო ჩაჩიბაიამ** (11 ქულა, 10 მოხსნა).

მომდევნო ტური 12-13 თებერვალს გაიმართება. მასში ორი ცენტრალური შეხვედრაა: „ბათუმი"-თსუ და სსაუ-შსს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ქართველი NBA-ში*

# ქორი ჯოში



ჯორჯიულმა „ატლანტამ" „ჩიკაგო ბულზს" უმასპინძლა და ათქულიანი სხვაობით დაამარცხა - 91:81. „ხარებმა" საწყის სამ პერიოდში დამაჯერებლად ითამაშეს და, ალბათ, გამარჯვებაზეც სერიოზულად ფიქრობდნენ, თუმცა „ქორებმა" მეოთხე რაუნდში დაცვაში თამაში გამოასწორეს და მეოთხედი 27:11 მოიგეს. საბოლოოდ 91:81 „ატლანტას" სასარგებლოდ. სხვათა შორის, სწორედ ასეთი ანგარიშით დავმარცხდით ფინეთში 2006 წელს. იმ შეხვედრაში ზაზამ საქართველოს ნაკრების ისტორიული რეკორდი დაამყარა - 36 ქულა მიითვალა.

„ჩიკაგოსთან" მატჩში კი ფაჩულიას თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია: 5 წუთი ითამაშა და მხოლოდ 3-ჯერ მოხსნა მოასწრო.

„ატლანტას" გამარჯვება უმთავრესად **ჯოშ სმიტის** დამსახურებაა, რომელიც ნამდვილი ქორივით დაფრინავდა და სამმაგი დუბლი მიითვალა - 18 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ჩოგბურთი**

# ველოდით სიურპრიზს, მოხდა პირიქით...

პარიზის ჭერქვეშა კორტებზე დაწყებულ WTA-ს ტურნირ „ოფენ დე გაზზე", რომლის საპრიზო ფონდი 700 ათასი დოლარია, უცნაური რამ შეემთხვა 27 წლის **მაკა ჩახნაშვილს** (212). საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი პირველ საკვალიფიკაციო წრეში 20 წლის რუმინელ **იონა რალუკა ოლარუს** (71) ხვდებოდა. მოწინავე ასეულის წევრი რუმინელი, რა თქმა უნდა, მატჩის ფავორიტი იყო (ის მე-3 ნომრად განთესეს საკვალიფიკაციო ბადეში). მიუხედავად ამისა, მაკამ ერთი ამოსუნთქვით, 6:2 მოიგო პირველი სეტი, მეორეში კი 5:0 დაწინაურდა. მეორე ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ ერთი გეიმის მოგება იყო საჭირო და... ჩვენებურმა იმდენი „მოახერხა", ეს გეიმი ტაი-ბრეიკზე დათმო, მესამეში კი უშანსოდ დამარცხდა - 6:2, 6:7, 1:6. მოკლედ, ქართული სიურპრიზის მაგივრად ხელში სამარცხვინო მარცხი შეგვრჩა. ამბიციური ჩოგბურთელი 6:2, 5:0-ის შემდეგ უშანსოდ არ უნდა აგებდეს, რაგინდ ძლიერი მეტოქე ჰყავდეს...

დიდი ხანია, ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი ATP-ის ტურნირებზე არ გამოჩენილა და, აი, 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** მიიწვიეს სან ხოსეს (აშშ) ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ნიკამ ტაივანელ **ტი ჩენს** (423) სამ სეტში სძლია - 2:6, 6:3, 7:5. სამწუხაროდ, ჩვენებურმა მეორე წრეში ფრანგ **ვინსენ მილოსთან** (203) წააგო - 1:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სამთო თხილამურობა**

# წლის პირველი ტიტული

ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 4 დღით ადრე ჩვენმა სამთომოთხილამურე **იასონ აბრამაშვილმა** შესაშური განწყობა დაიბევა - მან წლის პირველი, სეზონის მე-6 და კარიერის მე-17 ტიტული მოიპოვა. იასონმა გერმანულ შპიცინგზეეში „სითიზენის" ეგიდით გამართული სლალომი მოიგო: ორი ცდის ჯამში 1:16,66 წუთი მოანდომა ტრასას. ძალიან კარგად ისრიალა 18 წლის **კოტე ვახტანგიშვილმაც**, 1:17,77 წუთი შედეგით მე-4 ადგილი დაიკავა. ზედმეტი სამი მეათედი წამი რომ არა, კოტე კარიერაში მესამედ მოხვდებოდა შეჯიბრების პოდიუმზე. **ალექსი ბენიანიძეს** პირველ ცდაზე დისკვალიფიკაცია მისცეს. იმავე დღეს შპიცინგზეეს ტრასაზე ქალთა სლალომში ვანკუვერის ოლიმპიადის კიდევ ერთმა მონაწილე **ნინო წიკლაურმა** მე-19 ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მძლეოსნობა**

# ქვარცხლბეკზე კვლავაც რეკორდით

იანვრის შუა რიცხვებში ქართველმა მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა**, რომელიც ამერიკაში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს, აშშ-ის სტუდენტთა შეჯიბრებაზე ბირთვი 18,47 მეტრზე კრა და ზამთრის ჩემპიონატებისთვის საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა. მარიამმა იანვრის მიწურულსაც გაიმარჯვა ტეხასის შტატის პირველობაზე, ოღონდ უფრო მოკრძალებული შედეგით. გასულ შაბათს კი კვლავ გაიბრწყინა, ამჯერად ვირჯინიის შტატის ქალაქ ბლექსბურგში საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე. ერთ-ერთ ცდაზე მან ბირთვი 18.56-მეტრიან ზღვარს გადააცილა და საკუთარ მიღწევას 9 სანტიმეტრით გადაამეტა. საგულისხმოა, რომ 2009 წლიდან მარიამ ქევხიშვილმა ზედიზედ 10 საუნივერსიტეტო ტურნირი მოიგო.

ქართველი მძლეოსნის პირადმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა** გვითხრა, რომ მომავალ უქმეებზე მარიამი ფლორიდაში იასპარეზებს. ამერიკის სტუდენტთა ჩემპიონატამდე (12-14 მარტი) კიდევ ორ ტურნირზე მოსინჯავს ძალებს. მისი შედეგებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ქევხიშვილი წლევანდელ სეზონს მომზადებული შეხვდა, რაც ორმაგად სასიამოვნოა ჩვენთვის, რადგან ზაფხულში, როგორ გაუწყეთ, საქართველოს სახელით ევროპის საკლუბო და პირად ჩემპიონატში მოუწევს გამოსვლა.

**ვაჟა დანელია**

*დებიუტი*

## საინტერესო მოსაზრება:

# ცინცაძე პოლონეთის საუკეთესო გამთამაშებელია...

**გიორგი ცინცაძემ** შაბათს „სოპოტის" მაისურით „პოლონიას" წინააღმდეგ ითამაშა. ეს გახლდათ გიორგის მეოთხე დებიუტი მიმდინარე სეზონში. „ტრიკალა", „დონეცკი", საუ - ამ გუნდების შემდეგ ცინცაძემ პოლონეთის ჩემპიონატში განაგრძო კარიერა და პირველივე თამაშის შემდეგ არაერთი კომპლიმენტი დაიმსახურა.

„სოპოტის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში წერია: *„შაბათის დაპირისპირებამდე „სოპოტს" „პოლონიაზე" ერთით მეტი მოგება ჰქონდა (10), ამიტომ სპეციალისტები დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ. მათი მოლოდინი არ გამართლდა: მასპინძლებმა ახალწვეულების დახმარებით შთამბეჭდავად ითამაშეს და 106:78 გაიმარჯვეს.*

*მატჩის მე-5 წუთზე მოედანზე გამოვიდნენ „სოპოტის" დებიუტანტები, გიორგი ცინცაძე და მაიკლ ჩელბოვიცკი. ამ უკანასკნელმა 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო. ქართველმა გამთამაშებელმაც ეფექტურად ითამაშა. იგი გუნდის იერიშებს უნარიანად უძღვებოდა. ცინცაძის ზუსტი ტყორცნების შემდეგ მასპინძლები 73:51 დაწინაურდნენ..."*

მიმოხილვის შემდგომ ვებ გვერდზე ქომაგთა გამოხმაურებაა. ვფიქრობთ, ზოგიერთი კომენტარი ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს. ჯორჯი მეტად მოუხიბლავს ცინცაძის თამაშს: *„ცინცაძე პოლონეთში საუკეთესო გამთამაშებელია. იგი მოედანზე შესანიშნავად გადაადგილდება, ძლიერია, საკუთარ თავში დარწმუნებულია. მოკლედ, გუნდის ადმინისტრაციას არჩევანს ვერ დავუწუნებთ. ჩემი აზრით, პირველ მატჩში ქართველმა შესაძლებლობების მინიმუმი გამოავლინა: მეტოქის კალათის მიმართულებით მხოლოდ სამჯერ ისროლა".*

გიორგიმ ორი სამქულიანი, ერთი ორიანი ისროლა და მიზანში თითო ტყორცნა მოარტყა. მას 22 წუთში 5 ქულა, ამდენივე შედეგინი გადაცემა, 2 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოუგროვდა. „სოპოტის" სნაიპერობა **პოლ მელესამ** ითავა - 21 ქულას მოუყარა თავი.



გუნდის თავკაცმა **კარლის მუიჟნიეკსმა** გიორგი ცინცაძეზე მოკლედ თქვა:

- ქართველი გამთამაშებელი სათანადო ფორმაშია. იგი აქამდე საბერძნეთსა და უკრაინაში თამაშობდა. მართალია, ცინცაძე ერთი კვირის ჩამოსულია, მაგრამ თანაგუნდელებთან საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებია.

19 ტურის შემდეგ „სოპოტს" 11 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში ტუროვთან მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

13 თებერვალს ცინცაძის ახალი გუნდი „უნიცს" ესტუმრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი

# დიახ, ვამბობდით გერმანიას, ვგულისხმობდით პორტუგალიას

## ვარჯიში გამოვიდა, თუმცა...

**საქართველო-გერმანია 77:3**

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი, ურჯუკაშვილი, კაჭარავა (ზიბზიბაძე 69), ი.გიორგაძე, მაჩხანელი, მალალურაძე (თოდუა 58), სამხარაძე. (1-8) ხინჩაგიშვილი, ა.გიორგაძე (ნატრიაშვილი 50), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 41), ზედგინიძე (დათუნაშვილი 62), ნემსაძე, ლაბაძე, ჩხაიძე (თავართქილაძე 62), უდესიანი

*11ლ: საჯარიმო, ნემსაძე (2), მაჩხანელი (2), სამხარაძე (2), კვირიკაშვილი (2), ზიბზიბაძე, უდესიანი 11გ: კვირიკაშვილი*

გერმანია (15-9) ჰაკლი (ფრანკე 41), დევისი (ლიბიგი 55), ჰუკი (ტაკაენდესა 30), როზენტალი, დიდებაშვილი (შტინდერა 70), გუნგური, პროისნერი. (1-8) ვიდიკერი, კრაუზე, შლივა (ფონ გრუმბკოვი 65), ჰაუსტონი, კოლი (პირაში 41), ჯონსონი, ვილჰელმი, ვახა

*ს: გუნგური*

მსაჯი. პატრიკ პეშამბერი (საფრანგეთი)


ბურთით ირაკლი ნატრიაშვილი

საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის პირველ შეხვედრაში კარგად ივარჯიშა. გერმანიის ნაკრებმა, რომელიც გათამაშების აუტსაიდერია, „ბორჯღალოსნებს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქეს 11 ლელო გაუტანეს და 77:3 დაამარცხეს.

მატჩი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. ბუნებამ პატარა სიურპრიზი შემოგვთავაზა. დილით ეროვნული სტადიონის მინდორზე მუხლებამდე თოვლი იდო. ქალაქის სამაშველო სამსახურის ძალისხმევით მოედანი დროულად და, რაც მთავარია, ხარისხიანად გაიწმინდა.

თამაში ჩვენმა ნაკრებმა თითქოს მძიმედ დაიწყო. „ბორჯღალოსნებმა“ რამდენჯერმე სცადეს შეტევის მიმართულების ცვლით მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევა, მაგრამ გერმანელები მედგრად იდგნენ. მე-10 წუთზე ძალამ აღმართი მაინც მოხნა. სტუმრების ლელოდან ხუთ მეტრში ჩვენ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. ქართველმა მორაგბეებმა მეტოქის შერკინების ლელოში შეთრევა სცადეს, თუმცა გერმანელთა შერკინების ბურჯმა **პატრიკ შლივამ** სალელოვე შეტევა აკრძალული ხერხით შეაჩერა და ფრანგმა არბიტრმა **პატრიკ პეშამბერმა** საჯარიმო ლელო დააფიქსირა. გარდასახვა **მერაბ კვირიკაშვილმა** დაარტყა ზუსტად - 7:0. აღსანიშნავია, რომ „მეკომ“ თერთმეტივე გარდასახვა გაიტანა, აქედან რამდენიმე საკმაოდ რთული პოზიციიდან.

ამის შემდეგ გერმანელებს შვიდი წუთილა შერჩათ წინააღმდეგობის გასაწევი ძალა. „ბორჯღალოსნებმა“ ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დერეფნიდან ააგორეს მოლი, რომელიც რაკში გადავიდა. მორკინალებმა ორი მოკლე დარტყმა განახორციელეს და მესამე ჯერზე მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** ლელოში შევიდა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 14:0.

სტუმრები მეორე ლელომ საბოლოოდ გატეხა. დაწინაურებული ქართველები კი უფრო ლაღად ათამაშდნენ და ტაიმის ბოლომდე ერთმანეთზე უკეთესი კიდევ ოთხი ლელო გაიტანეს.

ჩვენმა ბიჭებმა ძალიან ლამაზი კომბინაცია 21-ე წუთზე გაითამაშეს. მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** გამოიტანა და მარჯვნივ, გრძელი ფრთისკენ დაიძრა, მაგრამ მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად ბურთი ზურგსუკან შუამარბ **ირაკლი გიორგაძეს** გაატანა. „პატარა გლობუსამ“ ხაზი გაჭრა, ათიოდე მეტრი ირბინა და იქვე მიმყოლ ფულბეკ მერაბ კვირიკაშვილს გადააწოდა. „ლელო“ მერაბმა თავადვე გარდასახა - 21:0.

დარჩენილ დროში გიორგი ნემსაძემ, **ირაკლი მაჩხანელმა** და ბიძინა სამხარაძემ თითო-თითო ლელო გაიტანეს. გერმანელებს შანსი ერთხელ მიეცათ და 32-ე წუთზე სტუმართა მგეზავმა **მუსტაფა გუნგურმა** 40 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა. პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებმა - 42:3 მოიგო.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრებმა ხელდახელ თამაში გააჩაღა. ჩვენმა მორაგბეებმა ხუთი ლელოდან სამი მოედნის საკუთარი ნახევრიდან დაწყებული შეტევებით გაიტანეს. არ გასჭირვებიათ დერეფანში თამაშიც. მორკინალთა უპირატესობა კი იმდენად დიდი იყო, მეტოქის სასარგებლოდ დანიშნული შერკინებისასაც ბურთი ჩვენს გუნდს რჩებოდა.

კვირიკაშვილმა, სამხარაძემ და მაჩხანელმა მონაგარს კიდევ თითო-თითო ლელო მიუმატეს. მატჩის მიწურულს კი თავი შეცვლაზე შესულმა **თედო ზიბზიბაძემ** და ნაკრებში დაბრუნებულმა **ბესო უდესიანმა** გამოიჩინეს. „მეკო“, როგორც უკვე ვთქვით, გარდასახვებს უზადოდ ურტყამდა - 77:3.

ერთი სიტყვით, გერმანიის ნაკრებთან ნაჩვენები თამაშით ძნელია საქართველოს ნაკრების რეალური ძალის განსაზღვრა, მით უფრო, რომ სტუმართაგან ყველაზე მხნედ გაგერმანელებული ქართველი **შალვა დიდებაშვილი** გამოიყურებოდა.


ბიძინა სამხარაძე

გაცილებით მნიშვნელოვანი და ძნელი მატჩი „ბორჯღალოსნებს“ 13 თებერვალს პორტუგალიასთან ლისაბონში ელით. სამწუხაროდ, გერმანიასთან თამაშში ტრავმა მიიღო და გუნდს ვერ დაეხმარება შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი.**

**მატჩის შემდეგ**

**დემიენ კამინსი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: *„ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვართ. მორაგბეები კარგად გამოიყურებოდნენ შერკინებასა და დერეფანში თამაშისას. ვფიქრობთ, ამ კომპონენტებში საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადავდგით. პრობლემად რჩება რაკში თამაში, რაშიც პორტუგალიელები ძალიან ძლიერები არიან. თამაშის ამ კომპონენტის გასაუმჯობესებლად ბევრი მუშაობა დაგვჭირდება.“*

**ბრუნო შტოლცი**, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი: *„ჩვენ წინააღმდეგ ძალიან ძლიერი ნაკრები თამაშობდა. ყველანაირად ვეცადეთ, დიდი ანგარიშით არ წაგვეგო, მაგრამ არ გამოგვივიდა.“*

**რუსეთი-პორტუგალია 14:10**

რუსეთი (15-9) კლუჩნიკოვი, არტემიევი, ბაბაევი, ტრიშინი, გვოზდოვსკი, კუშნარიოვი, იანუშკინი (მაკიროვი 55). მაღლაკელიძე (ხროკინი 70), კორშუნოვი (მატვეევი 70), პრონენკო (ტრავკინი 67), ვოიტოვი, კულემინი, გრესევი, ოსტრიკოვი, ტემნოვი

*ლ: იანუშკინი. 3ს: კუშნარიოვი.*

პორტუგალია (15-9) გარდნერი, ოლივეირა (ფორო 67), სილვა (კაბრალი), დიოგო მატეუში, აგილარი, დ.პინტუ, ჟ.პინტუ. (1-8) ფერნანდესი (ჟუნიროი 50), კორეია, მურე, სტიკლინგი, პენალვა (გ.უვა 65), გირაუ, ვ.უვა, სევერინო

*ლ,გ,ს: გარდნერი*

მსაჯი: ფრენკ მასიელო (საფრანგეთი)

რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა დაპირისპირება სოჭში მუხლებამდე ტალახში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით - 14:10 დასრულდა. რუსები 70-ე წუთისთვის 14:3 იგებდნენ. ანგარიში 23-ე წუთზე ცხრა ნომრის, **ალექსანდრ იანუშკინის** ლელოთი გაიხსნა. **იური კუშნარიოვმა** ვერ გარდასახა - 5:0.

პორტუგალიელთა ავსტრალიელმა ფულბეკმა **ჯოზეფ გარდნერმა** საჯარიმოთი სხვაობა მალევე შეამცირა - 3:5. თუმცა კუშნარიოვმა ასევე საჯარიმო დარტყმით ხუთქულიანი სხვაობა აღადგინა - 8:3.

მეორე ნახევარში თავი ისევ რუსთა დამრტყმელმა გამოიჩინა. მის ანგარიშზე ორი ზუსტი საჯარიმოა - 14:3. თამაშის დასრულებამდე რვა წუთი რჩებოდა, როცა გარდნერმა მასპინძლებს ლელო გაუტანა. გარდასახვაც თვითონვე დაარტყა - 10:14 და თავისიანებს მატჩის გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა. რუსებმა შეძლეს დარჩენილ დროში თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა და სასურველი ანგარიშის შენარჩუნება.

შესარჩევი ტურნირის კიდევ ერთი შეხვედრა რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრებებს შორის ბუქარესტში დიდთოვლობის გამო გადაიდო. ეს მატჩი, სავარაუდოდ, 27 მარტს გაიმართება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | +164 | 11 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | +89 | 10 |
| 3. პორტუგალია | 6 | 3 | 1 | 2 | +36 | 7 |
| 4. რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 4 |
| 5. ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6. გერმანია | 6 | 0 | 0 | 6 | -231 | 0 |

**13 თებერვალი**
პორტუგალია-საქართველო

**27 თებერვალი**
საქართველო-ესპანეთი

**13 მარტი**
რუმინეთი-საქართველო

**20 მარტი**
საქართველო-რუსეთი

*პორტუგალია-საქართველო. 13 თებერვალი*

## ლისაბონში კანის გავლით

საქართველოს ნაკრები გუშინ, საღამოს ხუთ საათზე საფრანგეთში გაემგზავრა. „ბორჯღალოსნები“ საკურორტო ქალაქ კანში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 11 თებერვალს ლისაბონს ეწვევიან.

ნაკრების იმ 22-კაციან შემადგენლობას, რომელმაც გერმანიის ნაკრებთან ითამაშა, ორი მორაგბე დაემატა, გარემარბი **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია) და მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** (ლე ბუგე).

სამწუხაროდ, გერმანელებთან თამაშისას დაშავდა და გუნდს დააკლდა შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული). ნაკრების მწვრთნელები მის ნაცვლად, სავარაუდოდ, „აჟენის“ შერკინების ბურჯს, **ანტონ ფეიქრიშვილს** უხმობენ.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე

№12-13: ირაკლი გიორგაძე (შამბერი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩონსის შოუ სტეიპლს ცენტრში




გასული უქმეების ცენტრალური შეხვედრა ლოს ანჯელესში გაიმართა, სადაც დასავლეთი კონფერენციის ორი საუკეთესო გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს. "ლეიკერსისა" და "დენვერის" მატჩის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ კალიფორნიელები ამ შეხვედრას თავიანთი ლიდერის **კობი ბრაიანტის** გარეშე ჩაატარებდნენ, მაგრამ "შავმა მამბამ" კიდევ ერთხელ გამოავლინა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ ზერელე დამოკიდებულება და "ნაგეტსის" წინააღმდეგ სათამაშოდ შეხვეული ფეხით გავიდა.

კობის თავგანწირვა სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. "ლეიკერსის" ლიდერმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი და მეტოქის კალათში 33 ქულა ჩააგდო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გასამარჯვებლად. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბრაიანტს მთელი შეხვედრის განმავლობაში არც ერთი შედეგიანი პასი არ გაუკეთებია. უკანასკნელად კობის ასეთი ეგოისტური თამაში 2007 წლის 25 მარტს "გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ მატჩში დაფიქსირდა.

მასპინძელთა სასტარტო იერიშების მოგერიების შემდეგ, **კარმელო ენტონის** გარეშე მოთამაშე "დენვერმა" საკუთარი თამაში მოახვია თავს მოწინააღმდეგეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო **ჩონსი ბილაპსი**. "ბიგ შოთმა" აიკლო "ლეიკერსის" პერიმეტრი და ჯამში 9 (!) სამქულიანი ჩააგდო. სტუმართა გამთამაშებლის საერთო მონაგარმა 39 ქულა, 8 შედეგიანი პასი და 4 მოხსნა შეადგინა. რაც მთავარია, ჩონსიმ შედეგიანობის მხრივ კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა - ორი ქულით გააუმჯობესა ერთი თვის წინ "გოლდენ სტეიტთან" დამყარებული რეკორდი.

**5 თებერვალი**

**ინდიანა-დეტროიტი 107:83**
24:20, 28:17, 24:19, 31:27
ი: გრეინჯერი (25), რაში (16), ჯონსი (13), მერფი (12+10 მოხსნა), ფორდი (11), ჰიბერტი (10+11 მოხსნა).
დ: გორდონი (26), სტაკი (16), პრინსი (10), ბინუმი (10+7 პასი), ჟერებკო (4+10 მოხსნა).

**ორლანდო-ვაშინგტონი 91:92**
32:13, 18:22, 17:39, 24:18
ო: კარტერი (21), ჰოვარდი (20+18 მოხსნა), ნელსონი (12), ლუისი (12).
ვ: ბატლერი (31+9 მოხსნა), ფოიე (22+7 მოხსნა+7 პასი), ჰეივუდი (5+10 მოხსნა).

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 96:87**
29:25, 22:30, 21:18, 24:14
ბ: ალენი (26+7 მოხსნა), რონდო (17+11 პასი), დევისი (13), გარნეტი (10+7 მოხსნა), პაუსი (10).
ნ-ჯ: ლოპესი (19), ჰარისი (17+8 პასი), ლი (12), ჰეიესი (10), იანლიანი (10).

**ნიუ იორკი-მილუოკი 107:114**
26:29, 33:25, 22:36, 26:24
ნ-ი: ლი (32+15 მოხსნა), ჰარინგტონი (22+8 მოხსნა), ჩენდლერი (19), რობინსონი (13+7 პასი).
მ: ილიასოვა (25+9 მოხსნა), ჯენინგსი (22+8 პასი), მბა ა მუტე (16), დელფინო (13+9 მოხსნა+6 პასი), ბელი (13).

**ატლანტა-ჩიკაგო 91:81**
27:20, 23:26, 14:24, 27:11
ა: ჯონსონი (18), სმიტი (18+14 მოხსნა+10 პასი), კროუფორდი (17), ჰორფორდი (15), უილიამსი (11+8 მოხსნა).
ჩ: დენგი (20+8 მოხსნა), როუზი (19+6 პასი), ჰაინრიხი (13+9 მოხსნა), გიბსონი (11+7 მოხსნა), მილერი (10).

**ლეიკერსი-დენვერი 113:126**
30:30, 34:29, 25:35, 24:32
ლ: ბრაიანტი (33+9 მოხსნა), პ. გასოლი (17+17 მოხსნა+6 პასი), ბრაუნი (13), არტესტი (12), ბინუმი (10), ოდომი (10).
დ: ბილაპსი (39+8 პასი), სმიტი (27), ნენე (14), ლოუსონი (13), აფლალო (11), მარტინი (11+12 მოხსნა), ანდერსენი (7+15 მოხსნა).

**ნ ორლეანი-ფილადელფია 94:101**
23:25, 24:31, 23:20, 24:25
ნ-ო: სტოაკოვიჩი (23), კოლისონი (17), უესტი (11+8 მოხსნა), სონგაილა (10), პოუსი (8+10 მოხსნა+6 პასი).
ფ: იანგი (19), იგუოდალა (14+9 მოხსნა+7 პასი), კარნი (13), გრინი (12), ბრენდი (11), უილიამსი (11), ლთოესქეპი (7+16 მოხსნა).

**საკრამენტო-ფინიქსი 102:114**
24:39, 27:27, 20:30, 31:18
ს: გრინი (31+7 მოხსნა), კასპი (17+8 მოხსნა), ევანსი (13), როდრიგესი (10).
ფ: სტაუდმაიერი (30+9 მოხსნა), ნეში (23+8 მოხსნა+10 პასი), რიჩარდსონი (16), ჰილი (10), ლოპესი (10+7 მოხსნა), დრაგიჩი (10).

**მემფისი-ჰიუსტონი 83:101**
25:25, 19:25, 22:25, 17:26
მ: მ. გასოლი (17+8 მოხსნა), რენდოლფი (14+8 მოხსნა), იანგი (12), მაიო (11), გეი (11).
ჰ: ბრუქსი (19+8 მოხსნა), არიზა (17+8 მოხსნა), ლენდრი (17), სკოლა (12), დორსი (7+12 მოხსნა).

**დალასი-მინესოტა 108:117**
29:32, 32:25, 19:32, 28:28
დ: ნოვიცკი (21+8 მოხსნა), ტერი (20), კიდი (17+7 პასი), ბებუა (17), ჰოვარდი (11), მერიონი (10), დამპიე (5+10 მოხსნა).
მ: ფლინი (19+7 პასი), ლავი (17+11 მოხსნა), ჰოლინზი (15), ჯეფერსონი (15+8 მოხსნა), ბრიუერი (14), გომესი (12).

**6 თებერვალი**

**შარლოტი-ნიუ ორლეანი 99:104**
26:21, 27:22, 21:36, 25:25
შ: ჯექსონი (26+6 პასი), მუჰამედი (15), უოლასი (14+7 მოხსნა), აუგუსტინი (13+5 პასი), დიაო (10+8 მოხსნა+6 პასი).
ნ-ო: კოლისონი (24+5 პასი), უესტი (21), სტოაკოვიჩი (18), ოკაფორი (16+7 მოხსნა), პოუსი (11+8 მოხსნა).

**კლივლენდი-ნიუ იორკი 113:106**
44:24, 30:30, 20:26, 19:26
კ: ჯეიმსი (47+8 მოხსნა+8 პასი+5 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (19), პარკერი (11), ჰიქსონი (10).
ნ-ი: რობინსონი (26+6 პასი), ლი (20+8 მოხსნა), ჰარინგტონი (16), გალინარი (13+5 პასი), ჯეფრიზი (12+7 მოხსნა).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 99:92**
26:18, 30:29, 22:24, 21:21
დ: ჟერებკო (20+7 მოხსნა), ჰემილტონი (17+5 პასი), მაქსიელი (13), ვილანუევა (12), სტაკი (10+11 პასი), უოლასი (9+10 მოხსნა+4 დაფარება).
ნ-ჯ: ჰარისი (21+7 პასი), ლოპესი (20+5 პასი), ჰემფრიზი (14+9 მოხსნა), დულინგი (11).

**ჩიკაგო-მაიამი 95:91**
23:27, 26:15, 20:27, 26:22
ჩ: დენგი (25+7 მოხსნა), როუზი (24), სალმონსი (15+5 პასი), მილერი (13+8 მოხსნა).
მ: ჯ. ო'ნილი (24+16 მოხსნა+5 პასი), უეიდი (20+8 პასი), რიჩარდსონი (13), ელსტონი (11).

**მინესოტა-მემფისი 109:102**
17:27, 30:26, 29:25, 33:24
მინ: გომესი (26), ჯეფერსონი (23+7 მოხსნა), სეშენსი (19+6 პასი), ბრიუერი (17+4 ჩაჭრა), ლავი (12+7 მოხსნა).
მემ: გეი (27+8 მოხსნა), მაიო (16), გასოლი (15+8 მოხსნა+5 პასი), რენდოლფი (14+13 მოხსნა+6 პასი), კონლი (14+6 პასი).

**ჰიუსტონი-ფილადელფია 95:102**
22:26, 35:21, 19:23, 19:32
ჰ: ბრუქსი (34), ლოური (14), ლენდრი (13+10 მოხსნა).
ფ: იანგი (17), გრინი (15), იგუოდალა (14+10 მოხსნა+6 პასი), ბრენდი (13), ჰოლიდეი (10).

**მილუოკი-ინდიანა 93:81**
31:21, 22:25, 17:17, 23:18
მ: ბოგუტი (21+8 მოხსნა), მბა ა მუტე (18+11 მოხსნა), დელფინო (16+4 ჩაჭრა), სტეკჰაუსი (14).
ი: ფორდი (20), გრეინჯერი (14+5 პასი), დანლივი (11), ჰიბერტი (10).

**იუტა-დენვერი 116:106**
38:28, 28:27, 27:31, 23:20
ი: უილიამსი (22+9 პასი), კირილენკო (22+5 ჩაჭრა), ბუზერი (19+13 მოხსნა), მილსეპი (16), მაილზი (12).
დ: ლოუსონი (25), სმიტი (19), მარტინი (16+13 მოხსნა), გრემი (16), ანდერსენი (15).

**პორტლენდი-ლეიკერსი 82:99**
29:26, 19:28, 16:19, 18:26
პ: ოლდრიჯი (16), მილერი (14+6 პასი), ბეილესი (13), ჰოვარდი (10+7 მოხსნა).
ლ: არტესტი (21), ბრაუნი (19), ფიშერი (14+6 პასი), გასოლი (13+8 მოხსნა), ფარმარი (12), ოდომი (10+22 მოხსნა+6 პასი).

**გ. სტეიტი-ოკლაჰომა 95:104**
27:26, 23:26, 23:36, 22:16
გ-ს: მაგეტი (24), კარი (23), ელისი (15), ტოლივერი (11+11 მოხსნა), კარლი (10).
ო: დურანტი (29+8 მოხსნა), უესტბრუკი (21+10 პასი+7 მოხსნა+8 ჩაჭრა), გრინი (18), კრსტიჩი (10+7 მოხსნა).

**კლიპერსი-სან ანტონიო 81:98**
10:28, 17:21, 35:33, 19:16
კ: კამანი (21), გორდონი (20).
ს-ა: ჰილი (22), პარკერი (14+14 პასი+4 ჩაჭრა), დანკანი (11), ბონერი (11).



# კლიპერსმა აიზია მიიწვია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდა **აიზია ტომასი** "ლოს ანჯელეს კლიპერსის" გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრება.

ორი დღის წინ კალიფორნიული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **მაიკლ დანლივიმ**, თუმცა მან შეინარჩუნა გენერალური მენეჯერის პოსტი. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული ერთ-ერთი წყაროს ცნობით, "კლიპერსის" შეფობა აიზია ტომასს დაუკავშირდა და მას პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის თანამდებობები შესთავაზა. ამჟამად ტომასი, რომელიც ადრე "ნიუ იორკ ნიქსსა" და "ინდიანა პეისერზს" ავარჯიშებდა, ფლორიდის უნივერსიტეტის მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

■ ■ ■

NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა "ყველა ვარსკვლავის" უქმეებზე სამქულიანების კონკურსის მონაწილეთა სია. ლიგის საუკეთესო სნაიპერთა კონკურსი 13 თებერვალს გაიმართება.

პირველობისთვის ექვსი კალათბურთელი იბრძოლებს: მოქმედი ჩემპიონი **დეშუან კუკი** ("მაიამი"), **პოლ პირსი** ("ბოსტონი"), **ჩონსი ბილაპსი** ("დენვერი"), **სტივენ კარი** ("გოლდენ სტეიტი"), **დანილო გალინარი** ("ნიუ იორკი") და **ჩენინგ ფრაი** ("ფინიქსი"). აღსანიშნავია, რომ ფრაი ამპლუით ცენტრი გახლავთ.

ამასობაში გაირკვა, რომ "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მცველი **ბრენდო როი** გამოტოვებს თავისი გუნდის მორიგ სამ შეხვედრას და აგრეთვე ვერ ვიხილავთ მას "ყველა ვარსკვლავის მატჩში". მიზეზი მარჯვენა ფეხის ტრავმა გახლავთ.

რომ, რომელმაც ბოლო 12 შეხვედრიდან 11 გამოტოვა, ფეხი ჯერ კიდევ 13 იანვარს "მილუოკისთან" მატჩში დაიზიანა, შემდეგ კი (20 იანვარს "ფილადელფიასთან") ტრავმა გაიმიზეზა.

წელს როი საშუალო 23.1 ქულით "ბლეიზერსის" საუკეთესო ბომბარდირია.

■ ■ ■

როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა დაუსრულებელი ლაპარაკი **ამარე სტაუდმაიერის** სხვა გუნდში სავარაუდო გადასვლასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ "ფინიქსის" ცენტრმა, შესაძლოა, უარი თქვას მიმდინარე კონტრაქტის გაგრძელებაზე, რაც მას ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებს. მაგრამ ბოლო ინტერვიუში ამარემ აღნიშნა, რომ არ აპირებს გუნდიდან გუნდში სირბილს და "ფინიქსში" დარჩენა აქვს გადაწყვეტილი. კალათბურთელის თქმით, მან მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანში "სანზის" ხელმძღვანელობა სტაუდმაიერთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს.

*"ჩემი აზრით, ეს ამ ეტაპზე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა"*, - თვლის სტაუდმაიერი.

### ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

**5 თებერვალი**

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 4:3**
1:0, 0:3, 3:0
გოლები: 1:0 ზუბრუსი-4 (კოვალჩუკი-28, ლანგენბრუნერი-32), 1:1 ტ. კაბერლე-6 (კესელი-17, ბოჟაკი-7), 1:2 სტემპნიაკი-14, 1:3 ვალინი-1 (კესელი-18), 2:3 მაკამონდი-6 (ჟარკოვი-8, მოტო-7), 3:3 ზაიაცი-17 (მაკამონდი-7, კოვალჩუკი-29), 4:3 პანდოლფო-4 (მოტო-8, ლანგენბრუნერი-33).

**ვაშინგტონი-ატლანტა 5:2**
1:1, 1:0, 3:1
გოლები: 0:1 ენსტრიომი-5 (პეველი-26, ვიაჩ. კოზლოვი-16), 1:1 ოვეჩკინი-39 (ბექსტრიომი-46, სიომინი-32), 2:1 ბექსტრიომი-25 (ოვეჩკინი-43, ნუბლი-17), 3:1 სიომინი-26 (ლეიჩი-23, შ. მორისონი-9), 4:1 ჩიმერა-12 (ბრედლი-11), 4:2 პეველი-18, 5:2 მ. გრინი-13 (გორდონი-4).

**ბაფალო-კაროლინა 3:4**
1:1, 0:0, 2:3
გოლები: 0:1 ა. უორდი-1 (ბოიჩუკი-2), 1:1 სეკერა-4 (ბატლერი-17, პომინვილი-26), 1:2 ე. სტაალი-20 (რეი უიტნი-26, ი. იოკინენი-24), 2:2 სტეფორდი-13 (ვანეკი-19, სეკერა-5), 3:2 სტეფორდი-14 (სეკერა-6, ვანეკი-20), 3:3 კოსტოპულოსი-7 (სამსონოვი-9, კულენი-26), 3:4 ი. იოკინენი-19 (ე. სტაალი-27, გლისონი-11).

**ფლორიდა-კალგარი 1:2**
0:1, 1:1, 0:0
გოლები: 0:1 კოტალიკი-9 (ბოუმისტერი-20, პაგმანი-14), 1:1 საიდენბერგი-2 (უეისი-26, ბუთი-3), 1:2 ჯორდანო-9 (ი. უაიტი-18, ლენგკოუ-21).

**ჩიკაგო-ფინიქსი 1:2 (ბ)**
1:0, 0:1, 0:0, 0:0
გოლები: 1:0 ფრეზერი-2 (კეიტი-40, ლედი-16), 1:1 ვრბატა-18 (იენდლი-20, ზ. მიხალეკი-9).
ბულიტები გაიტანეს: ლანგი (ფინიქსი), ტეუვზი (ჩიკაგო), ა. ოკუანი (ფინიქსი).

**6 თებერვალი**

**ბოსტონი-ვანკუვერი 2:3 (ბ)**
2:0, 0:1, 0:1, 0:0
გოლები: 1:0 ხარა-5 (სავარი-17, შტურმი-10), 2:0 რაიდერი-13 (სავარი-18, პ. ბერჟერონი-22), 2:1 რეიმონდი-21 (კესლერი-36), 2:2 დემიტრა-1 (სალო-13, გლასი-6).
ბულიტები გაიტანეს: დემიტრა (ვანკუვერი).

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 1:2**
0:2, 0:0, 1:0
გოლები: 0:1 შარპი-17 (ტეუვზი-28, მარიან ჰოსა-16), 0:2 ტეუვზი-19 (პ. კეინი-40, შარპი-28), 1:2 სტინი-14 (პერონი-17, ოში-21).

**მონრეალი-პიტსბურგი 5:3**
1:1, 2:1, 2:1
გოლები: 1:0 პლეკანეცი-15, 1:1 დუპუი-13 (ჯ. სტაალი-22, მალკინი-39), 2:1 ჯონტა-15 (ჰამრლიკი-15), 3:1 გომესი-(პლეკანეცი-42, ჯონტა-13), 3:2 გერინი-17 (კროსბი-35, ორპიკი-17), 4:2 დერჩი-2 (პლეკანეცი-43, შპაჩეკი-14), 5:2 ჯონტა-16 (მოენი-5, გომესი-31), 5:3 მალკინი-20 (მაკი-9, გონჩარი-26).

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 4:3**
0:3, 3:0, 1:0
გოლები: 0:1 ზეტერბერგი-15 (დაციუკი-31, რაფალსკი-22), 0:2 ფილპულა-5 (ქლირი-15, ბერტუცი-17), 0:3 ზეტერბერგი-16 (რაფალსკი-23, ლიდსტრიომი-27), 1:3 ფროლოვი-13 (პერსი-12, ჰანძუში-18), 2:3 ჰანძუში-14, 3:3 რ. სმიტი-18 (სიმონდსი-21, მ. გრინი-6), 4:3 ჰანძუში-15 (პერსი-14, ფროლოვი-23).

**დალასი-ფინიქსი 4:0**
2:0, 2:0, 0:0
გოლები: 1:0 ნილი-23 (ლ. ერიქსონი-31, ბ. რიჩარდსი-45), 2:0 ლ. ერიქსონი-22 (ნილი-19), 3:0 ბენი-12 (მოროუ-17, სკრასტინსი-9), 4:0 ბენი-13 (ოტი-12, ბ. რიჩარდსი-46).

**ტორონტო-ოტავა 5:0**
3:0, 1:0, 1:0
გოლები: 1:0 კესელი-19 (ფანოფი-13, ტ. კაბერლე-39), 2:0 შენი-3 (სიოსტრიომი-7, ვალინი-5), 3:0 ბოჟაკი-2 (კესელი-19, შენი-8), 4:0 კესელი-20 (ბოჟაკი-8, პონიკაროვსკი-22), 5:0 შენი-4.

**აილენდერსი-კაროლინა 1:3**
0:1, 1:1, 0:1
გოლები: 0:1 ი. იოკინენი-20 (პიტკანენი-30, რეი უიტნი-27), 1:1 ნილსენი-8 (კომო-9), 1:2 დუაიერი-5 (ბ. სატერი-12, ბოიჩუკი-3), 1:3 პიტკანენი-3.

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 3:1**
0:0, 3:0, 0:1
გოლები: 1:0 გაბორიკი-35 (კელეჰანი-17, დელ ზოტო-20), 2:0 კელეჰანი-15, 3:0 დრური-9 (გილროი-7, პრუსტი-5), 3:1 ზუბრუსი-5 (ელიაში-17).

**ტამპა ბეი-კალგარი 2:1 (ო)**
0:1, 0:0, 1:0, 1:0
გოლები: 0:1 ჯორდანო-10 (გლენკროსი-14), 1:1 სტემკოსი-32 (სმები-2, სენტ ლუისი-45), 2:1 მეზაროში-5 (დაუნი-19).

**კოლამბუსი-ბაფალო 4:0**
0:0, 2:0, 2:0
გოლები: 1:0 იურჩინა-1 (ვერმეტი-26, ვორაჩეკი-21), 2:0 ნეში-25 (უმბურგერი-22, ჰუსელიუსი-28), 3:0 სტრალმანი-6 (ბრასარი-18, ვორაჩეკი-22), 4:0 ტორესი-17 (ვორაჩეკი-23, სტრალმანი-23).

**ატლანტა-ფლორიდა 4:2**
0:2, 2:0, 2:0
გოლები: 0:1 დვორაკი-10 (ლეოპოლდი-11, გ. კემპბელი-10), 0:2 დვორაკი-11 (კრეპსი-7), 1:2 აფინოგენოვი-18 (კუბინა-24, ანტროპოვი-30), 2:2 ლიტლი-9 (ანტროპოვი-31), 3:2 ბერგფორსი-14 (ანტროპოვი-32, კუბინა-25), 4:2 ე. კეინი-12.

**ნეშვილი-სან ხოსე 3:4**
1:1, 2:2, 0:1
გოლები: 1:0 დუმონი-10 (ერატი-16, ჯ. ო'რაილი-5), 1:1 შტასტნი-3 (ჰასკინსი-14, ტ. მიტჩელი-2), 2:1 დუმონი-11 (ჯ. ო'რაილი-6, რ. სატერი-24), 2:2 ჰიტლი-31 (სეტოგუჩი-9, ჯ. ტორნტონი-57), 3:2 ჯ. უორდი-11 (ჯ. ო'რაილი-7), 3:3 რ. ბლეიკი-5 (ჰიტლი-33, მარლო-25), 3:4 ჰიტლი-32 (მარლო-26, ჯ. ტორნტონი-58).

**მინესოტა-ფილადელფია 2:1**
1:1, 1:0, 0:0
გოლები: 1:0 კლატერბეკი-11, 1:1 კარჩილო-8 (ქობურნი-10, სამიონ განიე-17), 2:1 ნოლანი-14 (ბელანჟე-21, კ. იონსონი-8).

**კოლორადო-ედმონტონი 3:0**
0:0, 1:0, 2:0
გოლები: 1:0 ვოლსკი-17 (დუშენი-21, ჰენანი-12), 2:0 რაიან უილსონი-3 (ფუტი-6), 3:0 იიპი-9 (ფუტი-7).

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

# ამერიკული კონტურები

ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე თავისი გუნდის შემადგენლობის შესახებ უამბო ჟურნალისტებს.

Farhouse-სთვის მიცემულ ინტერვიუში კოლანჯელომ განაცხადა, რომ უახლოეს ოთხშაბათს გამოცხადდება 25-კაციანი გაფართოებული სია და სწორედ მის მიხედვით დაკომპლექტდება საბოლოო შემადგენლობა, რომელიც მომავალ სექტემბერს თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა. როგორც ირკვევა, გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ ვიხილავთ მხოლოდ ორ მოთამაშეს იმ ნაკრებიდან, რომელმაც პეკინის ოლიმპიადა მოიგო: **ჯეისონ კიდმა** დაასრულა სანაკრებო დონეზე გამოსვლა, ხოლო **მაიკლ რედი** მძიმედ არის ტრავმირებული და გაურკვეველია როდის ჩადგება მწყობრში.

წინასწარ სიაში იქნებიან: **ლებრონ ჯეიმსი, კრის ბოში, დუეინ უეიდი, კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი, დუაიტ ჰოვარდი, კრის პოლი, ტაიშონ პრინსი, დერონ უილიამსი** და **კარლოს ბუზერი**.

ამერიკელთა გენერალურმა მენეჯერმა დაადასტურა, რომ პირადად ელაპარაკა ბოშს, რომელმაც თანხმობა განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშზე. ასევე ელიან ლებრონის დასტურს. კოლანჯელომ ისიც დაამატა, რომ ნაკრებში ვიხილავთ ახალგაზრდა ვარსკვლავ **კევინ დურანტს**.

თუმცა ზოგიერთი ვარსკვლავისთვის გარკვეული შეფერხებაც არსებობს. ამერიკის ნაკრებს შეკრების დაწყება 22-25 ივლისისთვის აქვს დაგეგმილი და ის თავისუფალი აგენტი, რომელსაც ამ მომენტისთვის ახალი კლუბი არ ექნება მოძებნილი, ნაკრების მიღმა დარჩება.

*"ისინი მთლიანად ნაკრების საქმეებში უნდა იყვნენ ჩართულნი და საკლუბო პრობლემებზე არ იფიქრონ"*, - ასე ხსნის ამ შეზღუდვას კოლანჯელო.

ჯერჯერობით უცნობია **ჩონსი ბილაპსის** ბედი, რომელიც შეიძლება მოხვდეს შემადგენლობაში, მაგრამ მწვრთნელები მას, პირველ რიგში, კრის პოლის შემცვლელად განიხილავენ. ეს უკანასკნელი ასევე ტრავმირებულია და რთული სათქმელია, როგორ ფორმაში შეხვდება სეზონის დასასრულს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვანკუვერი 2010. დარჩა 5 დღე

# ბობსლეი

**მონაწილე:** 1479 (1429 კაცი, 50 ქალი) 52 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** ტომ დოე (აშშ) - 15 წლის, 126 დღის (1928 წლის თამაშები)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ჰუბერტ მენტენი (ჰოლანდია) - 54 წლის, 156 დღის (1928 წლის თამაშები)
**ყველაზე მეტი მედალი:** ბოგდან მუსიოლი (გერმანია) - 7 მედალი: 1-5-1
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** შვეიცარია (30 მედალი)

## კალენდარი

| | |
|---|---|
| **20 თებერვალი** | |
| 05:00 | კაცები. ორადგილიანი. I ცდა |
| 06:30 | კაცები. ორადგილიანი. II ცდა |
| **21 თებერვალი** | |
| 01:30 | კაცები. ორადგილიანი. III ცდა |
| 02:45 | კაცები. ორადგილიანი. IV ცდა |
| **23 თებერვალი** | |
| 05:00 | ქალები. ორადგილიანი. I ცდა |
| 06:00 | ქალები. ორადგილიანი. II ცდა |
| **24 თებერვალი** | |
| 05:00 | ქალები. ორადგილიანი. III ცდა |
| 06:00 | ქალები. ორადგილიანი. IV ცდა |
| **26 თებერვალი** | |
| 01:00 | კაცები. ოთხადგილიანი. I ცდა |
| 02:30 | კაცები. ოთხადგილიანი. II ცდა |
| **27 თებერვალი** | |
| 01:00 | კაცები. ოთხადგილიანი. III ცდა |
| 02:15 | კაცები. ოთხადგილიანი. IV ცდა |



**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 9 | 10 | 11 | 30 |
| 2. გერმანია | 9 | 3 | 6 | 18 |
| 3. აშშ | 6 | 6 | 6 | 18 |
| 4. გდრ | 5 | 5 | 3 | 13 |
| 5. იტალია | 4 | 4 | 4 | 12 |
| 6. გფრ | 1 | 3 | 2 | 6 |
| 7. ბრიტანეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 8. კანადა | 2 | 1 | 0 | 3 |
| 9. ავსტრია | 1 | 2 | 0 | 3 |
| 10. სსრკ | 1 | 0 | 2 | 3 |
| 11. ბელგია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 12. რუსეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 13. რუმინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 14. საფრანგეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ლიდერები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ბერნარდ გერმეშაუზენი (გდრ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 2. მაინჰარდი ნემერი (გდრ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 3. კევინ კუშკე (გერ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 3. ანდრე ლანგე (გერ) | 3 | 0 | 0 | 3 |

ბობსლეის წინამორბედად ითვლება მთებიდან ტობოგანით (ხის ციგა) დაშვება. მოციგავეთა პირველი სპორტული შეჯიბრების შესახებ ცნობები XIX საუკუნის შუა პერიოდით თარილდება, როცა ბრიტანელი ტურისტები შვეიცარიის ალპებში ციგებით დაეშვნენ დათოვლილი მთებიდან. ბობსლეის სამშობლოდ შვეიცარიაა მიჩნეული.

პირველი სარბოლო ციგები ხისგან მზადდებოდა, მაგრამ მალე ის ფოლადის მასალით შეიცვალა და ასეთ ციგებს "ბობები" ენოდა. ბობსლეი ოლიმპიურ პროგრამაში 1924 წლიდან შედის. ქალთა ბობსლეის დებიუტი 2002 წელს შედგა.

სპორტის ეს სახეობა წარმოადგენს მართვადი ციგებით (ბობებით) სპეციალურ ტრასაზე დაშვებას, რომელიც დაახლოებით წუთი გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ციგა საათში 150 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს, რის გამოც ბობსლეი ზამთრის ოლიმპიურ პროგრამაში ყველაზე სწრაფ სახეობად ითვლება. მას არაოფიციალურად ზამთრის ფორმულა 1-საც უწოდებენ.

არსებობს ორი სახის ბობი - ორადგილიანი და ოთხადგილიანი. სტარტზე ეკიპაჟის ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფი აჩქარება მიანიჭონ ბობს. ამის შემდეგ ციგას ერთი ადამიანი მართავს - პილოტი, რომელმაც ვირაჟების გავლის ოპტიმალური ტრაექტორია უნდა შეარჩიოს და რაც შეიძლება სწრაფად მიიყვანოს ციგა ფინიშამდე.

ბობსლეიში გამარჯვებული ოთხი ცდის ჯამში ვლინდება. მოგებულია ის, ვინც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს ოთხ დაშვებას.



# ვანკუვერს ცეცხლი უახლოვდება

შაბათს კანადის სათხილამურო ცენტრი უისტლერი, სადაც 13 თებერვალს მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდება სამთომოთხილამურეებისთვის, საზეიმოდ შეხვდა ოლიმპიურ ჩირაღდანს.

უისტლერი მომავალი ოლიმპიადის პირველი ობიექტია, სადაც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტამ გაიარა. "შვიდწლიანი სერიოზული მუშაობის შემდეგ, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მზად ვართ ამ უდიდესი სპორტული ფორუმის ჩასატარებლად", - ამაყად აღნიშნა უისტლერის მერმა **კენ მელამედმა.**

უისტლერში ოლიმპიურ ცეცხლს დიდხანს ელოდნენ, კერძოდ, 1968 წლიდან, მაგრამ არც მაშინ და არც 1972 და 1978 წლებში ვანკუვერმა ვერ მიიღო თეთრი ოლიმპიადის ორგანიზების უფლება.

■ ■ ■

ოლიმპიური ჩირაღდნის ბოლო გაჩერება ვანკუვერის მთავარი სტადიონი იქნება, სადაც საზეიმოდ გაიხსნება რიგით მე-14 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ეს 12 თებერვალს მოხდება.

გახსნის ცერემონიას 55 ათასი მაყურებელი დაესწრება. ზეიმს კანადის პრემიერ-მინისტრი **სტეფან ჰარპერი** გახსნის, რის შემდეგაც ოლიმპიადის მონაწილეთა ალლუმი დაიწყება.

როგორც უკვე ვწერდით, გახსნის ცერემონიის სცენარი მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ოლიმპიადის დაწყებამდე ზეიმის მონაწილენი კიდევ სამ რეპეტიციას გაივლიან. სხვათა შორის, ბოლო რეპეტიციას დაესწრებიან იმ მსახიობებისა და მოხალისეების ნათესავები, რომლებიც საზეიმო ღონისძიებებში არიან დაკავებულნი.

გახსნის ცერემონია, რომელშიც აქცენტი კანადელი აბორიგენების კულტურაზე გაკეთდება, დაახლოებით 40 მილიონი დოლარი დაჯდა. ჯერჯერობით უცნობია, ვის მიენიჭება ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივი.

■ ■ ■

ოლიმპიადის გახსნის მეორე დღიდან არეულობებია მოსალოდნელი ვანკუვერის ქუჩებში. ანარქისტები და ანტიგლობალისტები მოძრაობის ბლოკირებას აპირებენ.

შაბათს ამერიკელ ანარქისტთა ერთ-ერთ ვებგვერდზე გავრცელდა მსვლელობაში მონაწილეობისკენ მოწოდება ლოზუნგით - "გულის შეტევა-2010: დავბლოკოთ კაპიტალიზმის არტერიები". ამ აქციის მონაწილეები "პროტესტანტთა უსაფრთხოების ზონის" მიღმა აპირებენ მოქმედებას. ეს ზონა ვანკუვერის პოლიციამ არენა "პასიფიკ კოლიზეუმის" ახლოს შექმნა.

ამავე დღეს პარალელური აქციის გამართვას აპირებს ვანკუვერის ორგანიზაცია - "ოლიმპიადის წინააღმდეგობის ქსელი".

თამაშების გახსნის დღეს ოლიმპიადის კიდევ ერთი მოწინააღმდეგე - ანტიოლიმპიური ჯგუფების კოალიცია გამართავს ალლუმს დევიზით - "დავიბრუნოთ ჩვენი ქალაქი". აქცია დღის მეორე ნახევარშია დაგეგმილი, როცა ვანკუვერის ცენტრში ბევრი საინტერესო ღონისძიება უნდა ჩატარდეს: ოლიმპიელი სპორტსმენები 14 საათიდან დაიწყებენ მისვლას "ბი სი პლეისის" არენასთან, სადაც საყოველთაო ზეიმი იგეგმება, პარალელურად ქუჩებში ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ბოლო ეტაპი ჩაივლის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი

### ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| უკრაინა-იტალია | 1:4 |
|---|---|
| 1:0 ალიონა ბონდარენკო-ფრანჩესკა სკიავონე | 6:1, 6:4 |
| 1:1 კატერინა ბონდარენკო-ფლავია პენეტა | 5:7, 3:6 |
| 1:2 ალიონა ბონდარენკო-ფლავია პენეტა | 5:7, 6:7(3) |
| 1:3 კატერინა ბონდარენკო-ფრანჩესკა სკიავონე | 6:2, 1:6, 1:6 |
| 1:4 კორიტცევა/კუტუზოვა-ერანი/ვინჩი | 1:6, 3:6 |
| **ჩეხეთი-გერმანია** | **3:2** |
| 0:1 ლუსი საფაროვა-ანა ლენა გრიონეფელდი | 2:6, 2:6 |
| 1:1 პეტრა კვიტოვა-ანდრეა პეტკოვიჩი | 6:4, 6:4 |
| 2:1 ლუსი ჰრადეცკა-ანდრეა პეტკოვიჩი | 6:1, 7:6(5) |
| 2:2 პეტრა კვიტოვა-ანა ლენა გრიონეფელდი | 6:2, 3:6, 2:6 |
| 3:2 ჰრადეცკა/პეშკე-გრონეფელდი/მალეკი | 6:1, 6:3 |

| სერბეთი-რუსეთი | 2:3 |
|---|---|
| 0:1 ანა ივანოვიჩი-სვეტლანა კუზნეცოვა | 1:6, 4:6 |
| 1:1 ელენა იანკოვიჩი-ალისა კლეიბანოვა | 4:6, 6:4, 6:0 |
| 2:1 ელენა იანკოვიჩი-სვეტლანა კუზნეცოვა | 6:3, 4:6, 6:3 |
| 2:2 ანა ივანოვიჩი-ალისა კლეიბანოვა | 2:6, 3:6 |
| 2:3 ივანოვიჩი/იანკოვიჩი-კლეიბანოვა/კუზნეცოვა | 1:6, 4:6 |
| **საფრანგეთი-აშშ** | **1:4** |
| 0:1 ალიზ კორნე-ბეტანი მატეკი | 6:7(7), 5:7 |
| 0:2 პოლინ პარმენტიე-მელანი ოუდინი | 4:6, 4:6 |
| 0:3 ალიზ კორნე-მელანი ოუდინი | 6:7, 4:6 |
| 1:3 პოლინ პარმენტიე-კრისტინა მაკჰეილი | 6:4, 6:4 |
| 1:4 კოენ ალონსო/კუანი-პუგერი/მატეკი | 2:6, 3:6 |

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ტორონტო-საკრამენტო | 115:104 |
| ბოსტონი-ორლანდო | 89:96 |
| **გერმანია** | |
| ერტლანდი-ბრაუნშვაიგი | 60:66 |
| ლუდვიგსბურგი-პადერბორნი | 84:79 |
| ალბა-ტიუბინგენი | 99:83 |
| სკაილაინერსი-ულმი | 84:77 |
| ფინიქსი-ტელეკომი | 64:67 |
| ბამბერგი-მიტელდოიჩე | 74:55 |
| გიოტინგენი-ტრირი | 77:64 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-პანიონიოსი | 89:56 |
| კოლოსოსი-ტრიკალა | 82:58 |
| ოლიმპია-ილისიაკოსი | 87:78 |
| არისი-პაოკ | 69:59 |
| პერისტერი-კავალა | 73:68 |
| პანელინიოსი-პანათინაიკოსი | 63:75 |
| მარუსი-ოლიმპიაკოსი | 82:74 |
| **ესპანეთი** | |
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 57:81 |
| უნიკახა-ბრუესა | 97:72 |
| ვალენსია-გრანადა | 87:67 |
| სევილია-ესტუდიანტესი | 83:78 |
| გრან კანარია-ვალიადოლიდი | 77:63 |
| ობრადოირო-კახა ლაბორალი | 76:80 |
| ალიკანტე-ფუენლაბრადა | 85:82 |
| ბილბაო-მანრესა | 84567 |
| მურსია-რეალი | 67:96 |
| **იტალია** | |
| ვარეზე-ტერამო | 83:80 |
| რომა-ბენეტონი | 100:76 |
| ვირტუსი-ბიელა | 79:66 |
| კაზერტა-მონტეგრანარო | 65:75 |
| კანტუ-ვანოლი | 89:68 |
| სიენა-სკავოლინი | 90:76 |
| ფერარა-მილანი | 56:66 |
| **საფრანგეთი** | |
| რუანი-გრაველენი | 77:80 |
| ტულონი-პუატიე | 77:82 |
| შალონი-ნანსი | 92:74 |
| შოლე-ვიში | 64:63 |
| ლე მანი-როანი | 73:58 |
| პარიზი-დიჟონი | 84:72 |
| ჰავრი-სტრასბური | 83:71 |

**ჰოკეი**

| ნჰლ | |
|---|---|
| ვაშინგტონი-პიტსბურგი | 4:4 დ.დ. 5:4 |
| მონრეალი-ბოსტონი | 0:3 |
| **კჰლ** | |
| ამური-სკა | 3:8 |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 1:3 |
| დინამო (მნ)-ვიტიაზი | 5:1 |
| სიბირი-ატლანტი | 3:7 |
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 6:2 |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 1:4 |
| ლადა-ავანგარდი | 2:2 ბულ. 1:0 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 3:3 დ.დ. 1:0 |
| ნეფტეხიმიკი-ბარისი | 4:2 |
| სპარტაკი-მვდ | 2:8 |
| დინამო (რ)-ცსკა | 1:1 ბულ. 0:1 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ვილახი | 0:5 |
| ალბა-ზალცბურგი | 5:4 |
| გრაცი-ზაგრები | 3:3 დ.დ. 4:3 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 5:5 ბულ. 1:0 |
| ოლიმპია-ვენა | 2:8 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ჰამბურგი | 4:2 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 3:2 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 5:1 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 4:5 |
| კასელი-კრეფელდი | 6:2 |
| ფრანქფურტი-იზერლონი | 1:3 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ნორდსილანდი | 6:1 |
| ჰვიდოვრე-ჰერნინგი | 5:2 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-სტიორნენი | 4:2 |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 1:4 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 4:3 |
| მანგლერუდი-ლორენსკოგი | 0:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-პოპრადი | 3:0 |
| მარტინი-ნოვა ვესი | 2:1 |
| სლოვაკეთი (U20)-სკალიცა | 2:4 |
| სლოვანი-მიკულაში | 5:3 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 3:0 |
| კოშიცე-ზისტრიცა | 2:2 დ.დ. 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰპკ-ჰიფკ | 4:2 |
| კერპეტი-კიეკო | 1:3 |
| ტაპარა-სეიპა | 2:2 |
| ტპს-ილვესი | 2:5 |
| ესეტი-ლუკო | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-ბრნო | 2:2 ბულ. 1:0 |
| ლიბერეცი-კლადნო | 2:1 |
| პარდუბიცე-სლავია | 8:0 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 3:4 |
| ტრშინეცი-პლზენი | 1:3 |
| ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 5:6 |
| კარლოვი ვარი-ბუდეიოვ. | 3:3 ბულ. 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| ცუგი-ბილი | 6:2 |
| ამბრი პიოტა-ჟენევა | 2:4 |
| კლოტენი-რაპერსვილი | 7:1 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 3:3 |
| ციურიხი-დავოსი | 3:5 |
| **შვედეთი** | |
| როგლე-ტიმრა | 3:3 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 4:1 |
| ბრიუნასი-ლულეა | 2:1 |
| აიკ-ჰვ71 | 3:2 |
| იურგორდენი-მოდო | 4:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. იოჰანესბურგი | |
|---|---|
| ფერერი-რობერი | 5:7, 4:6 |
| მონფილსი-ფ. ლოპესი | 6:3, 1:6, 6:7 |
| ფ. ლოპესი-რობერი | 7:5, 6:1 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ჩილიჩი-მელცერი | 7:6, 6:4 |
| ბერერი-პეტცშნერი | 7:6, 7:5 |
| ჩილიჩი-ბერერი | 6:4, 6:7, 6:3 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| მონაკო-სოუზა | 6:1, 6:4 |

## TV პროგრამა

**8 თებერვალი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
09:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
11:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
13:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
13:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. მაკაბი-რეალი.
15:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-აინტრახტი.
17:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი.
19:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი.
20:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
23:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
00:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
00:40 პროფესიული კრივი. სებასტიან სილვესტრი-ჯოვანი ლორენცი. გერმანია.
04:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
05:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
07:40 პოკერი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
09:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-აინტრახტი.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
13:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
15:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
17:10 პოკერი.
17:55 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
22:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი.
00:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
01:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
02:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:15 პოკერი.
03:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
06:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
06:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-აინტრახტი.

**EUROSPORT**

11:30 თოვლის უიქ ენდი. მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
11:35 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
12:30 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
16:00 ველოსპორტი. კატარის ტური. II ეტაპი (LIVE).
17:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ლანელი. ბრიტანეთი.
18:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. კენმორი. კანადა.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ტელეჟურნალი.
22:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:35 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.
23:45 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
03:35 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
04:20 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.

კრივი

# კლიჩკო-ვალუევი 29 მაისს?

გერმანულ გაზეთ „ბილდის“ ინფორმაციით WBC-ის უკრაინელი ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოსა** და რუსი მძიმეწონოსნის **ნიკოლაი ვალუევის** ბრძოლა, შესაძლოა, 29 მაისს გაიმართოს.

შეხვედრის ჩატარების სავარაუდო ადგილად გელზენკირხენის საფეხბურთო კლუბ „შალკეს“ ცნობილი არენა სახელდება. თუმცა ამ ბრძოლის გამართვას შეიძლება ხელი შეუშალოს რუსი მოკრივის ერთ-ერთი პრომოუტერის - ამერიკელი **დონ კინგის** პოზიციამ, რომელიც ვალუევისთვის 4 მილიონ დოლარს ითხოვს.

ამასთან დაკავშირებით უკრაინელი ჩემპიონის მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა: *„გამორიცხულია. ვალუევს ოთხი საჩემპიონო ქამარიც რომ ჰქონდეს და პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი იყოს, ის ასეთ თანხას მაინც ვერ მიიღებს. მოსაფიქრებელი ვადაა - 14 დღე. ამის შემდეგ არენის არენდაზე უნდა ვიზრუნოთ. ვალუევის გარდა ისედაც ბევრი ვარიანტი გვაქვს განსახილველი“.*

ვალუევის მეორე პრომოუტერმა, გერმანელმა **კალე ზაუერლანდმა** ასეთი კომენტარი გააკეთა შექმნილ სიტუაციაზე: *„ბრძოლა უნდა გაიმართოს. აუცილებლად ვიპოვით კომპრომისს და შევძლებთ ამ ბრძოლის ორგანიზებას“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**








მძლეოსნობა

# ბოლტი 13 თებერვალს იწყებს

პლანეტის უსწრაფესი ადამიანი **უსაინ ბოლტი** ახალ სეზონს 13 თებერვალს დაიწყებს. 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენი ზამთარში ტრადიციისამებრ აქცენტს 400 მეტრზე გააკეთებს. გასულ წელს ბოლტის პირველი სტარტი იყო Camperdown Meet-ის ტურნირი, სადაც მან 400 მეტრი 46,35 წამში გაირბინა. ამ დისტანციაზე იამაიკელის საუკეთესო შედეგი 45,28 წამს უდრის, რომელიც უსაინმა 2007 წელს დააფიქსირა.



ზაფხულში ბოლტი მთლიანად კომერციული ტურნირების ახალ სერიაზე - „ბრილიანტის ლიგაზე“ გადაერთვება. იამაიკელს ამ სერიის შვიდ ტურნირში გამოსვლაზე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. მათგან პირველი იქნება Adidas Grand Prix ნიუ იორკში, რომელიც 12 ივნისს გაიმართება. იქ უსაინი 100 მეტრს გაირბენს. ეს იქნება ბოლტის პირველი სპორტული დაბრუნება ამერიკაში, სადაც მან 2008 წელს მსოფლიო რეკორდი (9,72) დაამყარა.

*„ნიუ იორკი - ჩემი პირველი რეკორდის ქალაქია. აქ ძალიან სწრაფი ბილიკია და გულშემატკივრებიც შესანიშნავი ჰყავთ. ორი წლის წინ, ქარიშხლის მიუხედავად, მათ არ დატოვეს სტადიონი - ისინი ჩემს გამოსვლას ელოდნენ. ეს ადამიანები სისწრაფეს აფასებენ“,* - განაცხადა უსაინმა.

ჩოგბურთი

# ბრუკლინის ფოტოსესია

ამერიკის საუკეთესო ჩოგბურთელის **ენდი როდიკის** მეუღლე, ფოტომოდელი **ბრუკლინ დეკერი** საჩუქრების კატალოგის - La Senza-ს სახე გახდა. ამ გამოცემის ბოლო გამოშვება წმინდა ვალენტინის დღეს ეძღვნება, რომელსაც 14 თებერვალს აღნიშნავენ.

კატალოგის მკითხველთა წინაშე ბრუკლინი საცვლებში გამოწყობილი გამოჩნდა. როგორც ბრიტანული ტაბლოიდი The Sun წერს, გოგონამ თავად მიუთითა მამაკაცებს იმაზე, თუ რა უნდა აჩუქონ თავიანთ შეყვარებულებსა თუ მეუღლეებს 14 თებერვალს.

კატალოგის მიხედვით ყველაზე იაფი კომპლექტის ფასი 25 ევროა.



## მაშა და საშა აღარ იმალებიან

ავსტრალიის ღია პირველობის ნაადრევი ეტაპიდან გამოვარდნის შემდეგ **მარია შარაპოვას** საკმარისი დრო მიეცა თავის შეყვარებულთან - სლოვენიელ კალათბურთელ **საშა ვუიაჩიჩთან** ურთიერთობისთვის.

რუსი ჩოგბურთელისა და „ლეიკერსის“ მცველის რომანზე უკვე დიდი ხანია წერენ, მაგრამ აქამდე წყვილი არ ადასტურებდა გავრცელებულ ჭორებს, უფრო მეტიც, ყველანაირად ცდილობდა გაჰქცეოდა პაპარაცების ობიექტივებს. მაგრამ ამჯერად, ფოტორეპორტიორის მისამართით მარიას ღიმილით თუ ვიმსჯელებთ, მათ გადაწყვიტეს აღარ დამალონ თავიანთი ურთიერთობა.







